პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ. } რედაქტორის 14—76
} მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დ ღ ი უ რ ი

— გერმანიაში არსდება იმპერიალისტურ ომთან ბრძოლის კომიტეტები
— რუმინეთში აღმოაჩინეს სამხედრო შეთქმულება
— ჩან კაი-შის, ჩან სიუე-ლიანის და ენ სი-შანის თათბირი
— კოოპერაციის საერთაშორისო დღე გერმანიაში
— ესტონეთის ახალი მთავრობის შედგენა დაევალა [illegible] ჯგუფის ლიდერს
— 17 ნოემბრისათვის მექსიკაში დანიშნულია პრეზიდენტის არჩევნები

ოთხშაბათი, 10 ივლისი 1929 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 156 (2502)

დღეს, ივლისის 10, საღამოს 7 საათზე
შესდგება
ს. ს. ცაკის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა
წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.
ს. ს. ცაკის მდივანი: ხ. თოდრია

დღეს, ივლისის 10-ს, მთავრობის სასახლეში
შესდგება
საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიურ საბჭოს გაერთიანებული სხდომა
დასაწყისი საღამოს 7 საათზე.
საქ. სსრ სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს საქმეთა მმართ. პ. მეგრელიშვილი

სოფლის სოციალისტური გარდაქმნა

(სასოფლო მეურნეობის საკითხები ყრილობაზე)

ჩვენი პარტიის მეექვსე ყრილობამ სასოფლო მეურნეობას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია; გარდა იმისა, რომ მას მეტად თვალსაჩინო ადგილი ჰქონდა დათმობილი ცეკას ანგარიშში და სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიან გეგმის შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში, — ყრილობამ ამ საკითხზე სპეციალური მოხსენება მოისმინა.

სასოფლო მეურნეობისადმი ასეთი ცხოველი ინტერესი სავსებით გასაგებია. საქართველო ჯერ-ჯერობით უმეტესად აგრარული ქვეყანაა. სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხვედრითი წონა ქვეყნის საერთო პროდუქციაში, მაგალითად, 1927-28 წ. 70,8 პროცენტს უდრიდა, ხოლო მრეწველობის — 29,2 პროცენტს. ასეთი შეფარდებაც ჩვენ მივიღეთ დიდი სამრეწველო მშენებლობის შემდეგ: წინად ხომ მრეწველობა ჩვენში სულ ჩამორჩენილი და განუვითარებელი იყო და სასოფლო მეურნეობის როლი გაცილებით მეტი პროცენტებით გამოიხატებოდა. ამავე დროს, მიუხედავად საბჭოთა ხელისუფლების მიერ ჩატარებულ მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან ღონისძიებებისა, რომლებმაც შესაფერი ნაყოფი უკვე გამოიღეს, — სოფლის მეურნეობა მაინც დაბალ დონეზე დგას. ძალზე მცირეა მისი მოსავლიანობა და გლეხის შრომის ნაყოფიერება. ეს გარემოება ერთი მხრით აძნელებს გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესებას, მეორე მხრით მრეწველობის უზრუნველყოფას საჭირო ნედლეულით და აგრეთვე მშრომელ მოსახლეობის ნორმალურ გამოკვების საქმეს. გარდა ამისა, სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობა უმუშევრობის ზრდის ერთ-ერთი მთავარი წყაროა. ამიტომ ბუნებრივია, რომ სოფლის მეურნეობის საკითხები პარტიის და ხელისუფლების ყურადღების ცენტრში დგანან. რა ზომები უნდა მივიღოთ მათ წარმატებით გადაჭრისათვის და რა გზებით უნდა წარიმართოს სასოფლო მეურნეობის განვითარება?

ჩვენ ფეხი შევდგით სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის პერიოდში, შევუდგით მის მაღალ ტეხნიკურ საფუძველზე გადაყვანას. მაგრამ მხოლოდ შევუდექით, ჩვენს წინაშე უდიდესი სამუშაო და პერსპექტივებია გადაშლილი. გლეხობას ჩვენ უნდა მივაწოდოთ თანამედროვე მანქანები და იარაღები და ხმარებიდან საბოლოოდ განვდევნოთ მამაპაპეული თოხი და კავი. რაც დღემდე გაკეთებულა სოფლად ამ დარგში, ეს, რა თქმა უნდა, ოდნავადაც არ არის საკმარისი. მრეწველობის განვითარება, კერძოდ სამეურნეო მანქანათა მშენებლობა, რასაც უაღრესი ყურადღება ექცევა, ახლო მომავალში ჩვენ საშუალებას მოგვცემს ამ მხრით უდიდეს ეფექტს მივაღწიოთ.

მეორე, არა ნაკლებ მნიშვნელოვანი საკითხია მიწის განოყიერება. დღემდე ჩვენში არამც ხელოვნური სასუქი არ არის გავრცელებული, არამედ ისიც არ არის გამოყენებული, რასაც თვით ბუნება უხვად გვაძლევს. ქიმიური სასუქის და ადგილობრივ არსებულ განაყოფიერებელ მასალების ხმარებაში ფართოდ შემოსაღებად მუშაობა უნდა გავაძლიეროთ.

მაგრამ სოფლის მეურნეობის რომელ დარგებს უნდა მიექცეს მეტი ყურადღება? ეს საკითხი, რომელიც წინედ აზრთა გაცვლა - გამოცვლას იწვევდა, დღეს საბოლოოდ გადაჭრილია. ჩვენი ქვეყანა ხელსაყრელ კლიმატიურ პირობებს იძლევა ტეხნიკურ და სპეციალურ კულტურათა მოშენებისათვის. ამასთან ამ შრომის ტევად კულტურების განვითარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოში, რომელსაც მიწის ზედმეტი სივიწროვე ახასიათებს. ამავე დროს ისინი აუცილებელ სანედლეულო ბაზას წარმოადგენენ სამრეწველო მშენებლობისათვის. ამიტომ ჩვენ მტკიცე გეზი გვაქვს აღებული ტეხნიკურ კულტურების სწრაფ და ფართოდ განვითარებაზე.

მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ ჩვენ ხორბლეულ კულტურებს დავიწყებას ვაძლევდეთ. ოდნავადაც არა. ჩვენ ხორბლეულის მეურნეობა ფართე ნიადაგზე უნდა დავაყენოთ. ამას დაჟინებით გვიკარნახებს საკუთარი პურეულის ქრონიკული დეფიციტი. ეს დეფიციტი ჩვენ რაც შეიძლება უნდა შევამციროთ. მაგრამ ამან, ცხადია, ხელი არ უნდა შეუშალოს ტეხნიკურ კულტურათა გაშლას.

ამავე დროს უაღრესი ყურადღება უნდა მიექცეს პროდუქციულ მესაქონლეობას. ეს აუცილებელია როგორც საერთოდ სასოფლო მეურნეობის განვითარებისათვის, ისე მრეწველობის ზრდისათვის (ნედლეული).

ჩვენ ზევით ვსთქვით, რომ ჩვენ მიწის დიდ ნაკლებობას განვიცდით. ამის აცილება საგრძნობლად შეიძლება სხვათა შორის, ერთი მხრით სამელიორაციო სამუშაოების ჩატარებით, რაც გამოსადეგ მიწის საკმაოდ მნიშვნელოვან ფართობს მოგვცემს, მეორე მხრით გადასახლების პრობლემის გადაჭრით.

ჩვენი სასოფლო მეურნეობის განვითარებას ძალიან აფერხებს მიწის მოუწყობლობა. მიწის ნაჭრების დაქსაქსულობა, ხარვეზობა, მათი ერთმანეთისაგან დაშორებით მდებარეობა ართულებს თანამედროვე მანქანების გამოყენებას და იწვევს გლეხის ზედმეტ, ხშირად უნაყოფო შრომას. მიწათმოწყობა უნდა დაჩქარდეს და ამასთან ის უნდა დაუკავშირდეს აგრიკულტურულ ღონისძიებათა გატარებას.

თავის თავად ცხადია, ყველა ამ ღონისძიებების გატარება, საერთოდ სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარება და გლეხობის კეთილდღეობის აწევა მჭიდროდაა დაკავშირებული სასოფლო მეურნეობის განსაზოგადოებასთან, მის კოლექტივიზაციასთან. გლეხების საწარმოო შეკავშირება, გლეხურ მეურნეობათა კოლექტივიზაცია, სოფლის სოციალისტური გარდაქმნა — ასეთია ჩვენი ძირითადი ხაზი. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ღარიბ - საშუალო გლეხთა ინდივიდუალურ მეურნეობებს დახმარებას არ გაუწევთ. მათ საჭირო დახმარება ეძლევა და შემდეგშიაც აღმოეჩინება. და ეს სრულებით არ ეწინააღმდეგება კოლექტივიზაციის გეზს, რამდენადაც მშრომელ ინდივიდუალურ მეურნეთა ხელის შეწყობა წარიმართება მათი საწარმოო კოოპერატიული გაერთიანების გზით.

კოლმეურნეობათა მშენებლობა ჩვენში თანდათან ძლიერდება, გლეხობა მას ეტანება. მაგრამ ამ დარგში ჩვენ მრავალი დეფექტები გვაქვს, როგორიცაა, კოლმეურნეობათა სიპატარავე, მანქანების საკმაო დაუტვირთველობა, ტეხნიკურ ძალების ნაკლებობა, დაბალი მოსავლიანობა, შრომის ორგანიზაციის მოუწესრიგებლობა, ხელმძღვანელობის სისუსტე და სხვ. ჩვენ საქმიანობა უნდა წარვმართოთ ამ ნაკლთა აღმოფხვრისაკენ და კოლმეურნეობათა მშენებლობის გაჯანსაღებისაკენ. არსებულ კოლექტივებში საქმის სწორი დაყენებით, მასიური აგიტაცია - პროპაგანდით, სათანადო ორგანიზაციული ღონისძიებებით და საშუალებათა გაღებით ჩვენ უნდა მივაღწიოთ გლეხთა რაც შეიძლება მეტი მასების შეკავშირებას კოლმეურნეობებში.

კოლმეურნეობათა მოძრაობას, თავის თავად იგულისხმება, კულაკობა სასტიკ წინააღმდეგობას უწევს და ამ მხრივ ის ზოგჯერ ერთგვარ გავლენას ახდენს ზოგიერთ საბჭოთა და პარტიულ მუშაკებზე. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა კულაკები ცრუ კოლექტივებს აარსებენ და მათ თავიანთ კლასობრივი ინტერესებისათვის იყენებენ. კულაკების ასეთ მოქმედებას უმკაცრესი ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ. მათ უნდა დაუპირდაპიროთ ღარიბ და საშუალო გლეხობის მთლიანი ფრონტი და ნამდვილ კოლექტიურ მეურნეობათა გაძლიერებული მშენებლობა.

პარტიის ყრილობა ყველა ამ საკითხზე მოგვცემს მკაფიო მითითებებს, რომელთა საფუძველზე უნდა გავაორკეცოთ პრაქტიკული მუშაობა.

საფრანგეთ-ამერიკის კონფლიქტი და პან-ევროპა

ვალების საკითხის გარშემო საფრანგეთ-ამერიკის კონფლიქტი მწვავდება. ვაშინგტონის მთავრობამ გადაჭრით უარჰყო საფრანგეთის თხოვნა, რომ თუნდაც ერთი თვით გაეგრძელებინა 407 მილიონი დოლარის გადახდის ვადა, რომელიც 1 აგვისტოს თავდება. ამერიკელი კრედიტორები კატეგორიულად აცხადებენ, რომ არავითარი ლაპარაკი ვადის გადიდების შესახებ არ იქნება, ვიდრე საფრანგეთი არ დაამტკიცებს შეთანხმებას საფრანგეთის მთელი სამხედრო ვალის შესახებ; ეს თანხა კი შეადგენს ზემოხსენებულ თანხასთან ერთად 4 მილიარდზე მეტ დოლარს.

საფრანგეთის საპარლამენტო წრეებში დიდი მღელვარებაა. პალატის საფინანსო კომისიამ ხანგრძლივი კამათის შემდეგ უმნიშვნელო უმრავლესობით მიიღო რეზოლიუცია, რომელიც მხარს უჭერს რატიფიკაციას შენიშვნებით. მაგრამ ეს აბსოლიუტურად მიუღებელია პუანკარესათვის, რადგან შეერთებული შტატები ასეთ რატიფიკაციას არ დასთანხმდებიან. უკიდურესი მემარჯვენე და „მემარცხენე" (რადიკალები, სოციალისტები), ბურჟუაზიული ოპოზიცია კი ბუტაფორულ ქარბუქს აყენებს და რისხვას ატეხს ხარბ მევახშეს—შეერთებულ შტატებს, ხოლო მთავრობას ბრალად სდებს შეუწყნარებელ სისუსტეს. „მემარცხენე" ბურჟუაზიული პოლიტიკოსები წააქეზა იმან, რომ ინგლისის ხელისუფლებას მაკდონალდი დაეპატრონა და იმედი აქვთ დემაგოგიური მანევრებით გამოიწვიონ მთავრობის კრიზისი და ხელახლა დაუბრუნდნენ ხელისუფლებას.

საფრანგეთ-ამერიკის კონფლიქტი განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, რადგან იგი ძალიან დამახასიათებელია შეერთებული შტატებისა და ევროპის ურთიერთობებისათვის. საფრანგეთი დიდხანს ამბობდა უარს, რომ თავისი „სახელოვანი მოკავშირისათვის" ვალი გადაეხადა, საბუთად ასახელებდა საერთო ბრძოლას „ცივილიზაციის" დასაცავად, საერთო საქმისათვის ბრძოლაში გაღებულ უდიდეს მსხვერპლს და სხვ.

პუანკარეს კაბინეტის ყოფილი მინისტრი, პალატის უკიდურესი მემარჯვენეების ლიდერი, ახლა რატიფიკაციის წინააღმდეგ მიმართული მემარჯვენე ოპოზიციის მეთაური ლუი მარენი შეერთებულ შტატებთან პირველი მოლაპარაკების დროს თითით უჩვენებდა საფრანგეთის სისხლიან იარებზე, რომლებიც მას ომმა მიაყენა, და ამბობდა პარლამენტში: „1.425.000 მოკლული, 800.000 კაცი ჭრილობისაგან გარდაცვლილი, 400.000 დაჭრილი, 800.000 ქალიშვილი, რომელთაც საშუალება არა აქვთ შექმნან ოჯახის კერა... თუ ამერიკული წესით თვითეული კაცის სამუშაო ძალას ფულად შევაფასებთ, მაშინ შეერთებულ შტატებს ჩვენი ემართება მილიარდები. ჩვენივე თავის პატივისცემის გრძნობა არ მოითმენს, რომ ფინანსიური უპირატესობა პოლიტიკური ზემოქმედების იარაღად გახდეს".

მაგრამ კეთილშობილური აღშფოთების ასეთ პათეტიურ სიტყვებზე ვაშინგტონი გულცივად უპასუხებდა; „გადაიხადე". ძველ მეგობრობას და მოგონებას ძველი საერთო ბრძოლის შესახებ ნიუ-იორკში გასავალი არა აქვს და ეს ფულის გადახდის საშუალებად არ ითვლება. საფრანგეთს ვერ უშველა ისეთმა მანევრებმა, რომელთა მიზანი იყო, რომ საფრანგეთს თავისი ვალების გადახდა დაეკავშირებინა გერმანიის სარეპარაციო გადასახადებთან. მოვალეს საქმის გაჭიანურებასა და ჯიუტობაზე ვაშინგტონმა იმით უპასუხა, რომ არაოფიციალურად აკრძალა საფრანგეთის სესხთა გამოშვება ნიუ-იორკის ბირჟაზე. ამ ზომამ იმოქმედა. საფრანგეთმა იარაღი დაჰყარა: მისმა რწმუნებულმა ბერანჟემ და ამერიკის ფინანსთა მინისტრმა მელონმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის თანახმადაც საფრანგეთმა ვალი უნდა გადაიხადოს 62 წლ. განმავლობაში. საპარლამენტო ოპოზიციის არსებობის გამო საფრანგეთის მთავრობამ მაინც ვერ გაბედა, რომ პალატისათვის შეთანხმება წარედგინა დასამტკიცებლად, თუმცა ვალს იგი წესიერად იხდიდა. ახლა 407 მილიონი დოლარის გადახდის ვადის მოახლოების გამო (გამოტოვებულია)

ასეთ პირობებში საფრანგეთის რადიკლური პრესის ფურცლებზე უფრო გაბედულად გაისმა რეაქციონურ-უტოპიური ლოზუნგი გაერთიანებული ბურჟუაზიის და „პან-ევროპის" შესახებ. „ვასალური დამოკიდებულება (ამერიკის კაპიტალისაგან) თუ ევროპის ფედერეცია"—ასეთი სათაურით რადიკალების ერთ-ერთმა ლიდერმა დალადიემ წერილი დაბეჭდა „რეპუბლიკში". ეს წვრილ-ბურჟუაზიული მწერალი, რომელიც მოულოდნელად აღივსო მეგობრული გრძნობით გერმანიისადმი, პანევროპას საფუძვლად უდებს საფრანგეთ-გერმანიის ბლოკს.

ეს პროექტი ახალი არ არის. საფრანგეთში ხშირად ამოიტივტივებს ხოლმე გერმანიასთან შეთანხმების გეგმა და საფრანგეთის ჰეგემონიით ევროპის ბლოკის შექმნის გეგმა, რომელიც, ერთის მხრით, მიმართული იქნება შეერთებული შტატების წინააღმდეგ, მეორეს მხრივ—საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამას წინათ პრესის ფურცლებზე ასეთივე აზრი გამოსთქვეს რადიკალების ბელადმა, ყოფილმა პრემიერმა ჰერიომ და სენატორმა დე-ჟუვენელმა. ამასვე ლაპარაკობენ ფრანგი სოციალისტები, რომლებიც რაღაც საიდუმლო მოლაპარაკებას აწარმოებენ გერმანიის სოციალ-დემოკრატიის დიპლომატიურ სპეცთან—ბრეიტშეიდთან. რადიკალებისა და სოციალისტების გარდა გამოდიან აგრეთვე ზოგიერთი წარმომადგენელნი საფრანგეთის საქმიანი წრეებისა, რომლებიც შეშფოთებულნი არიან ამერიკის ახალი მფარველობითი საბაჟო გადასახადებით. მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ საფრანგეთის როლი, როგორც საექსპორტო ქვეყნისა, ომის შემდეგ—თვალსაჩინოდ გაძლიერდა. ამიტომ შეერთებული შტატების ისედაც დიდი ტარიფების გადიდება მას, როგორც ევროპის სხვა სახელმწიფოებსაც, დიდ ზარალს აყენებს. ამ მხრით საფრანგეთ-ამერიკის კონფლიქტი ფრიად დამახასიათებელია ამერიკასა და ევროპის ბრძოლის საერთო გამწვავებისათვის, რომელსაც ასაზრდოებს პანევროპიული სულისკვეთება. ამერიკის ბუმბერაზული საწარმოო აპარატი, რომელიც აგებულია მასიური პროდუქციის პრინციპის თანახმად, სრული დატვირთვით არ მუშაობს. დღევანდლამდე შეერთებულ შტატებს თავისი ქვეყნიდან გაჰქონდათ პროდუქციის მხოლოდ უმნიშვნელო პროცენტი. უკანასკნელ დროს ეს პროცენტი სწრაფად იზრდება, ამიტომ საგარეო ბაზრებისათვის ბრძოლა ამერიკის ეკონომიკის უდიდეს პრობლემად გადაიქცა.

აქ ერთმანეთს ეჯახება, ერთის მხრივ, შეერთებული შტატებისა, მეორეს მხრივ საფრანგეთისა და ევროპის სხვა სახელმწიფოების ინტერესები. ის მფარველობითი საბაჟო გადასახადი, რომელიც შეერთებულმა შტატებმა გაადიდეს, უდიდეს ზიანს აყენებს საფრანგეთის ექსპორტს. საფრანგეთის სამრეწველო წრეებში დიდმა მღელვარებამ იჩინა თავი. სავაჭრო პალატების თავმჯდომარეთა ყრილობამ, რომელიც შუა ივნისს პარიზში გაიმართა, მიიღო მკაცრი ანტიამერიკული რეზოლიუცია და შემდეგი მოითხოვა: „ევროპის ქვეყნები, რომელთა ეკონომიურ მომავალს საფრთხეს უქადებს შეერთებული შტატების საბაჟო პოლიტიკა, დაუყოვნებლივ უნდა შეთანხმდნენ საერთო თავდამცველი ზომების შესახებ".

ასეთივე სულიერი განწყობილების გაძლიერებას მსოფლიო მევახშის წინააღმდეგ, რომელსაც ამავე დროს სურს გადაიქცეს საქონლის მსოფლიო მიმწოდებლადაც, ჩვენ ვხედავთ გერმანიაშიც. ამას წინად რეიხსტაგში გარეშე საქმეთა მინისტრმა შტრეზემანმა სიტყვა წარმოსთქვა და მხარი დაუჭირა საფრანგეთთან თანამშრომლობას, ამავე დროს საკმაოდ გულახდილად ილაპარაკა ანტიამერიკული ბლოკის შექმნის შესახებ ევროპაში. „დადგება დრო, იწინასწარმეტყველა შტრეზემანმა, როდესაც საფრანგეთი და გერმანია და, შესაძლებელია, ევროპის სხვა სახელმწიფოები, იძულებულნი იქნებიან გაერთიანდნენ ერთი ცენტრიდან (იგულისხმე შეერთებული შტატები. რედ.) მომდინარე, მათი დამაზარალებელი კონკურენციის წინააღმდეგ. ხომ არ მოელის მთელს ევროპას საფრთხე გადაიქცეს მათ კოლონიად, რომლებიც უფრო ბედნიერნი აღმოჩნდნენ, ვიდრე ჩვენ"?

ეს სიტყვა რამდენამდე მოულოდნელია შტრეზემანის სითამამისათვის, იგი გალაშქრებას წარმოადგენს შეერთებულ შტატების წინააღმდეგ იმის გამო, რომ შეერთებულმა შტატებმა ვალის საკითხში არ შეამციროს თავისი პრეტენზიები ყოფილი მოკავშირეებისადმი და ამით გააუარესოს გერმანიის მდგომარეობა პარიზის უკანასკნელ სარეპარაციო კონფერენციაზე. ისევე, როგორც საფრანგეთში, აქაც ბურჟუაზიული დიპლომატების პანევროპიულ გეგმებს მხარს უჭერს სოციალ-დემოკრატია.

მთელი ეს კომბინაციები გამოხატავენ, ერთის მხრივ, შეერთებული შტატებისა და ევროპის ბრძოლის სწრაფად გამწვავებას, მეორეს მხრივ, ანტისაბჭოთა ბლოკის შექმნის ცდას. ეს კომბინაციები უნდა მივიჩნიოთ აგრეთვე ბურჟუაზიული დიპლომატებისა და მათი სოციალ-დემოკრატი ჯარისკაცების ახალ ცდად —გააბრიყვონ მშრომელი მასები ევროპის სახელმწიფოებს შორის არსებული კონფლიქტების ლიკვიდაციისა და ევროპის მტკიცე მშვიდობიანობის დამყარების შესახებ ლაპარაკით და სხვ. ასეთი პაციფისტური აბდა-უბდით სოციალ-დემოკრატებს სურთ შესძლონ მშრომელთა მასებს ევროპიელი იმპერიალისტების სამხედრო კოალიციის გეგმა, რომელიც მიმართული იქნება ამერიკელი იმპერიალისტების წინააღმდეგ. უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს ამ გეგმის იმ ალესილ პირს, რომელიც მიმართულია პროლეტარიულ დიქტატურის ქვეყნის წინააღმდეგ.

ევროპის იმპერიალისტური სახელმწიფოები ამავე დროს განაგრძობენ ანტისაბჭოთა ინტრიგებს, რომელთა მიზანსაც შეადგენს თვალში ამოღებული საბჭოთა სახელმწიფოს მოსპობა და ასეული მილიონი მცხოვრების გადაქცევა კოლონიალური ექსპლოატაციის საგნად. მაგრამ ამ გეგმების განხორციელებას წინ ეღობება უდიდესი ეკონომიური და პოლიტიკური წინააღმდეგობანი თვით იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის. ასეა თუ ისე საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი, რომელმაც უძნელეს პირობებში დაიცვა თავისი პროლეტარული სახელმწიფო იმპერიალისტური ონავრებისაგან, ფხიზლად ითვალისწინებს ყველა საფრთხეს, რომელიც კი მას ელინება. საკავშირო კომპარტიის ხელმძღვანელობით იგი კიდევ უფრო მეტის მხნეობით, მეტი ძალღონის მოკრებით დაუდებს ფართო ინდუსტრიალურ საფუძველს თავისი პროლეტარული სახელმწიფოს თავდაცვის უნარიანობას. მთელი მსოფლიოს პროლეტარებთან და დაჩაგრულ მასებთან მჭიდრო ძმური კავშირით იგი კვლავ განამტკიცებს საბჭოთა კავშირს და გადააქცევს მას მსოფლიო რევოლიუციის უძლეველ სიმაგრედ.

„პრავდა", 9 ივლისი.

ჰენდერსონის განცხადება რეინლანდის ევაკუაციის შესახებ

მწვავდება საფრანგეთ-ინგლისის უთანხმოება რეინლანდის დაცლის გარშემო

რეაქციონური „დეილი მეილ"-ი იწონებს მაკდონალდის მთავრობის პოლიტიკას

რეინის ოლქის ევაკუაციის გარშემო

ჰენდერსონის განცხადება

ლონდონი, 8 ივლისი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, თემთა პალატაში მიცემულ შეკითხვაზე ჰენდერსონმა განაცხადა: ინგლისის მთავრობას იმედი აქვს, რომ რეინის ოლქის ოკუპაცია ახლო მომავალში შესწყდება. მთავრობისათვის სამწუხარო იქნება, რომ ოკუპაციის შეწყვეტა თანდათან (ცალკე ზოლების მიხედვით) მოხდეს. მთავრობის სურვილია, რომ ოკუპაციის შეწყვეტა, საფრანგეთისა და ბელგიის მთავრობებთან თანამშრომლობის ნიადაგზე, მოხდეს ერთბაშად და მთლიანად. მთავრობა მხარს დაუჭერს იმას, რომ ოკუპაციის შეწყვეტის ვადის დანიშვნა მოხდეს მომავალ პოლიტიკურ სარეპარაციო კონფერენციაზე. (ადს).

ინტერვიუ ბრეიტშეიდთან

პარიზი, 8 ივლისი. „ტან"-ში დაბეჭდილია ინტერვიუ ბრეიტშეიდთან (გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ერთი ბელადთაგანი), რომელშიც ნათქვამია, რომ იუნგის გეგმის მიღებას უნდა მოჰყვეს „ომის ყველა ნაშთის ლიკვიდაცია", კერძოდ, საარის ოლქის ვადამდე დაბრუნება გერმანიისთვის. ამასთან ბრეიტშეიდი „საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრის დასამშვიდებლად" აცხადებს: თუმცა რესპუბლიკის დაცვის კანონის მოქმედების ვადა არ გაგრძელებულა, მაგრამ გერმანიის მთავრობა „არ რჩება უიარაღო იმ მეამბოხეთა წინააღმდეგ, რომელნიც მოისურვებენ არსებული წყობილების დამხობას".

ამის საწინააღმდეგოდ „ტან"-ი აცხადებს, რომ, საფრანგეთის თვალსაზრისის მიხედვით, საარის ოლქის საკითხი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება აღიძრას მომავალ პოლიტიკურ სარეპარაციო კონფერენციაზე. (ადს).

პარიზი, 8 ივლისი. მელონ-ბერანჟეს შეთანხმების რატიფიკაციის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის ჩამოვარდნილი დავის მთავარ საგნად გადაიქცა რეინის ოლქის ოკუპაციის შეწყვეტის საკითხი, რადგან რადიკალები და სოციალისტები აცხადებენ—რატიფიკაციას მხარს დაუჭერენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეიცვლება საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის საერთო ხასიათი, კერძოდ, თუ მთავრობა პირობას მოგვცემს, რომ დაუყოვნებლივ შესწყვეტს რეინის ოლქის ოკუპაციას.

ეს დავა გაამწვავა ჰენდერსონის მტკიცე განცხადებამ ოკუპაციის შეწყვეტის სასარგებლოდ.

მემარჯვენე გაზეთები აღნიშნავენ საფრანგეთისა და ინგლისის თვალსაზრისთა წინააღმდეგობას რეინის ოლქის საკითხში და მკაცრად აკრიტიკებენ ინგლისის მთავრობის პოზიციას. ეს გაზეთები დაჟინებით მოითხოვენ, რომ ოკუპაცია არ შესწყდეს იმ დრომდე, სანამ არ დაიწყება იუნგის გეგმის განხორციელება. მემარცხენე ბურჟუაზიული გაზეთები იწონებენ ჰენდერსონის განცხადებას და ამბობენ, რომ საფრანგეთის მთავრობის ეხლანდელი პოლიტიკა ამ საკითხში საფრანგეთს სრულ განმარტოებამდე მიიყვანს. (ადს).

„დეილი მეილი" იწონებს მაკდონალდის მთავრობის პოლიტიკას

ლონდონი, 8 ივლისი. რეაქციონური „დეილი მეილ"-ი ახასიათებს მაკდონალდის მთავრობის მოღვაწეობის პირველ თვეს და სწერს:

„თუმცა მთავრობის ზოგიერთი მოქმედება საშუალებას არ გვაძლევს სავსებით მოვიწონოთ მისი მოღვაწეობა, მაგრამ არ შეიძლება დავასახელოთ მისი რომელიმე ნაბიჯი, რომელიც სასტიკ გაკიცხვას იწვევდეს".

შემდეგ გაზეთი აქებს შინაგან საქმეთა მინისტრს კლაინსს იმის გამო, რომ მან ამნისტია არ გაავრცელა იმ მემაღაროეებზე, რომლებსაც სასამართლომ სასჯელი გადაუწყვიტა 1926 წელს კრიმლინგტონში და რომლებსაც ჰბრალდებოდათ „საბოტაჟი" საყოველთაო გაფიცვის დროს.

გაზეთი იწონებს აგრეთვე ჰენდერსონის პოლიტიკას საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლების საკითხში. ამასთან გაზეთი ამბობს, თუ მთავრობა ასეთ ბრძნულ და მტკიცე პოლიტიკას განაგრძობს, მას ყველა მხარს დაუჭერსო. (ადს).

„სენდეი ტაიმს"-ი ჰენდერსონის სიტყვის შესახებ

ლონდონი, 8 ივლისი. „სენდეი ტაიმს"-ი მოწინავე წერილში აცხადებს, რომ, როგორიც, საგარეო საქმეთა მინისტრის ჰენდერსონის სიტყვა მოწმობს (ეს სიტყვა ჰენდერსონმა წარმოსთქვა სეფე-სიტყვის გამო გამართული კამათის დროს), მუშათა პარტიის მთავრობამ შეიძლება შესცვალოს საგარეო-პოლიტიკური საკითხებისადმი მიდგომა, მაგრამ იგი არ შესცვლის „თანამიმდევრობითი პოლიტიკის პრინციპს სასიცოცხლო საკითხებში". ასეთი მოქმედება უეჭველია მთავრობას საერთო პატივისცემას მოუპოვებს. მეტიც: მთავრობას, ალბად, განზრახვა აქვს განაგრძოს საიმპერიო პოლიტიკა (ადს).

ემზადებიან 1-ლ აგვისტოსათვის

პარიზი, 8 ივლისი. პარიზის რაიონის ყველა საწარმოში მუშები ენერგიულად ემზადებიან საერთაშორისო წითელი დღის—1 აგვისტოს ჩატარებისათვის. ყველგან კრებებზე იღებენ რეზოლიუციებს დემონსტრაციებში მონაწილეობის შესახებ იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ ბრძოლისა და საბჭოთა კავშირის დაცვის ლოზუნგებით. (ადს).

რკინისგზელთა მიტინგი

პარიზი, 8 ივლისი. პარიზში შესდგა რკინისგზელთა მრავალრიცხოვანი მიტინგი, რომელიც მოაწვია უნიტარულმა პროფკავშირმა. მიტინგმა მიიღო რეზოლიუცია, რომელიც აცხადებს, რომ რკინისგზელები განაგრძობენ ბრძოლას ხელფასის გადიდებისათვის და ამ ბრძოლაში გამოიყენებენ პროფინტერნის მე-4 კონგრესის მიერ გათვალისწინებულ საშუალებებს. ამასთან ერთად რეზოლიუცია მოუწოდებს რკინისგზელებს—მონაწილეობა მიიღონ 1 აგვისტოს დღესასწაულის ჩატარებაში და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა ენერგიული ბრძოლა საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიისა და ამსტერდამის ინტერნაციონალის წინააღმდეგ, რომელნიც მხოლოდ და მხოლოდ კაპიტალის ინტერესებს ემსახურებიან. (ადს).

იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ მებრძოლი კომიტეტი

ბერლინი, 8 ივლისი. უკანასკნელი დღეების განმავლობაში ბერლინის რაიონში, რურის ოლქში და ბევრ საწარმოში გაიმართა მუშათა კრებები, რომლებზედაც განხილულ იქნა 1 აგვისტოს დღის მომზადებისა და ჩატარების საკითხი. ყველა კრებაზე აირჩიეს იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ მებრძოლი კომიტეტი. ასეთივე კრებები იმართება ამჟამად მთელ გერმანიაში. (ადს).

მუშების ძმური შეხვედრა

ვენა, 8 ივლისი. 1 აგვისტოს დღესასწაულის მომზადებასთან დაკავშირებით, ავსტრია-სამხრეთ-სლავიის საზღვრებზე, ფერლახში, მოხდება ავსტრიის და სამხრეთ-სლავიის მუშების ძმური შეხვედრა. (ადს).

პრეზიდენტის არჩევნები მექსიკაში

პრეზიდენტის ხელახალი არჩევის მოწინააღმდეგე პარტიის ყრილობა

ნიუ-იორკი, 8 ივლისი. მექსიკიდან მიღებული ცნობით, იქ მოხდა პრეზიდენტის ხელ-ახლა არჩევის მოწინააღმდეგე პარტიის ყრილობა.

ყრილობამ დაამტკიცა ხოზე ბასკონცელსის (სახალხო განათლების ყოფილი მინისტრი ობრეგონის კაბინეტში) კანდიდატურა მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში, რომელიც დანიშნულია 1929 წლის 17 ნოემბრისათვის.

ორატორები მკაცრად აკრიტიკებდენ მექსიკის მთავრობის მოღალატურ პოლიტიკას. დელეგატები სასტიკად ილაშქრებდენ აგრეთვე ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ და ამერიკის ელჩს მექსიკაში მოროუს ბრალს სდებდნენ იმაში, რომ მან შეიძინა მექსიკის ჰიდროელექტრო სადგურის საკონტროლო პაკეტები, რათა უზრუნველეყო ამერიკის ელექტრონის კომპანიის მონოპოლია (ადს).

ტრამვაის მუშების გაფიცვა ნიუ-ორლეანში

ნიუ-იორკი, 8 ივლისი. მეექვსე დღეა, რაც ნიუ-ორლეანში გრძელდება ტრამვაელების გაფიცვა. სცადეს მოძრაობის აღდგენა შტრეიკბრეხერთა დახმარებით, მაგრამ ეს ცდა ჩაიშალა. გაფიცულ და მათ თანაგრძნობ მუშებსა და პოლიციელებს შორის მოხდა რამდენიმე შეტაკება. პოლიციამ მუშების წინააღმდეგ მიმართა რეზინის ჯოხებს და ცრემლის მომგვრელ გაზს. რამდენჯერმე ტყვიებიც დაუშინა მათ. ორი გაფიცული მოჰკლეს, მრავალი დასჭრეს. გაფიცულებმა დალეწეს რამდენიმე ვაგონი და აჰყარეს ტრამვაის ლიანდაგი. მრავალმა პოლიციელმა უარი სთქვა გაფიცულთა წინააღმდეგ გამოსვლაზე. ნიუ-ორლეანის პროფკავშირები იმუქრებიან, რომ თანაგრძნობით ნიშნად გაფიცვას გამოაცხადებენ. მოყვანილი შტრეიკბრეხერები ვერ ჰბედავენ ქალაქში შესვლას.

შეტაკების განახლების შიშით ხელისუფლებამ ტრამვაის პატრონებს წინადადება მისცა—ჯერ-ჯერობით არ მიიღონ ზომები ტრამვაის მოძრაობის აღსადგენად. ტრამვაის პატრონებმა შუამდგომლობა აღძრეს სასამართლოს წინაშე—ზეგავლენა მოახდინოს გაფიცულებზე.

ტრამვაის მუშათა პროფკავშირის ხელმძღვანელებმა სთხოვეს შრომის სამინისტროს ვაშინგტონში, გაგზავნოს შუამავალი გაფიცვის საქმის მოსაგვარებლად.

გაფიცულებმა გამართეს დემონსტრაცია და გაიარეს ქალაქის მთავარ ქუჩებზე. (ადს).

დარბაზობა თუ ომის მომზადება?

რიგა, 8 ივლისი. შვეციის მეფის მოსვლასთან დაკავშირებით, წარსულ კვირას დააპატიმრეს 23 მუშა.

მუშურ-გლეხური ფრაქციის ორგანო „სტრადნიეკს უნდ ზემნეკს"-ი ათავსებს წერილს შემდეგი სათაურით: „მონარქიზმის დემონსტრაცია და ომი". გაზეთი სწერს:

„ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ლაპარაკია მეფის არა უბრალო დარბაზობაზე, არამედ ანტისაბჭოთა ბლოკის შექმნაზე და ომისათვის მუშათა მასების ფსიქოლოგიურად მომზადებაზე". (ადს).

ჟან კოლის დაკრძალვა

პარიზი, 8 ივლისი. აქ დაასაფლავეს რევოლიუციონური მოძრაობის ვეტერანი ჟან კოლი, რომელიც 30 წლის განმავლობაში პარიზის მუნიციპალიტეტის ხმოსნად იყო.

დასაფლავება გადაიქცა მუშათა დიდ დემონსტრაციად, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო დაახლოვებით 12.000 კაცმა. მანიფესტაცია წითელი დროშებით გაემართა პერლია შეზის სასაფლაოზე. განსვენებულის გვამის დაწვის შემდეგ კომუნისტმა დეპუტატებმა გარშერიმ და კაშენმა დაახასიათეს განსვენებულის რევოლიუციონური მოღვაწეობა. მათ აღნიშნეს, რომ კომპარტიამ და რევოლიუციონურმა პროლეტარიატმა კოლის სახით დაჰკარგეს ნაცადი და ერთგული მებრძოლი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე შეალია რევოლიუციონურ ბრძოლას. კოლი ახალგაზრდობისას მემაღაროე იყო, შემდეგ რკინისგზელი. მან განიცადა ყოველგვარი დევნა.

ინტერნაციონალის სიმღერით და „გაუმარჯოს კომუნას" ძახილით მანიფესტაცია გაემართა კომუნარების კედლისაკენ.

პარიზის მუნიციპალური საბჭოს და დეპარტამენტის საბჭოს ოფიციალური დელეგაციები, რომლებსაც პირველი ადგილი ეჭირათ კუბოს უკან, იძულებულნი გახდნენ ადგილი დაეთმოთ მუშათა დელეგაციებისათვის. ოფიციალური დელეგაციები მანიფესტაციას მისდევდნენ სასაფლაოს კარებამდე, სადაც სამძიმარი უთხრეს განსვენებულის მეუღლეს და განაცხადეს, რომ უარს ამბობენ სიტყვების წარმოთქმაზე, რადგან კომუნისტებმა დასაფლავებას რევოლიუციონური ხასიათი მისცეს.

როგორც ბურჟუაზიული პრესა იუწყება, ამ ინციდენტს მუნიციპალური საბჭო განიხილავს. (ადს).

(დეპეშების გაგრძელება იხ. მე-2 გვ.)

საქართველოს კომპარტიის (ბ) VI ყრილობა

ამხ. ლადო სუხიშვილის სიტყვა

კამათში საქ. კ. პ. (ბ) ცეკას ანგარიშის ირგვლივ

ამხ. კახიანმა თავის მოხსენებაში დიდი ყურადღება მიაქცია იმ ამოცანებს, რომლებიც ამჟამად დგანან პარტიის წინაშე და რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ. მომხსენებელმა აღნიშნა აგრეთვე ის დეფექტები, რომლებსაც ადგილი აქვს ჩვენს მშენებლობაში. მე ვფიქრობ, რომ ჩვენი მრეწველობის წარმატებით განვითარებისათვის, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის წარმატებით განხორციელებისათვის საჭიროა გადაუხრელად გავატაროთ ცხოვრებაში უმაღლესი ორგანოების დირექტივები. მე მინდა რამდენიმე სიტყვა ვსთქვა სოციალისტური შეჯიბრების შესახებ.

სოციალისტური შეჯიბრება დიდ ინტერესს იწვევს ფართო მასებს შორის და გვიადვილებს ინდუსტრიალიზაციის გადაუხრელად განხორციელებას, მაგრამ საქმე იმაშია, რომ, სამწუხაროდ, სოციალისტურმა შეჯიბრებამ ბევრ ადგილას საკამპანიო ხასიათი მიიღო. მიწა-ტყის, მედსანშრომის და სხვა კავშირები დაკმაყოფილდნენ კრებების მოწვევით და ზოგადი ხასიათის დადგენილებების გამოტანით. დღემდე არ არის შემუშავებული პრაქტიკული ღონისძიებანი სოციალისტური შეჯიბრების ჩასატარებლად. მაშასადამე, ყურადღებას იჩენენ იმ დირექტივის ჩატარებისადმი, რომელიც პარტიამ ლენინის მეთაურობით ჯერ კიდევ 1918 წელს გამოსცა. ზოგიერთ საწარმოში **პროდუქცია გადიდების ნაცვლად შემცირდა**. მოვიყვან რამდენსამე ფაქტს. კალინინის სახელობის მექანიკურ ქარხანაში თბილისში გათვალისწინებული იყო, რომ ყოველ მუშას დღეში 12 მანეთის პროდუქცია მოეცა. ნამდვილად კი საბიუჯეტო წლის პირველი ნახევრის განმავლობაში ყოველი მუშა იძლეოდა 10 მან. 95 კაპ. პროდუქციას დღეში. ამგვარად, ყოველი მუშა გვაძლევს 9 პროცენტით ნაკლებ პროდუქციას, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული.

გეგმის მიხედვით, ხელფასი წლის პირველი ნახევრის დამლევს არ უნდა აღემატებოდეს 8 მან. 80 კაპ., ნამდვილად კი იგი 4 მანეთს უდრის. აქ ქარხანამ გეგმას 5 პროცენტით გადააცილა.

ასეთი დამოკიდებულება იმ ამოცანების შესრულებისადმი, რომლებიც პარტიამ წარმოებას დაუსახა, ყოვლად შეუწყნარებელია. ზოგიერთ ამხანაგს, რომელიც ქარხანაში მუშაობს, სოციალისტური შეჯიბრების ჩატარება მხოლოდ კომკავშირისა და პროფორგანიზაციის მოვალეობად მიაჩნია. ეს არის პარტიული დირექტივების დამახინჯება და უდიდესი ბიუროკრატიზმი. აი, რა დეფექტებს აქვთ ადგილი სოციალისტური შეჯიბრების ჩატარებაში. მთელი ჩვენი ყურადღება უნდა მივაქციოთ ამ დეფექტების გამოსწორებას.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ დეფექტებთან ერთად, რომელთა შესახებაც ვილაპარაკე, ჩვენ გვაქვს თვალსაჩინო მიღწევებიც.

რამდენიმე სიტყვა სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის შესახებ. ამ ამოცანის გადაჭრას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ სასოფლო ორგანიზაციებმა. როგორია ამ მხრივ მდგომარეობა სოფლად? მე არ ვიცი, როგორია მდგომარეობა სხვა მაზრებში, თბილისის მაზრაში კი მრავალი სიძნელე გვეღობება. როგორც ზოგიერთი გლეხები, ისე პარტიის წევრები სოფლად ჯერ კიდევ გაიძახიან, რომ მათ არ სურთ კოლექტივში შესვლა, რადგან კოლექტივებში შედიან ზარმაცები, მათ კი არ უნდათ თავიანთი ქონება შეუერთონ ამ ზარმაცების ქონებას.

თბილისის მაზრაში არის 1.726 კომუნისტი—სოფლის მეურნე. მათ შორის შედარებით ცოტაა ღარიბი და მოჯამაგირე, განსაკუთრებით მოჯამაგირე. თუ პარტიაში არ გვეყოლება ღარიბთა და მოჯამაგირეთა სათანადო კადრი, ვერ მივაღწევთ დასახულ მიზანს.

ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა მთავარი ყურადღება ამას უნდა მიაქციონ. **უნდა შევეცადოთ, რომ პარტიაში ჩავაბათ ღარიბთა და მოჯამაგირეთა მეტი რიცხვი.**

თავის საბოლოო სიტყვაში ამხ. კახიანი, ალბად, იტყვის, თუ როგორი მდგომარეობაა საერთოდ საქართველოში მოჯამაგირეთა შორის მუშაობის დარგში. ყოველ შემთხვევაში, მდგომარეობა თბილისის მაზრაში მეტად მძიმეა. თბილისის კომიტეტმა ყურადღება მიაქცია მოჯამაგირეთა მდგომარეობის გაუმჯობესებას. არსებული მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს არა მარტო თბილისის მაზრის მასშტაბით, არამედ მთელ საქართველოს მასშტაბით.

ამხ. კახიანმა მოიყვანა რამდენიმე მაგალითი იმის დასახასიათებლად, თუ როგორ დამოკიდებულებას იჩენენ ცალკე კომუნისტები ტროცკისტული ორგანიზაციისა და მემარჯვენე გადახრის მიმართ. უნდა ითქვას, არა მარტო ცალკე კომუნისტებმა, ზოგიერთ შემთხვევაში მთელმა ორგანიზაციებმა (უმთავრესად საბჭოთა დაწესებულებების უჯრედებმა) ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ შეიგნეს, რომ საჭიროა სისტემატიური და მკაცრი ბრძოლა ტროცკისტული ორგანიზაციის წინააღმდეგ. ჩვენს ამოცანას შეადგენს **მკაცრი და დაუნდობელი ბრძოლა ყოველგვარ გადახრასთან სწორი ლენინური ხაზიდან**, განსაკუთრებით მემარჯვენე გადახრასთან, რომელიც ეხლა უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს. ამავე დროს არ უნდა შევასუსტოთ ბრძოლა კონტრ-რევოლიუციონური ტროცკიზმის წინააღმდეგ. უნდა ითქვას, რომ მემარჯვენე გადახრა ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის გამოაშკარავებული. ამას ამტკიცებს ის გარემოება, რომ ჩვენს უჯრედებს გამოაქვთ ასეთი დადგენილება: „ჩვენს შორის ადგილი არა აქვს არავითარ მემარჯვენე გადახრას, ამიტომ მოხსენება მემარჯვენე გადახრის შესახებ მიღებულ იქნას მხოლოდ ცნობად".

ამავე დროს ამ ყრილობაზე ადგილი ჰქონდა ისეთ გამოსვლებს, როცა არა მარტო ცალკე უჯრედების, არამედ მთელი მაზრის ხელმძღვანელები ამბობდნენ: „მემარჯვენე გადახრა იდეოლოგიურად არ არის ჩამოყალიბებული. მემარჯვენეებს არა აქვთ შემუშავებული პროგრამა"-ო. თუ ამხანაგებს ასეთი წარმოდგენა ექნებათ მემარჯვენე გადახრაზე, ისინი ვერ შესძლებენ მასთან ბრძოლას. მემარჯვენე გადახრას არ მიუღია ისეთი ფორმა, როგორიც მიიღო ტროცკისტულმა ოპოზიციამ. მაგრამ იდეოლოგიურად იგი სავსებით ჩამოყალიბებულია. მაშასადამე, ზოგიერთ ამხანაგის განცხადება, რომ მემარჯვენე ოპოზიცია ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა, არ შეეფერება სინამდვილეს. **ასეთ შეხედულებებს და ასეთ განცხადებებს შეგვიძლია უწოდოთ შემარიგებლობა—ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.**

არიან ისეთი ამხანაგებიც, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მემარჯვენე უკლონისტები შეიძლება გამოვასწოროთ, ისინი საშიში არ არიან ჩვენთვის, რომ საჭირო არ არის მკაცრი ბრძოლა მათ წინააღმდეგ და სხვ.

ამხანაგებო, ეს ნამდვილი შემარიგებელი პოლიტიკაა, რომელიც არა ნაკლებ საშიშია, ვიდრე თვით ოპოზიცია.

რამდენიმე სიტყვა ამხ. თენგიზ ჟღენტის შესახებ. ეროვნული საკითხი ჩვენს პირობებში მეტად რთული და დიდი საკითხია. ამ საკითხზე ბევრი მოიტეხს კისერს, თუ კარგად არ გაეცნობა მას და არ მიუდგება მარქსისტულ-ლენინური თვალსაზრისით. ამით იმის თქმა არ მინდა, რომ მე უფრო კარგად ვიცნობ ამ საკითხს, ვიდრე ამხ. თენგიზი, მაგრამ ვფიქრობ, რომ სწორი არ არის საკითხის ისე გაგება, როგორც იგი ამხ. თენგიზს ესმის. მან განაცხადა—ეროვნული პოლიტიკის ხაზი საქართველოში სერიოზულად გამრუდებულია. ამის დასამტკიცებლად მან მოიყვანა ამიერ-კავკასიის დაწესებულებანი და სთქვა, რომ იქ ქართველები ნაკლებად არიან, ვიდრე სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებიო.

გამოკვლევამ გამოაშკარავა, რომ ამიერ-კავკასიის დაწესებულებებში ქართველები შეადგენენ 29,7 პროცენტს, სომხები—24,3 პროცენტს, თურქები—2,7 პროცენტს და რუსები—30 პროცენტს. მაშასადამე, თუ ვინმეს შეუძლია უკმაყოფილო იყოს პროპორციის დარღვევის გამო, ეს მხოლოდ თურქებს.

ყოველ შემთხვევაში, ეროვნული პოლიტიკის სისწორით გატარებას არ ნიშნავს ის, რომ ქართველები დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მეტს შეადგენდნენ. საკითხის ასეთი დასმა მენშევიკურია, ასე სვამენ საკითხს ლორთქიფანიძე, დევდარიანი. ამით, რასაკვირველია, არ მინდა ვთქვა, რომ თენგიზი მენშევიკია. მაგრამ როცა გამოდის და ლაპარაკობს ძველი ბოლშევიკი, პასუხისმგებელი ამხანაგი, მან უფრო სწორი გეზი უნდა აიღოს ასეთ რთულ საკითხებში. მე ვფიქრობ, რომ ეროვნული საკითხის ისე გადაწყვეტა, როგორც ეს თენგიზ ჟღენტს სურს, სწორი არ არის.

რამდენიმე სიტყვა მეგრულ ენაზე. გლეხს საშუალება უნდა მივცეთ მოისმინოს ყველაფერი იმ ენაზე, რომელიც მას ესმის. სცდებიან ის ამხანაგები, რომლებიც ამბობენ, რომ ეს ავტონომიის გამოცხადებას ნიშნავსო.

თუ ამხ. ჟღენტს და გაბუნიას პერსონალურად არ შეუძლიათ გაატარონ ხაზი ისე, როგორც საჭიროა, როგორც ამას მოითხოვს პრაქტიკული მუშაობა, ჩვენ უნდა დავაყენოთ ისინი სწორ გზაზე. ცენტრალურმა კომიტეტმა სწორად გადასწყვიტა საკითხი. (ტაში).

ყრილობის მისალმება ამხ. ს. ორჯონიკიძეს

საქართველოს ბოლშევიკთა მე-6 ყრილობა მხურვალე სალამს უძღვნის თავის საყვარელ ხელმძღვანელს!

ბრძოლაში გამობრძმედილი, შენი მტკიცე ხელმძღვანელობით აღზრდილი საქართველოს კომუნისტები სძლევენ დაბრკოლებებს და მიდიან ახალი გამარჯვებისაკენ სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე.

გაუმარჯოს ბოლშევიკების ლენინურ გვარდიას!

კამათი ხუთწლიანი გეგმის გარშემო

7 ივლისი

ამხ. მანაგაძე

გეგმაში გათვალისწინებულია შაქრის ქარხნის აგება გორის მაზრაში. ამ ქარხნის აგება აუცილებლად მომავალი წლიდან უნდა დაიწყოს. ქარხანა უზრუნველყოფილი იქნება საუკეთესო ნედლეული მასალით, რადგან ჭარხლის მოსავლიანობა ჩვენში გაცილებით უფრო დიდია ვიდრე უკრაინაში და ხარისხითაც ჩვენებური ჭარხალი მაღლა დგას უკრაინულ ჭარხალთან შედარებით.

მეხილეობა ჩვენს მაზრაში კერძო მეურნეების ხელშია. მათ უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში დაიწყეს ხილის კულტურულად მოყვანა. მიუხედავად ამისა, ისინი მაინც ვერ იძლევიან საექსპორტო პროდუქციის საჭირო რაოდენობას. ჩემის აზრით აუცილებელია გორის მაზრაში შეიქნას მეხილეობის საბჭოთა მეურნეობა, რომელიც კერძო გლეხური მეურნეობებისათვისაც მაგალითის მიმცემი იქნება.

ამხ. ძაბრაძე

აქ ლაპარაკობდნენ მარელისის ფაბრიკის შესახებ. მარელისის ფაბრიკის მდგომარეობა მართლაც გაუმჯობესდა, მაგრამ შეიძლებოდა მისი უფრო გაჯანსაღება, რომ კიდევ მრავალი დეფექტი არ გველობებოდეს წინ. მაგალითად, პროდუქციის თვითღირებულებას ჩვენ კიდევ უფრო შევამცირებდით, მაგრამ ქარხანას 8 თვის განმავლობაში მასალების გაჩერებისათვის 12 ათასი მანეთის გადახდა მოუხდა, რაც ძლიერ მძიმე ტვირთად დააწვა წარმოებას.

აღსანიშნავია ისიც, რომ ტრესტი სუსტად ხელმძღვანელობს საწარმოებს. ჩვენს ფაბრიკაში ტრესტის წარმომადგენელი ჯერ არ გვინახავს. ეს მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს.

ამხ. მაისურაძე

სოციალისტური შეჯიბრების ჩატარებას ნაკლები ყურადღება ექცევა, მაშინ, როდესაც მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს 5 წლიანი გეგმის შესრულების საქმისათვის.

ტრანსპორტის გაუმჯობესების დარგში ჩვენ საკმაოდ ჩამოვრჩებით. მრავალი უღირსი მუშა და მოსამსახურე აუარებელ ზარალს აყენებს ტრანსპორტს, პროფესიონალური ორგანიზაცია კი ამგვარი მავნებლების დამცველის როლშიაც გამოდის. ასეთ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს, მფლანგველები და მავნებლები დაცვის ღირსნი არ არიან. მათ წინააღმდეგ სასტიკი ზომების გამოყენებაა საჭირო.

ტყეების რაციონალური ექსპლოატაციის გარეშე ჩვენ ვერ გადავჭრით 5-წლედით დასახულ ამოცანებს. ჩვენში კი დადგენილებები ტყეების დაცვის შესახებ მხოლოდ ქაღალდზე რჩება, ტყე ბევრ ადგილას განადგურების კარზეა მისული. საჭიროა ადგილობრივმა პარტუჯრედებმა და საბჭოთა ორგანოებმა ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას და მეტი სიფხიზლე გამოიჩინონ ტყეების დაცვის საქმეში.

ამხ. კაციტაძე

შ. ზღვის რკ. გზა

ზოგიერთი ამხანაგი ამბობდა, რომ სპეცები შეცდომებს უშვებენ, ისინი სწორად ვერ ადგენენ ხარჯთაღრიცხვებს და პროექტებს. ყველაფერი ეს, რასაკვირველია, სწორია.

ცხადია, ტეხნიკური შეცდომით არ შეიძლება აიხსნას ხარჯთაღრიცხვის 200—300 პროცენტით გადაჭარბება, კარგი სპეციალისტი შეიძლება 5—10 პროცენტში მოტყუვდეს, უფრო დიდ შეცდომას კი ის არ დაუშვებს. მაშ რით აიხსნება ხარჯთაღრიცხვების ასეთი დარღვევა? სპეციალისტებს, თუ ჰკითხავთ, ისინი გიპასუხებენ: „პროფკავშირები და მუშათა მასაა დამნაშავეო", მუშებს კი, თავის მხრივ, დამნაშავეთ სპეცები მიაჩნიათ. რასაკვირველია მუშები აქ სავსებით მართალნი არიან, ხარჯთაღრიცხვების დარღვევა სპეცების უხეირო მუშაობითაა გამოწვეული. არ შეიძლება ასე დიდი შეცდომების დაშვება. ჩვენი მიზანია ყოველმა საბჭოთა კაპეიკმა ახლო მომავალში მანეთი მოგვცეს, ამიტომაც ჩვენ ბოლო უნდა მოუღოთ სპეციალისტების უმსგავსობებს. ამასთანავე ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ ზოგიერთი სპეცი მეტად დიდ ჯამაგირს ღებულობს, რაც უარყოფითად მოქმედებს სხვა მუშაკებზე.

ამხ. ფილიპემ აღნიშნა, რომ ადგილობრივ გზების მშენებლობისათვის ხუთწლედით 9 მილიონი მანეთია გადადებული. გამოანგარიშებით დავინახავთ, რომ ამ თანხიდან გზის თვითეულ კილომეტრზე წელიწადში 500 მანეთი მოდის. ეს იმდენად მცირე თანხაა, რომ ფული სულ უბრალოდ დაიხარჯება და არავითარ შედეგს არ მოგვცემს.

ამხ. ავაქოვი

თბილისის აღმასკომი

საგეგმო კომისიის მიერ შემუშავებული ხუთწლედი არ წარმოადგენს ჩვენი მეურნეობის განვითარების მთავარი ხაზის კონკრეტიზაციას. შეიძლება ითქვას, რომ ხუთწლიანი გეგმის ნაცვლად მისი სახით გვაქვს ცალკე უწყებების გეგმათა მექანიკური შენაერთი. ამ შემთხვევაში საგეგმო კომისიას შეუსრულებია უბრალო რეგისტრატორის როლი, ე. ი. რეგისტრაციაში გაუტარებია სხვადასხვა უწყებებიდან მიღებული მასალა.

გეგმაში არ არის დამუშავებული ნედლეულის რესურსების საკითხი, არ არის დამუშავებული არც შრომის ნაყოფიერებისა და ხელფასის საკითხები. უამისოდ კი 5 წლიანი გეგმის მიღება ყოვლად შეუძლებელია.

მრეწველობის საკითხები ცოტად თუ ბევრად კიდევ დამაკმაყოფილებლად არის გადაჭრილი. გაცილებით უფრო ცუდ მდგომარეობაშია სასოფლო მეურნეობის საქმე. აშკარაა, მარტო იმაზე ლაპარაკი, რომ კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობები სასარგებლონი არიან, ბევრი არაფერი გაკეთდება. საჭიროა კონკრეტული მითითებანი, რასაც გეგმაში ჩვენ ვერ ვხედავთ.

კაპიტალური დაბანდებები გეგმის მიხედვით თანდათანობით მცირდება. გეგმის ავტორები ამას ასაბუთებენ მშენებლობის ობიექტების სიმცირით, ჩვენი საწარმოო ძალების შეუსწავლელობით. ეს მოსაზრება სწორია. ჩვენ დღემდე ვერ შევისწავლეთ ჩვენი ეკონომიკა, რის გამოც ხშირად შეცდომებს ვუშვებთ. ყრილობამ ამ გარემოებას სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს.

ქიმიურ მრეწველობას დღემდე სათანადო ადგილი არ უჭირავს ჩვენს მეურნეობაში. საჭიროა მოწესრიგდეს ხის დამმუშავებელ საწარმოებში დარჩენილი ნაჭრების გამოყენება მათი ქიმიური გადამუშავების გზით.

ჩვენ მძიმე მრეწველობას ამჟამად ტყიბულის და ტყვარჩელის ქვანახშირის წარმოება შეადგენს, ნამდვილი მძიმე ინდუსტრია ჩვენ ჯერ არა გვაქვს. მართალია შენდება მეტალურგიული ქარხანა, მაგრამ მისთვის ნედლეული სხვა კუთხეებიდან უნდა მოვიტანოთ. მე ვფიქრობ, რომ ხუთწლედში აუცილებლად უნდა იქნეს შეტანილი ნამდვილი მძიმე ინდუსტრიალური ბაზის შექმნის საკითხი.

ახალი ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობას დიდად ჩამორჩება საბინაო მშენებლობა. ეს გარემოება მეტად დამაფიქრებელია. სად უნდა იცხოვრონ იმ ახალმა მუშებმა, რომელთაც ჩვენი გაზრდილი მრეწველობა მოითხოვს? პროვინციებში ფაბრიკა-ქარხნებთან ასე თუ ისე შენდება ბინებიც. თბილისში კი სამეურნეო ორგანოები ბინების მშენებლობაზე არ ფიქრობენ, აღმასკომს არა აქვს საბინაო ფართობი, მას არ შეუძლია ყველა მუშების დაკმაყოფილება. ს. მ. უ. საბჭომ ხელი უნდა მოჰკიდოს საბინაო მშენებლობას, წინააღმდეგ შემთხვევაში მარტო აღმასკომს გაუჭირდება ამ სიძნელის გადალახვა.

8 ივლისი

ამხ სიხაშვილი

ქალაქის რაიონი

5 წლიანი გეგმის განხორციელებისათვის აუცილებელია სასტიკი ბრძოლა გამოეცხადოს სიმულიანტებს, ზარმაცებს და სამუშაო დროს გამცდენელთ. ამასთანავე უნდა მიღებულ იქნას ზომები მუშათა კულტურული დონისა და კლასობრივი შეგნების ასაწევად.

მუშების ჯანმრთელობის დაცვაში მრავალი მიღწევა გვაქვს, მაგრამ ჯერ მაინც ხშირია უყურადღებობის შემთხვევები ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მხრივ მუშებისა და მათი ოჯახებისადმი. ეს გარემოება დიდად აფერხებს შრომის ნაყოფიერების ზრდას. ყრილობამ უნდა გამოიტანოს დადგენილება იმის შესახებ, რომ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოთა ხელმძღვანელები წელიწადში ორჯერ მაინც აბარებდნენ ანგარიშს მუშათა მასებს.

ამხ. ფრანგულიანი

5 წლიანი გეგმაში სათანადოთ არ არის გაშუქებული ჯანმრთელობის დაწესებულებათა ქსელის განვითარების საკითხი. მაშინ, როდესაც კაპიტალური დაბანდებანი მრეწველობაში 500 პროცენტით იზრდება, შესაფერისად იზრდება მუშების რიცხვიც, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების ქსელი მხოლოდ 250 პროცენტით ფართოვდება.

გეგმით მალარიასთან ბრძოლისათვის 16 მილიონი მანეთია გადადებული, დისპანსერების რიცხვი გაიზრდება 200 პროცენტით, სამალარიო სადგურების—300 პროც..

ბავშვთა კონსულტაციების რაოდენობა უნდა გაიზარდოს 124 პროცენტით. ქალთა კონსულტაციების—90 პროცენტით.

ექიმების რიცხვს 5 წელიწადში 600 კაცი მოემატება. უნდა ითქვას, რომ მედიკური პერსონალის ამ გვარი ზრდა არ არის საკმარისი.

ჩვენ ამჟამად სოფლის საავადმყოფოებში 241 საწოლი გვაქვს. 5 წლის შემდეგ დავაკმაყოფილებთ სოფლის მოთხოვნილების მხოლოდ 13 პროცენტს. ამბულატორიები მოთხოვნილების 80 პროცენტს დააკმაყოფილებენ.

კურორტების მშენებლობაში დაბანდებული იქნება შედარებით მცირე თანხა—17.920 ათა-

(გაგრძელება იხ. მე-2 გვერდზე)

ყრილობის დღიური

გუშინ, დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. ლ. ღოღობერიძის მოხსენების დასასრული და გაიხსნა კამათი.

საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. ლ. ღოღობერიძის მოხსენების გარშემო.

მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა პოლიგრაფტრესტის პირველი სტამბის მუშა ამხ. გეონდიანი, რომელმაც აცნობა ყრილობას, რომ პირველი სტამბის მუშებმა დაადგინეს მოაწყონ „შაბათობა" ინდუსტრიალიზაციის საშუალებათა გასაძლიერებლად.

— ყრილობას მიესალმენ აგრეთვე აგრონომების წარმომადგენლები ამხ. ბიბინეიშვილი და ვოეკოვი.

— დღეს დილით დასრულდება კამათი ამხ. ღოღობერიძის მოხსენების ირგვლივ და მოსმენილი იქნება საბოლოო სიტყვა.

„დროშა" № 12
გამოვიდა და იყიდება ყველგან
ფასი 15 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომპარტიის (ბ) VI ყრილობა

ზე მანეთი, ავტონომიურ ოლქებთან ერთად კი —81.818 ათასი მანეთი.

ჩემის აზრით აუცილებელია ამ თვალსაზრისით, გადასინჯულ იქნას მთელი ხუთწლედი, გეგმაში სპეციალური თავი უნდა გამოეყოს მალარიასთან ბრძოლის შესახებ, უნდა გადიდდეს საწოლების რიცხვი ფსიქიატრულ სავადმყოფოებში, აგრეთვე გათვალისწინებულ უნდა იქნეს ხანიტარული უცოდინარობის ლიკვიდაცია.

ამხ. აფხაიძე
ქუთაისი

პირველი ნაბიჯის გადადგმა ყოველთვის ძნელია. ამიტომ გასაკვირი არ არის რომ ჩვენს პირველ 5 წლიან გეგმას აქვს ნაკლი. საერთო ძალებით ამ ნაკლის გამოსწორება ადვილი შესაძლებელია.

გეგმაში ჩემის აზრით მეტი ყურადღება უნდა მიექცეს მასწავლებელთა ხელფასის ზრდას, ვინაიდან მასწავლებლობა ერთად-ერთი კულტურული ძალა სოფლად და მას უდიდესი ამოცანების გადაჭრა აქვს დაკისრებული.

ამხ. ვაცეკი

ჩვენ მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ სახ. საგეგმო კომისიის მუშაკთა შემადგენლობას. იქ სამუშაოდ აუცილებლად უნდა შევარჩიოთ სპეციალისტთა ისეთი კადრი, რომელნაც ვენდობით.

ამასთანავე ჩვენ სასტიკად უნდა დავიცვათ გეგმიანობა მშენებლობაში. არ უნდა განმეორდეს მაგალითად ასეთი შემთხვევა: ყველა რესპუბლიკებში ააგეს ზეთის სახდელი და ზამბის ქარხნები, მაშინ, როდესაც ერთი ქარხნისათვის საკმარისი ნედლეულიც არ გვქონია. საჭიროა ჯერ კარგად აღვრიცხოთ ნედლეულის მარაგი და მხოლოდ შემდეგ ავაგოთ ფაბრიკა ან ქარხანა. ამასთანავე ქარხნის აგებამდე ჩვენ უნდა მოვამზადოთ მთელი საჭირო მასალა. ეს ხელს შეუწყობს მშენებლობის შეუფერხებლად წარმობას.

ამხ. ა. კვირიკაძე
საგეგმო კომისია

ჩვენს გეგმას აუცილებლად ბევრი ნაკლი აქვს, რაც ამ საქმის სიახლით აიხსნება. მაგრამ იმის მტკიცება, რომ დეფექტები ფარავდეს გეგმის დადებით მხარეს—არ არის სწორი. წარმოდგენილი გეგმა ასე თუ ისე გამოხატავს ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველა კონკრეტულ საჭიროებებს. რასაკვირველია, ყრილობის შემდეგ კიდევ უნდა გაგრძელდეს გეგმაზე მუშაობა და შეივსოს მისი ნაკლოვანებანი.

ორატორებმა განსაკუთრებით გაილაშქრეს სას.-მეურნეობის გეგმის ნაკლთა წინააღმდეგ. ბუნებრივია, რომ გეგმის ამ ნაწილს გაცილებით მეტი ნაკლი აქვს. მაგრამ ეს გამოწვეულია იმით, რომ სასოფლო მეურნეობა შეუდარებლად უფრო ძნელი დასაგეგმია, ვიდრე მრეწველობა.

ჩვენი გეგმის მიხედვით სასოფლო-მეურნეობის პროდუქცია 5 წლის განმავლობაში 48 პროცენტით იზრდება. საკავშირო გეგმაში კი სას. მეურნეობის პროდუქციის ზრდის ტემპი უფრო ჩქარია. ეს გარემოება სულ უბრალოდ აიხსნება: ჩვენი კავშირის სხვა კუთხეებში უმთავრესად ერთ წლიანი კულტურებია გავრცელებული. ამ კულტურებზე დახარჯული თანხა ეფექტს სწრაფად იძლევა. ჩვენში კი კაპიტალური დაბანდებანი უმთავრესად ხმარდება მრავალ წლიან ინტენსიურ კულტურებს, რომლებიც პროდუქციას მხოლოდ შემდეგ 5 წლედში მოგვცემენ. ასე მაგალითად, ჩაის მეურნეობაში დაბანდებული იქნება 54 მილიონი მანეთი, ვენახებზე—10 მილიონი მანეთი.

სამელიორაციო სამუშაოებზე, რომელიც 5 წლედის ბოლოს დასრულდება უნდა დაიხარჯოს 33 მილიონი მანეთი.

ამგვარად 100 მილიონამდე მანეთი ხმარდება ისეთ დარგებს, რომლებიც ამ 5 წლედში არ გაადიდებენ ჩვენი სასოფლო მეურნეობის საერთო პროდუქციას.

საბჭოთა მეურნეობებზე ჩვენ 24 მილიონი უნდა დავხარჯოთ. 5 წლედის ბოლოს ეს მეურნეობანი მხოლოდ 5 მილიონის პროდუქციას მოგვცემენ. ეს გარემოებაც ადვილი ასახსნელია იმით, რომ საქართველოში უმთავრესად მრავალ წლიანი კულტურების საბჭოთა მეურნეობებს ვაწყობთ და მათი პროდუქცია ახლო მომავალში საგრძნობი არ იქნება.

გეგმის შედგენის დროს სახელმწიფო საგეგმო კომისიას ერთი წუთითაც არ დავიწყებია პარტიის გენერალური ხაზი, რომელიც უმთავრესად მძიმე მრეწველობის განვითარებისაკენ არის მიმართული. მიუხედავად ამისა ჩვენ მაინც მეტი თანხები გადავდეთ სოფლის მეურნეობისათვის და ეს იმიტომ, რომ სასოფლო-მეურნეობა ჩვენში მეტად ჩამორჩენილია. ჩემის აზრით აქ არავითარ წინააღმდეგობას არ აქვს ადგილი.

ამხ. გოდაბრელიძე

უდავოა, რომ გეგმით მართლაც დიდი კაპიტალური ხარჯებია გათვალისწინებული. ამ ხუთი წლის განმავლობაში ჩვენ მრეწველობაში 600 მილიონ მანეთამდე თანხას ვაბანდებთ. მაგრამ ნაკლი ის არის, რომ მრეწველობის ზოგიერთი დარგებისათვის გეგმით მეტად ნელი ტემპია გათვალისწინებული. ასეთია მაგალითად, საფეიქრო მრეწველობა, აბრეშუმის მრეწველობა და სამთო - საქარხნო მრეწველობა.

ჩემის აზრით, ადგილობრივი მრეწველობის განვითარების გეგმა სრულიად მოკლებულია რეალურ საფუძვლებს. და ეს მაშინ, როდესაც ამ მრეწველობას დიდი ხვედრითი წონა აქვს ჩვენს მეურნეობაში და იგი საერთოდ მეტ ყურადღებას მოითხოვს.

ახალი მშენებლობის თვითღირებულება გეგმის მიხედვით 47 პროც-ით უნდა შემცირდეს. ეს პროცენტი არ არის საკმარისი. საკავშირო გეგმა ითვალისწინებს თვითღირებულების 50 პროცენტით შემცირებას, ჩვენ კი უფრო მეტ შემცირებასაც უნდა მივაღწიოთ, რადგან ახალი მშენებლობა ჩვენ დღემდე გაცილებით უფრო ძვირი გვიჯდება, ვიდრე ლენინგრადისა და მოსკოვის.

შრომის ნაყოფიერების აწევის საქმეში დიდი ეფექტის მოცემა შეუძლია განუწყვეტელ სამუშაო კვირას, რომლის შემოღებაც ჩვენ უკვე გადავსწყვიტეთ. გეგმაში კი ამის შესახებ არაფერია ნათქვამი.

დასასრულ, აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობის ტემპის გაძლიერება. მხოლოდ მუშაობის ტემპის გაძლიერებით შევსძლებთ ჩვენი სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის განხორციელებას.

ამხ. ასრიბეკოვი

საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა, რომელსაც ჩვენ ამჟამად ვიხილავთ, მრავალ არსებით შესწორებას საჭიროებს. მთავარი ხაზი, რომლის მიხედვითაც უნდა შედგენილიყო ხუთწლიანი გეგმა დიდი ხანია მოცემულია ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა ორგანოების მიერ. მიუხედავად ამისა ჩვენ გეგმაში მაინც ვერ ვხედავთ განვითარების საჭირო ტემპს. ეს აიხსნება იმით, რომ საგეგმო კომისიის სპეციალისტებს ვერ წარმოუდგენიათ, რომ ჩვენი მეურნეობა მუდამ კუს ნაბიჯით არ ივლის წინ.

გეგმაში არ არის მოცემული სახ. მეურნეობის ყველა დარგთა განვითარების სათანადო ანალიზი. ამიტომაც ეს გეგმა უფრო წააგავს სხვადასხვა უწყებათა გეგმების მექანიკურ შეერთებას. სწორედ ამიტომ მასში ცუდათ არის გათვალისწინებული კულტურული მშენებლობის საკითხები, არ არის დამაკმაყოფილებელი სასოფლო მეურნეობის საქონლიანობის ზრდა, არც ითქმის მოსავლიანობის გადიდების შესახებაც. გეგმაში სრულიად გამოტოვებულია საკითხი ნათეს მოედნების გადიდებისა და სოფლის მეურნეობის მექანიზაციის შესახებ.

კულტურულ მშენებლობის დარგში უმთავრეს ამოცანად უნდა დავისვათ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის მოხდენა უახლოესი სამი წლის განმავლობაში. ამ საქმეში ჩვენ აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ სოციალისტური შეჯიბრების პრაქტიკა.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ საწარმოების სოციალისტური შეჯიბრების მნიშვნელობა ბევრ ორგანიზაციას კარგად არ ესმის. ზოგიერთი პროფესიონალური კავშირი შეჯიბრებას მორიგ კამპანიად სთვლის, სამეურნეო მუშაკები კი ყველაზე ნაკლებ აქტივობას იჩენენ ამ საქმეში. ჯერ კიდევ მოწესრიგებული არ არის სოციალისტური შეჯიბრებით მიღებულ ვალდებულებათა შესრულების კონტროლი. ეს კი ფრიად სერიოზული საკითხია. მეორე მხრივ ცალკე ფაქტები გვეუბნებიან, რომ სოციალისტურ შეჯიბრებასთან დაკავშირებით ზოგ საწარმოში გაუარესდა პროდუქციის ხარისხი. სოციალისტური შეჯიბრების იდეის ასეთ დამახინჯებას სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს.

იყო შემთხვევა, როდესაც ჩვენი საწარმოების მუშები თავის სოფელში კოლექტივების დაარსების წინააღმდეგ ილაშქრებდნენ. ამ გარემოების მიზეზს სწავლობს ეხლა ლენრაიონი. პროლეტარული ცენტრების ინიციატივისა და დახმარების გარეშე წარმოუდგენელია სოფლის სოციალისტური გარდაქმნის საქმის წარმატებით სვლა. ამიტომაც თბილისის კომიტეტმა გადასწყვიტა მოაწყოს სპეციალური „შაბათობა“ სოფლის კოლექტივიზაციისათვის დახმარების აღმოსაჩენად. ეს „შაბათობა“ რასაკვირველია უკანასკნელი არ უნდა იქნეს.

5 წლიან გეგმაში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი თბილისის ადგილობრივი მრეწველობის გაფართოების შესახებ. ეს საკითხი კი ფრიად სერიოზული საკითხია, ვინაიდან მტკიცე საწარმოო ბაზის შეუქმნელად შეუძლებელია თბილისის აღმასკომის ფინანსიური მეურნეობის გაჯანსაღება. საჭიროა გეგმაში აუცილებლად იქნეს შეტანილი სათანადო დამატება.

მ ო ს კ ო ვ ი
(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

მარგანეცის ექსპორტი იზრდება

მოსკოვი, 10 ივლისი. საკავშირო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სამთო განყოფილებაში საბჭოთა მარგანეცის ექსპორტის პერსპექტივების შესახებ თქვენს კორესპონდენტს აცნობეს შემდეგი:

ჭიათურისა და ნიკოპოლის მარგანეცი თანდათან იპყრობს უცხოეთის ბაზარს. ჩვენ ფაქტიურად ჯერ-ჯერობით ვიბრუნებთ მსოფლიო ბაზარზე იმ პოზიციებს, რომელნიც დავკარგეთ იმპერიალისტური ომის შემდეგ. სხვა ქვეყნის მარგანეცის ექსპორტიორები ჰფიქრობდნენ, რომ ჰარიმანთან ხელშეკრულების დარღვევის შემდეგ ჩვენ ვერ შევძლებდით მარგანეცის ექსპორტის საქმის მოწესრიგებას. სინამდვილემ სულ სხვა დაანახვა ჩვენს კონკურენტებს. ჩვენ მნიშვნელოვნად გავადიდეთ მარგანეცის ექსპორტი; ჭიათურის მარგანეცის საუკეთესო ღირსება იმის საწინდარია, რომ მოთხოვნილება ჩვენს საექსპორტო მარგანეცზე კიდევ უფრო გაიზრდება. ჭიათურის მარგანეცი ხირისხობრივად მეტად კარგია. რაც შეეხება მარგანეცის ბუდობების სიმდიდრეს, ჭიათურას ამ მხრივ მთელ მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს.

მადანის ამოღების რაციონალიზაციისა და ჭიათურის მაღაროების უმაღლესი ტეხნიკის მიხედვით მოწყობის შემდეგ საქართველოს სრული შესაძლებლობა ექნება ადვილად დაიპყროს მთავარი პოზიციები მარგანეცის მსოფლიო ბაზარზე. ეს მიუხედავად იმისა, რომ მარგანეცის გამოზიდვა უცხოეთის ბაზარზე იზრდება და ეს ზრდა წინ უსწრებს მოთხოვნილებას ამ მადანზე.

გარბიან ტროცკისტული კონტრ-რევოლიუციის ბანაკიდან

მოსკოვი, 10 ივლისი. „პრავდა“ ეხება ტროცკისტულ კონტრ - რევოლიუციის შეუჩერებელ რღვევას და სწერს:

„პარტიის სწორი პოლიტიკის წყალობით სულ ახალი და ახალი ჯგუფები ეთიშება ტროცკისტულ კონტრ - რევოლიუციას. ყველა პატიოსანი მუშა სტოვებს ტროცკისტულ ბანაკს. გაზეთებში ხშირად იბეჭდება მუშების განცხადებები ტროცკიზმისაგან გამიჯვნის შესახებ. ტროცკიზმის დროშა ხდება ჩვენი ქვეყნის ყველა ბნელ ძალთა დროშად.

ამ უკანასკნელ კვირაში საკავშირო კომპარტიის ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ მიიღო განცხადება ოპოზიციის დაგმობის შესახებ შემდეგი ამხანაგებისაგან: გ. მათიკაშვილის, შახნაზაროვის, ბაბაიანის, ოჰანესიანის, შირიაევის, გელლერის და მრავალ სხვებისაგან.

ქალ. დანციგის დელეგაცია მოსკოვში

მოსკოვი, 10 ივლისი. „პრავდა“ ეხება ქალაქ დანციგის ეკონომიურ დელეგაციის ჩამოსვლას მოსკოვში და სწერს:

„დანციგი მშვენივრად არჩევს იმპერიალისტურ სახელმწიფოებისა და, ჩვენს დამოკიდებულებას ამ ქალაქისადმი. საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ეკონომიურ ურთიერთობის გაძლიერებას საბჭოთა კავშირსა და დანციგს შორის. დანციგის საუკეთესო ნავთსადგურის სატრანზიტო საშუალებანი საბჭოთა ექსპორტისათვის ჯერ თითქმის არ არის გამოყენებული“.

მონათმფლობელობის საშინელებანი ინგლისის კოლონიებში

მოსკოვი, 10 ივლისი. „პრავდა“-ს ლონდონელი კორესპონდენტი იტყობინება:

აქ შესდგა მონობის წინააღმდეგ მებრძოლ საზოგადოების კრება, რომელზედაც გამოაშკარავდა მონათმფლობელობის აღმაშფოთებელი ფაქტები ინგლისის ზოგიერთ კოლონიაში. კრებაზე, სხვათა შორის გამოქვეყნებულ იქნა ცნობები მონების აუტანელი მდგომარეობის შესახებ კოლონია გონკონგში. აქ დღემდე თავისუფლად სწარმოებს ცოცხალ ადამიანების — მონების ყიდვა-გაყიდვა. მონათმფლობელნი, უმეტეს შემთხვევაში ინგლისელი კოლონიზატორები იძულებულს ხდიან მონების 8—9 წლის გოგონებს სქესობრივი კავშირი დაიჭირონ მათთან.

ჯერ კიდევ 1923 წელში ჩერჩილი, საზოგადოებრივ აზრის ზეგავლენით, იძულებული იყო განეცხადებია, რომ მონამფლობელობა ინგლისის იმპერიაში გაუქმებული იქნებაო. მიუხედავად ამისა, მონათა დაუზოგავად ყოველმხრივი ესპლოატაცია და მონებით ვაჭრობა არა თუ შესწყდა, არამედ კიდევ უფრო განვითარდა.

უკანასკნელი ცნობები

სამხედრო შეთქმულების აღმოჩენა რუმინეთში

ვენა, 8 ივლისი. ბუქარესტიდან მიღებული ცნობით, რუმინეთში აღმოაჩინეს სამხედრო შეთქმულება, რომელიც მიზნად ისახავდა ნაციონალურ-გლეხური პარტიის მთავრობის დამხობას და სამხედრო დიქტატურის გამოცხადებას. შეთქმულნი აპირებდნენ ხელმწიფო დაწესებულებების ხელში ჩაგდებას და მინისტრების დაპატიმრებას.

დააპატიმრეს 200-მდე ოფიცერი. დაპატიმრებულთა შორის არის გენერალ-ინსპექტორი ბროჯეანუ (ადს).

ვენა, 9 ივლისი. იუწყებიან, რომ რუმინეთის მთავრობა სცდილობს ამ დღეებში აღმოჩენილი სამხედრო შეთქმულება საზოგადოებას მოაჩვენოს როგორც უმნიშვნელო ინციდენტი. გამოქვეყნდა შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება შეთქმულების სრული ლიკვიდაციის შესახებ. განცხადებაში ნათქვამია, რომ შეთქმულება მოწყობილი იყო „რამდენიმე სამოქალაქო აგიტატორის მიერ და მასში მონაწილეობას იღებდა მხოლოდ ბუქარესტის არსენალის ორი ოფიცერი და რამდენიმე მუშა“.

ამ ცნობის წინააღმდეგ გამორკვეულია, რომ შაბათ ღამეს, მთავრობის განკარგულებით, ბუქარესტში ჯარებმა დაიკავეს საზოგადოებრივი დაწესებულებები: მთავარი ფოსტა, რკინის გზის სამმართველო, ნაციონალური ბანკი და სხვ. ჯარები დაგროვილია აგრეთვე ბუქარესტის ირგვლივ. მომხდარ დაპატიმრების მიხედვით, უყოყმანოდ შეიძლება ითქვას, რომ შეთქმულებაში, უმთავრესად მონაწილეობდენ სამხედრო პირები. გაზეთებს აეკრძალა შეთქმულებაზე წერა. უცხოელი კორესპონდენტების დეპეშებს ცენზურას უკეთებენ და ნაწილობრივ აკავებენ. დააკავეს ფაშისტური „ეპოქა“, რომელმაც ორშაბათს გამოაქვეყნა ცნობა შეთქმულების შესახებ. უნგრეთის გაზეთები ამტკიცებენ, რომ ლიბერალური პარტიის ბელადმა ბრატიანუმ და დუკამ იცოდნენ შეთქმულთა გეგმები (ადს).

ჰენდერსონის წერილი საგარეო პოლიტიკის შესახებ

ჰელსინგფორსი, 9 ივლისი. შვეციის სახალხო პარტიის ორგანო „გუუდსტადსბლადეტ“-ი, რომელიც გამოდის ჰელსინგფორსში, დღეს ათავსებს ჰენდერსონის მიერ სპეციალურად ამ გაზეთისათვის დაწერილ წერილს სათაურით: „ჩემი საგარეო პოლიტიკის მიზნები“. ჰენდერსონი წერილში ჩამოსთვლის პოლიტიკის ზოგად ამოცანებს და აღნიშნავს, რომ მისი პროგრამის შემდგომ ძირითად საკითხს წარმოადგენს საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა. ამ საკითხის გარშემო ჰენდერსონი, ეკამათება რა კონსერვატორებს, სწერს: „ყველას მეხსიერებაში ჯერ კიდევ ცოცხალია ის შემთხვევა, რომ ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა გამოიყენეს ზინოვიევის წერილი. მათ ამ შემთხვევით ისარგებლეს მხოლოდ შინაგანი პოლიტიკური მოსაზრებებით, მაგრამ, ცხადია, არავის შეეძლო დაეჯერა, რომ მუშათა პარტია გახდება მორჩილ იარაღად მეორე პარტიის ხელში. მუშათა პარტია ისევე დამოუკიდებელია კომუნისტური პარტიისაგან, როგორც მაგალითად კონსერვატორების პარტიისაგან. იმის მტკიცება, თითქოს მუშათა პარტიას შეუძლია გახდეს მოსკოვის მორჩილი იარაღი, თვითეული მოაზროვნე ადამიანისათვის მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. ამასთანავე ისევე, როგორც კონსერვატიულ მთავრობებს, ჩვენც შეგვიძლია დავამყაროთ დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან, მაგრამ ისე, რომ არავის მივსცეთ ნება გამოვიყენოს ჩვენ კომუნისტური პროპაგანდის მიზნებისათვის. (ადს).

დენისა და პერის პროცესი

პარიზი, 9 ივლისი. პარიზის სასამართლოში (ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე) გაირჩა „იუმანიტე“-ს პასუხისმგებელ რედაქტორის პერის და ამავე გაზეთის უცხოეთის განყოფილების გამგე დენის საქმე. მათ ბრალდებოდათ „მკვლელობისაკენ მოწოდება ანარქისტული პროპაგანდის მიზნით“. ბრალდების მიზეზი გახდა გაზეთის 20 მაისის ნომერში მოთავსებული წერილი, რომელიც მოითხოვდა იტალიელ კომუნისტ ტერრაჩინის დაცვას. ტერრაჩინის სასჯელი მიუსაჯეს „იტალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროცესის“ გამო და დამწყვდეული იყო სან-სტეფანოს საკატორღო ციხეში, სადაც მის მიმართ საშინელი რეჟიმი იყო გამოყენებული; როდესაც ასეთი რეჟიმის გამო ტერრაჩინი მძიმე ავადმყოფი შეიქნა, ყველა ქვეყნის მუშათა მასებმა გაშალეს ფართო საპროტესტო კამპანია, რის შედეგად ტერრაჩინი სან-სტეფანოს ციხიდან ფლორენციაში გადაიყვანეს.

სასამართლოში წარმოთქმულ სიტყვაში პერიმ განაცხადა, რომ ის თავის წერილში პარიზის ფრანგ და იტალიელ მუშებს მოუწოდებდა არა ინდივიდუალური მუშაობისაკენ, არამედ კომუნიზმის კედელთან მანიფესტაციაში მონაწილეობის მისაღებად. „მაგრამ მე არ მაკვირვებს ის, რომ მე სამართალში ვიქენი მიცემული,—სთქვა პერიმ,—რადგან ვიცი, რომ საფრანგეთის მთავრობას სურს შეამსუბუქოს საფრანგეთის და იტალიის კაპიტალისტებს შორის არსებული კონფლიქტი და სიამოვნებით აკმაყოფილებს იტალიის მთავრობის მოთხოვნილებას საფრანგეთის ტერიტორიაზე ფაშიზმის ყველა მოწინააღმდეგეთა დევნის შესახებ. მიუხედავად ამისა ეს ხელს ვერ უშლის იტალიის პროლეტარიატს, აწარმოოს ბრძოლა იტალიის ფაშისტური მთავრობის წინააღმდეგ, ხოლო საფრანგეთის პროლეტარიატს—საფრანგეთის ყალბი, დემოკრატიული მთავრობის წინააღმდეგ.

სასამართლომ ორივე ბრალდებულს მიუსაჯა ერთი წლის პატიმრობა (ადს).

მთავრობის შედგენა მიენდო შტრანდმანს

რეველი, 8 ივლისი. პარლამენტის თავმჯდომარემ ეინბუნდმა ახალი მთავრობის შედგენა მიანდო შრომის ჯგუფის ბელადს შტრანდმანს. (ადს).

მზადება საერთაშორისო წითელი დღისათვის

სტოკჰოლმი, 9 ივლისი. ნორვეგიაში ფართოდ გაიშალა მუშაობა საერთაშორისო წითელი დღის მზადების გარშემო. ყველგან ტარდება კონფერენციები სამხედრო საფრთხის საწინააღმდეგო ბრძოლის საკითხებზე და ფართო მასების წინაშე საერთაშორისო წითელი დღის ამოცანების განმარტების მიზნით. 10 ივლისს კონფერენცია მოხდება ბერგენში, 17 ივლისს—ოსლოში. გარდა ნორვეგიის კომპარტიის და კომუნისტური ახალგაზრდობის წარმომადგენლებისა, კონფერენციაზე მონაწილეობას მიიღებენ ქარხნების, სასპორტო ორგანიზაციების, უმუშევართა და რემდასის წარმომადგენლები. (ადს).

კომუნისტებმა მოიგეს ორი მანდატი

ჰელსინგფორსი, 8 ივლისი. დღემდე მიღებული ცნობებით, კომუნისტებმა საიმის არჩევნებში მოიპოვეს ორი მანდატი. (ადს).

მოკვლის განზრახვა, თუ ინსცენირობა

ვენა, 8 ივლისი. სოფიიდან იუწყებიან, რომ უცნობმა პირებმა სროლა აუტეხეს კრიჩანიდან პლოვდივში მიმავალ ავტომობილს, რომელშიაც ბულგარეთის მაღალი თანამდებობის პირები ისხდნენ. პოლიცია აცხადებს, რომ თავდამსხმელებს სურდათ პრემიერ ლიაპჩევის მოკვლა, რომელმაც ერთი საათით ადრე გაიარა ამ გზაზე. ახლო-მახლო სოფლებში დააპატიმრეს გლეხთა კავშირის მომხრეები. ამ კავშირის მოღვაწეები ამტკიცებენ, რომ თავდასხმა მოწყობილია იმ მიზნით, რომ გააძლიერონ რეპრესიები. (ადს).

—:—

ნორაგავიტის არხის გარღვევა

ერევანი, 9 ივლისი. 8 ივლისს, სალამოს ექვს საათზე მოსულ კოკისპირულმა წვიმამ სეტყვით, ძლიერ დააზიანა ნორაგავიტის არხი. წყალთა მეურნეობის სამმართველოს მიერ მიღებული იქნა სასწრაფო ზომები დაზიანებულ არხის შესაკეთებლად. მიუხედავად სათანადო ზომების მიღებისა, ქალაქ ერევანში წყალმა დაფარა რამოდენიმე სახლი. დაზარალებულთ დროზე აღმოუჩინეს დახმარება. მეხანძრეთა რაზმს რამოდენიმეჯერ მოუხდა ქალაქის სხვადასხვა ადგილებში გასვლა სარდაფებიდან წყლის ამოსაქაჩავად.

სეტყვამ ძლიერ დააზიანა ერევნის ბაღები. ზარალი ირკვევა.

კოოპერაციის საერთაშორისო დღე გერმანიაში

ბერლინი, 8 ივლისი. კოოპერაციის საერთაშორისო დღეს მოხდა ოთხი მასიური მიტინგი, მოწვეული კომუნისტების მიერ. მიტინგზე მიღებულ რეზოლიუციებში პროტესტია გამოცხადებული, იმის გამო, რომ სოციალ-დემოკრატები მუშათა კოოპერატივებში გათიშვის პოლიტიკას აწარმოებენ. რეზოლიუციებში აგრეთვე პროტესტია გამოცხადებული ფართო მოხმარების საგნებზე ფასების გადიდების გამო. (ადს).

გრჟეზინსკი, ცერგიბელი და ორლოვი

ბერლინი, 8 ივლისი. „როტე ფანე“-ში დაბეჭდილია ორლოვის ერთი წერილის ფაქსიმილე. ორლოვი სწერს: იგი გერმანიიდან არ გადაასახლეს იმიტომ, რომ „გერმანიის მთავრობამ დაფარა მისი მოღვაწეობა“. გაზეთი აღნიშნავს, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებზედაც დამოკიდებული იყო ორლოვის გადასახლება, არიან სოციალ-დემოკრატები—გრჟეზინსკი და ცერგიბელი.

ამ წერილიდან სჩანს, რომ ორლოვი მრავალ ყალბ საბუთს აწოდებდა იმ საინფორმაციო ბიუროს სათავეში მდგომ მაიორ რაუს, რომელიც, „როტე ფანე“-ს სიტყვით, სუბსიდიას ღებულობს შინაგან საქმეთა და სამხედრო სამინისტროებისაგან. (ადს).

ფაშისტებისა და მენშევიკების მოლაპარაკება

ვენა, 8 ივლისი. ბუდაპეშტიდან იუწყებიან: უნგრეთის პრემიერი ბეტლენი მოლაპარაკებას აწარმოებს სოციალ-დემოკრატებთან იმის შესახებ, რომ პარლამენტის სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ ითანამშრომლოს მთავრობასთან.

მემარცხენე მუშათა წრეებში აღნიშნავენ, რომ სოციალ-დემოკრატებმა არა ერთხელ დაიწყეს ასეთი მოლაპარაკება ფაშისტურ მთავრობასთან. ორი წლის წინათ მოლაპარაკება უნაყოფოდ დამთავრდა, რადგან მან დიდი აღშფოთება გამოიწვია პარტიის უმაღლო წევრებს შორის. მიუხედავად ამისა, უნგრეთის სოციალ-დემოკრატების ლიდერებს სურთ შეუთანხმდნენ მთავრობას. (ადს).

15 ივლისს სრულდება 25 წელი მწერალ ა. პ. ჩეხოვის გარდაცვალებიდან.

სურათზე: ჩეხოვის ძეგლი გერმანიის კურორტ ბადენ ვაილერში, სადაც გარდაიცვალა მწერალი 1904 წელს. საერთაშორისო ომის დროს გერმანიის იმპერიალიზმმა მოხსნა ძეგლი და გაგზავნა კრუპის ქარხნებში რომ იქიდან ჩამოესხათ ზარბაზანი.

მოითხოვენ პოლიტპატიმართა განთავისუფლებას
ინგლისსა და ინდოეთში

ლონდონი, 8 ივლისი. 12 ქალი, რემედასის წევრი, მივიდა თემთა პალატაში და მოითხოვა მუშათა პარტიის დეპუტატების ნახვა. დელეგატმა ქალებმა სთხოვეს დეპუტატებს, რომ ხელი შეეწყოთ პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლებისათვის ინგლისსა და ინდოეთში. დეპუტატებმა ლოუტერმა, მორბინმა და სხვებმა უარი უთხრეს პირობის მიცემაზე. მაშინ დელეგატმა ქალებმა გადაიძრეს პალტოები და გამოაჩინეს თავიანთი ტანისამოსი პლაკატებით და ლოზუნგებით: „გაანთავისუფლეთ მირუტელი პატიმრები“, „გაანთავისუფლეთ კრომლინგტონელი მემაღაროები“. დელეგატმა ქალებმა დაიწყეს ინტერნაციონალის სიმღერა, რამაც დიდი აღიაქოთი გამოიწვია. პოლიციამ დელეგატები გაადევა. (ადს).

კამპანია დაპატიმრებულ ფეიქართა განსათავისუფლებლად

ნიუ - იორკი, 8 ივლისი. ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტია ამზადებს მასიურ კამპანიას გასკონიაში (ჩრდილოეთი კაროლინა) დაპატიმრებული იმ 15 ფეიქარის დასახსნელად, რომელთაც პოლიციის უფროსის მოკვლა ჰბრალდებათ. ეს უკანასკნელი მოკლულ იქნა იმ დროს, როდესაც პოლიცია თავს დაესხა ფეიქართა საბანაკო ქალაქს და როდესაც გაფიცულნი ქარხნის ბინებიდან გამოასახლეს.

თხუთმეტსავე დაპატიმრებულს სიკვდილით დასჯა მოელის. ყველგან ეწყობა საპროტესტო მიტინგები (ადს).

ყალბი საბუთების დამამზადებლის დაპატიმრება
რუმინეთში

ვენა, 8 ივლისი. ბუქარესტიდან მიღებულ ცნობებით, რუმინეთის პოლიციამ დააპატიმრა ვაჭარი ჰოლდი, ყალბი „დიპლომატიური“ საბუთების დამამზადებელი ქარხნის მეთაური. ქარხანა, სხვათა შორის, ამზადებდა ანტისაბჭოთა ყალბ საბუთებს. მან თავის დროზე დაამზადა „საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის (ვენაში) მოხსენება“, რომლითაც უნდა დამტკიცებულიყო „ნაციონალურ-გლეხური პარტიის კავშირი საბჭოთა მთავრობასთან“. ეს ყალბი მოხსენება ჰოლდმა 200.000 ფრანკად მიჰყიდა რუმინეთის მაშინდელ ლიბერალურ მთავრობას.

ბირონს, რომელმაც ბუქარესტის გაზეთებს საბუთის სიყალბე აცნობა, 8 წლის პატიმრობა მიუსაჯეს. (ადს).

სხვა და სხვა

● დამცველთა კომიტეტი. ინგლისში შეიქმნა მირუტის საქმეში ბრალდებულთა დამცველი კომიტეტი. კომიტეტის წევრებს შორის არიან მექსტონი, კუკი, მარდი, ჯონს მერფი, საკლატვალა, სინხა და გოსიპი. კომიტეტს სურს მოაწყოს კამპანია ბრალდებულთა განსათავისუფლებლად და მოუპოვოს ინდოეთის მუშათა კლასის ორგანიზაციებს პოლიტიკური და პროფკავშირის უფლებანი (ადს).

● ვარშავის ოლქის ლეგიონერთა ხმა. გაიმართა ვარშავის ოლქის ლეგიონერთა ყრილობა. ყრილობის რეზოლიუცია მხარს უჭერს „მთავრობასთან თანამშრომლობის ბლოკის“ მიერ წამოყენებულ პროექტს საარჩევნო კანონის შესახებ. რეზოლიუცია სურვილს გამოსთქვამს, რომ „კონსტიტუციონური რეფორმების“ განხორციელებამდე წოდებრივი და საზოგადოებრივი დაწესებულებების წარმომადგენელთაგან შექმნას სათათბირო ორგანოები (სეიმისა და სენატის ნაცვლად). (ადს).

● კავშირიდან გამორიცხვა. ერ. გერმანიის მეტალისტთა კავშირის აღმასკომმა კავშირიდან გამორიცხა ხარატების სექციის ცნობილი მუშაკი ბალასი, რომელიც მემარცხენე რევოლიუციონურ ფრთას ეკუთვნის. გამორიცხვის ოფიციალური საბაბი ის იყო, რომ ბალსმა ბერლინის ლითონის მრეწველობის ერთ-ერთ საწარმოში სიტყვა წარმოსთქვა იმ გაფიცვის სასარგებლოდ, რომელიც გამოცხადებულ იქნა პროფკავშირთა ორგანოების აკრძალვის მიუხედავად. (ადს).

საბჭოთა კავშირში

ზაამის მოსვლა

მოსკოვი, 9 ივლისი. მოსკოვში მოვიდა დანციგის სენატის თავმჯდომარე ზაამი დანციგის მთავრობის სხვა წარმომადგენელთა თანხლებით (ადს).

„კრასინ“-ი

ლენინგრადი, 9 ივლისი. გემი „კრასინ“-ი ლენინგრადში მოვიდა და 9 ივლისს საზღვარგარეთ გაემგზავრება, რათა შემდეგ შეუერთდეს კარსის ექსპედიციას (ადს).

ხე-ტყის გადამზიდავი ახალი გემები

ლენინგრადი, 9 ივლისი. ბალტიის გემთსაშენ ქარხანაში წყალში ჩაშვებულ იქნა ხე-ტყის გადამზიდავი ორი ახალი გემი. (ადს).

აეროპლანის „კრილია სოვეტოვ“-ის სტარტი

მოსკოვი, 9 ივლისი. 10 ივლისს დილის 3 საათზე მოსკოვის ცენტრალურ აეროდრომზე გაიმართება აეროპლანის „კრილია სოვეტოვ“-ის სტარტი, რომელიც გაფრინდება მოსკოვ-ბერლინ-პარიზი-რომი - ვენა-მიუნხენ ბერლინ - ვარშავა - მოსკოვის მარშუტით. (ადს).

აეროპლანების გადაცემა

მოსკოვი, 9 ივლისი. 7 ივლისს მოსკოვის ცენტრალურ აეროდრომზე მუშურ-გლეხურ წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ფლოტს გადაეცა 4 აეროპლანი: „კრასნი ამოვეც“, „კომუნარი“, „კრასნაია პრესნია“ და „მოსკოვ-პრომსოიუზი“. ეს აეროპლანები ააგეს მშრომელთა ნებაყოფლობითი ანარიცხებით. (ადს).

ტყვიის და თუთიის მადნები

ლენინგრადი, 9 ივლისი. გამომკვლევმა პარტიებმა კაზაკსტანში აღმოაჩინეს ტყვიისა და თუთიის დიდი მადნები (ადს).

გაზით მოწამვლა

ბერდიჩევი, 9 ივლისი. ილიჩის სახელობის ტყავის ქარხანაში უბედური შემთხვევა მოხდა. მთრიმლავი განყოფილების მუშა ანდრუხოვიჩი მუშაობის შესამოწმებლად ჩაეშვა კასრში, სადაც გაზით მოიწამლა. მის დასახმარებლად კასრში ჩაეშვა 6 მუშა და ინჟინერი მეტალსონი, რომლებიც აგრეთვე მოიწამლნენ გაზით. ინჟენერი და სამი მუშა გარდაიცვალა. დაღუპულთა დაკრძალვაში მონაწილეობა მიიღეს ქალაქის ყველა საწარმოს მუშებმა (ადს).

მე-16 პარტკონფერენციის გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება

მოსკოვი, 9 ივლისი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცკას პრეზიდიუმის და საკავშირო მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის უკანასკნელ სხდომაზე დადგენილ იქნა, რომ ყოველმა სახალხო კომისარიატმა და ცენტრალურმა დაწესებულებამ თავის აპარატში მოაწყოს სისტემატიური კონტროლი იმის შესამოწმებლად, თუ რამდენად სრულდება მე-16 პარტკონფერენციის და საკავშირო საბჭოების მე-5 ყრილობის დავალებანი.

რესპუბლიკანურ და საოლქო საკონტრ. კომისიებს და მუშ. და გლ. ინსპექციებს წინადადება მიეცათ შემოიღონ ასეთივე წესი მე-16 პარტკონფერენციის და საკავშირო საბჭოების მე-5 ყრილობის, აგრეთვე ადგილობრივი პარტკონფერენციების და საბჭოთა ყრილობების გადაწყვეტილებათა შესრულების შესამოწმებლად. (ადს).

ავიობრიგადების მეთაურთა გადაფრენა

მოსკოვი, 9 ივლისი. ავიობრიგადების მეთაურთა დიდი გადაფრენა, მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალთა სამმართველოს ცნობით, წარმატებით მიმდინარეობს. აეროპლანები და მოტორები საუცხოვო მდგომარეობაშია (ადს).

მოსკოვი, 9 ივლისი. 8 ივლისს, 14 საათ. 10 წუთზე ოსადჩი და გორბუნოვი ჰაეროპლან „ცენტროსოიუზი“-ით პირველნი მოფრინდნენ მოსკოვში. მათ დაამთავრეს დიდი გადაფრენა.. მათმა აეროპლანმა ჰაერში დაჰყო თითქმის 35 საათი. მიფრინავდა 150 კილომეტრზე მეტი სისწრაფით საათში (ადს).

უკრაინის კომკავშირის 10 წლის თავი

ხარკოვი, 9 ივლისი. 7 ივლისს უკრაინაში ზეიმით გადაიხადეს უკრაინის კომკავშირის არსებობის ათი წლის თავი.

ამ ათი წლის თავის აღსანიშნავად კიევში გაზეთ „მოლოდოი ბოლშევიკ“-მა წამოაყენა სრულიად უკრაინის კვირაობის გამართვის იდეა ღარიბთა დასახმარებლად მოსავლის აკრეფაში. გაზეთმა კვირაობაში მონაწილეობისათვის გამოიწვია უკრაინის კომკავშირის ორგანიზაციები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, საადგილ-მამულო დაწესებულებანი და კომკავშირის გაზეთების რედაქციები.

კონოტოპის ოლქში, უკრაინის კომკავშირის არსებობის ათი წლის თავის აღსანიშნავად მოეწყო კომუნა 800 ჰექტარ მიწაზე. (ადს).

ახალი თურქული ანბანი
თურქებისა და თათრების სახელმწიფო ნაციონალური ანბანია

მოსკოვი, 8 ივლისი. რუსეთის ცაკის პრეზიდიუმმა მოიწონა კანონპროექტი, რომლითაც ახალი თურქულ-თათრული ანბანი აღიარებულია თურქების, თათრების და ყველა იმ ერის სახელმწიფო ნაციონალურ ანბანად, რომელშიაც არაბულიდან ახალ ლათინურ ანბანზე გადავიდნენ. ცაკის პრეზიდიუმმა მხედველობაში მიიღო ის, რომ ახალ თურქულ-თათრულ ანბანზე საბოლოო გადასვლა დამოკიდებულია სათანადო საბჭოთა ორგანოების ტეხნიკურ მომზადებაზე, ამიტომ საჭიროდ სცნო, სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ პოლიგრაფიული მრეწველობა უზრუნველჰყოს საჭირო მოწყობილებით. (ადს).

საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის

მეტი ყურადღება ქალების გასამხედროებას

ბურჟუაზიული სახელმწიფოები უდიდეს ყურადღებას აქცევენ ქალების გასამხედროების საქმეს და მათ მომზადებას საომარ დროისათვის.

1927 წლის გაზაფხულზე საფრანგეთში გამოიცა კანონი, რომელშიაც ნათქვამია, რომ „ომის დროს ყველა ფრანგები, განურჩევლად სქესისა და წლოვანებისა და აგრეთვე კანონის საფუძველზე არსებული ყველა საზოგადოებები, ვალდებულნი არიან მიიღონ მონაწილეობა ქვეყნის თავდაცვაში“.

ასეთივე კანონი გამოიცა ამერიკაში და პოლონეთში.

გერმანიაში არსებობს ქალების სპეციალური სამხედრო ორგანიზაცია „დედოფალ ლუიზას კავშირი“, ეს კავშირი ასწავლის ქალებს სამხედრო საქმეს, ატარებს ქალების ბანაკობას და სხვა.

ჩვენი მოსაზღვრე სახელმწიფოები, როგორიც არის ლატვია, ლიტვა, ესტონეთი, ფინეთი არ ჩამორჩებიან დიდ სახელმწიფოებს და იღებენ ყოველგვარ ზომებს ქალების ჩასაბმელად სამხედრო საქმიანობაში.

როგორ არის დაყენებული ჩვენთან ქალების გასამხედროების საქმე?

საბჭოთა რუსეთის ქალაქებსა და სოფლებში უკვე დიდი ხანია, რაც მუშა-ქალები აქტიურად მუშაობენ გასამხედროების ფრონტზე და ემზადებიან თავდაცვისათვის. მუშა-ქალები, იარაღის ხმარებასთან ერთად, სწავლობენ ისეთ საგნებსაც, რომელიც საჭიროა ომის დროს ზურგში მუშაობისათვის, როგორიც არის სანიტარული საქმე, მუშაობა ტელეგრაფზე, ტელეფონზე, რადიოზე და სხვა.

გასულ წელში მოსკოვის, კიევის და ურალის მანევრებში მიიღო მონაწილეობა მრავალ ათასმა მუშა-ქალმა, ამ მანევრებზე მუშა-ქალებმა გამოიჩინეს იშვიათი აქტიობა და დაამტკიცეს, რომ ომის დროს მათ შეუძლიათ გაუწიონ დიდი სამსახური წითელ არმიას.

სამწუხაროდ, ამის თქმა არ შეიძლება ჩვენ მუშა-ქალებზე, რაც, უმთავრესად, მიეწერება თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციების უმოქმედობას.

საქ. ავიაქიმის ცნობით ქალების რიცხვი ავიაქიმის ორგანიზაციებში უდრის მთელ წევრების 17 პროც. ეს რიცხვი ძალიან მცირეა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არ არის მიღებული სათანადო ზომები მშრომელი ქალების ჩასაბმელად ავიაქიმის რიგებში.

ქალები არ იღებენ მონაწილეობას ავიაქიმის პრაქტიკულ ორგანიზაციების მუშაობაში, რაც აიხსნება იმით, რომ ეს ორგანიზაციები არა სცდილობენ გამოუნახონ ქალებს ისეთი სამუშაო, რომელიც დააინტერესებს მათ.

მუშა-ქალების უმნიშვნელო რიცხვი მუშაობს მხოლოდ ქალაქად არსებულ სანიტარულ და სასროლო წრეებში. რაც შეეხება სოფელს, აქ ჩვენ ვხედავთ სავსებით უნუგეშო სურათს—გლეხი-ქალები მიტოვებული არიან ბედის ამარა, არავინ ზრუნავს იმაზე, რომ შეასწავლონ გლეხ-ქალებს თავდაცვის ხერხები და დაჭრილ-ავადმყოფთა მოვლა-პატრონობა.

ასეთ მდგომარეობას უნდა მოეღოს ბოლო. მშრომელ ქალებს უნდა ვასწავლოთ იარაღის ხმარება. იარაღის ხმარება კი გულისხმობს არა მარტო სროლის საქმის შესწავლას, არამედ შესწავლას სამხედრო საქმის, თავდაცვის ხერხების.

მომავალ ომის დროს ქალებს მოუხდებათ მუშაობა უმთავრესად ზურგში, ამიტომ ავიაქიმმა უნდა მოამზადოს ქალები ზურგში მუშაობისათვის, უნდა შეასწავლოს მათ კავშირის და სანიტარული საქმე. ყოველმა მშრომელმა ქალმა კარგად უნდა იცოდეს თავდაცვის ხერხები, უნდა ერკვეოდეს საბრძოლო პირობებში.

ეს კი მიღებული იქნება მაშინ, როდესაც მშრომელ ქალებს შეუქმნით სათანადო პირობებს ავიაქიმის ორგანიზაციებში სამუშაოდ, გავაძლიერებთ ქალთა შორის მომუშავე სექციების საქმიანობას.

ავიაქიმელი.

მუშაობა მოისუსტებს
(პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა)

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბის თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედის მუშაობა საგრძნობლად მოისუსტებს.

ერთად-ერთი პრაქტიკული ორგანიზაცია, რომელიც ჰქონდა უჯრედს, იყო ტირი, მაგრამ, უკვე რამოდენიმე თვეა, რაც ტირი აღარ არსებობს და მუშები მოკლებულნი არიან საშუალებას აწარმოონ სროლა და შეისწავლონ სროლის ხერხები.

ავიაქიმის უჯრედმა ჯერ-ჯერობით ვერ შესძლო სამხედრო ცოდნათა წრის ჩამოყალიბება. ამ მიმართულებით იყო რამოდენიმე ცდა უჯრედის მხრივ, მაგრამ ამ ცდებმა ვერ გამოიღეს ვერავითარი ნაყოფი. სტამბას აქვს კავშირი № ქართ. საარტ. ლეგიონთან, რომელმაც გამოჰყო მეთაურები სამხედრო წრის ხელმძღვანელებათ, მხოლოდ ვერ მოხერხდა წრის წევრების თავის მოყრა.

ავიაქიმის რაიონული საბჭო არ უწევს სტამბის უჯრედს სათანადო ხელმძღვანელობას, საბჭოს ჯერ არ გადაუდგამს არავითარი ნაბიჯი სტამბ. უჯრედის მუშაობის გასაცნობად, ადგილობრივი პირობების და იმ მიზეზების გამოსარკვევად, რომლებიც ხელს უშლიან უჯრედის მუშაობას.

სტამბის მუშა.

ქალი მანევრებზე

რა გვიშლის ხელს
(წერილი ბათომიდან)

აჭარისტანის თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციამ დროზე მიაქცია ყურადღება სექციების ჩამოყალიბებას და მათი მუშაობის დაყენებას სწორ და საღ ნიადაგზე.

ამჟამად ორგანიზაციასთან მუშაობს შემდეგი სექციები: სამხედრო-საზღვაო, საჰაერო-ქიმიური თავდაცვის, მედიკო-სანიტარული, სასოფლო-სამეურნეო და ქალთა შორის მომუშავე.

ყველა სექციების მუშაობა, გარდა ქალთა შორის მუშაობის, მიმდინარეობს დამაკმაყოფილებლად და ამ მუშაობამ გამოიღო კიდეც სათანადო ნაყოფი.

სამხედრო-საზღვაო სექციას უკვე აქვს 30-მდე სასროლო წრე, რომლებშიაც ითვლება 370 წევრი. სექცია რეგულიარულად ატარებს შეჯიბრებებს სროლაში, საველე მეცადინეობას და მანევრებს.

ნაყოფიერად მუშაობს აგრეთვე საჰაერო-ქიმიური თავდაცვის სექცია, რომელმაც შესძლო საჰაერო-ქიმიური რაზმების ჩამოყალიბება და მომზადება.

სექციას აქვს აგრეთვე ქიმიური წრეები, რიცხვით 17.

ქიმიურ რაზმებში და წრეებში ირიცხება დაახლოებით 970 კაცი, რომელთა შორის 57 ქალია.

მედიკო-სანიტარული სექცია უმთავრესად ზრუნავს სანიტარული და პირველი დახმარების წრეების ორგანიზაციაზე. დღიდან დაარსებისა, სექციამ მოამზადა 160 სანიტარი. სანიტარები გაერთიანებული არიან სანიტარულ რაზმებში, რომლებიც იმყოფებიან "წითელი ნახევარ მთვარის" განკარგულებაში.

სასოფლო-სამეურნეო სექციის მუშაობა არ არის ნაყოფიერი, რადგან სექციას არა აქვს სათანადო თანხები მუშაობის საწარმოებლად. მიუხედავათ ამისა, სექციამ მაინც შესძლო მნიშვნელოვანი მუშაობის ჩატარება, რაც გამოიხატა ლექციების მოწყობაში ქიმიურ სასუქის გამოყენების ირგვლივ, აგრეთვე სექცია აწარმოებს პრაქტიკულ მუშაობას ქიმიური საშუალებების გამოსაყენებლად სოფლის მეურნეობაში, როგორიც არის ხელოვნური სასუქების ხმარება და ბაღ-ვენახების წამლობა ქიმიურად.

ქობულეთსა და ბათომში სექციამ მოაწყო კუთხეები, სადაც გამოფენილია ქიმიური სასუქების ექსპონატები.

სექციების მუშაობას უმთავრესად ხელს უშლის ის გარემოება, რომ მათ არა აქვთ შემუშავებული მტკიცე სამუშაო გეგმა ბევრ სექციას არა ჰყავს სათანადოთ მომზადებული ხელმძღვანელები და არ მოეპოებათ საჭირო მასალა და ხელსაწყოები.

ამ გარემოებას უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება, რათა სექციების მუშაობა მომავალში უფრო გაფართოვდეს და განმტკიცდეს.

ბათომელი.

ეხმარებიან წითელ არმიელების ოჯახებს
(№ ქართ. მსრ. ლეგიონი)

სამთვიან სამოსწავლო შეკრებასთან დაკავშირებით, ჩვენს ლეგიონში მოხვდნენ ისეთი წითელი არმიელები, რომლებიც ეკუთვნიან უღარიბეს ოჯახებს.

ლეგიონმა გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ამ წითელ არმიელების გაწვევამ სამი თვით შეიძლება იქონიოს უარყოფითი გავლენა მათ მეურნეობაზე და გადასდგა სათანადო ნაბიჯი მათთვის დახმარების აღმოსაჩენად.

შედგენილ იქნა უღარიბეს არმიელთა სია, რომლებიც გადაეგზავნა სათანადო მაზრებს თხოვნით, რომ ამ არმიელების ოჯახებს მიექცეს ყურადღება.

ლეგიონის ასეთ მიმართვას პირველად გამოეხმაურა ოზურგეთის სამაზრო აღმასკომი. მან აცნობა ლეგიონს, რომ თემსაბჭოებს მიეცა წინადადება მიიღონ ზომები, რათა უზრუნველყოფილ იქნენ სამთვიან შეკრებაზე გაწვეულ არმიელთა ოჯახები.

წითელ არმიელთა ოჯახებს მიეცემათ კრედიტი, გაეწევა დახმარება მუშა-ხელით საველე სამუშაოების დროს.

ოზურგეთის სამაზრო აღმასკომის მაგალითს უნდა მიბაძონ სხვა მაზრებმაც და ფართო დახმარება უნდა გაუწიონ წითელი მებრძოლების ოჯახებს.

წითელი მებრძოლი, როდესაც იგი დარწმუნებული იქნება, რომ მისი ოჯახი არ არის დატოვებული უყურადღებოთ, მთელი თავის ენერგიას მოანდომებს სამხედრო საქმის შესწავლას და საუკეთესოდ შეითვისებს იმ ცოდნას, რომელიც საჭიროა საბჭოთა ქვეყნის დამცველისათვის.



წითელ-არმიელები ალამაზებენ ბანაკის მიდამოს

შეჯიბრება სროლაში
პირველი დღე

გუშინ საგარნიზონო სასროლო მოედანზე ვაკეში დაიწყო სრ. საქართველოს შეჯიბრება სროლაში, რომელსაც ატარებს საქ. თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოება.

შეჯიბრებაში მონაწილეობას ღებულობენ ავიაქიმის ორგანიზაციების საუკეთესო მსროლელები, რომლებმაც მიიღეს პირველობა ადგილობრივ შეჯიბრებებში.

ჯერ-ჯერობით შეჯიბრებაზე გამოცხადდენ ქუთაისიდან—3 მსროლელი, თიანეთიდან—2, გორიდან—2 და ბათომიდან—2.

შეჯიბრებაში მონაწილეობას ღებულობენ აგრეთვე თბილისის საუკეთესო მსროლელები.

სულ შეჯიბრებას ესწრება 25 მსროლელი.

პირველ დღეს სროლა სწარმოებდა მცირეყალიბიანი თოფებიდან და 200 მეტრის მანძილზე. სროლა იყო ჯგუფური და ინდივიდუალური.

შეჯიბრების პირველმა დღემ გამოაშკარავა ავიაქიმის მსროლელების კარგი მომზადება.

დღეს სროლა შაშხანა თოფებიდან იწარმოებს ტერიტორიალური დივიზიის სასროლო მოედანზე (ავჭალაში).

სროლაში მონაწილეობას ღებულობს აგრეთვე საქ. ავიაქიმის მსროლელთა სექციაც.

ქ რ ო ნ ი კ ა

სამოქალაქო სასწავლებლების გასამხედროება

მიმდინარე წლის შემოდგომიდან მეორე საფეხურის სკოლებში შემოღებული იქნება სამხედრო საგნების სწავლება.

სამხედრო საქმის შესწავლა სავალდებულო იქნება მე-8, მე-9, და მე-10 ჯგუფების მსმენელებისათვის.

უმაღლესი წვევამდი მზადება

მუშურ - გლეხური წითელი არმიის მთავარი სამმართველო ამ ჟამად ამუშავებს საკითხს ტეხნიკუმებში უმაღლესი წვევამდე მზადების შემოღების შესახებ.

წვევამდე მზადებას ჩაატარებს თავდაცვა-ავიაქიმი

საკავშირო სამხ.-რევ. საბჭომ განიხილა საკითხი წვევამდე მზადების გადაცემის შესახებ თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციებისათვის.

საბჭომ მიზანშეწონილად სცნო, რათა მიმდინარე წლიდან წვევამდე მზადება ნაწილობრივ მიენდოს თავდაცვა-ავიაქიმს.

ტაქტიკური მეცადინეობა

ბანაკად მყოფი წითელი არმიის ნაწილები შეუდგნენ ტაქტიკური მეცადინეობის ჩატარებას ველად.

ახალგაზრდა წითელი არმიელები ზედმიწევნით ასრულებენ სხვადასხვა ტაქტიკურ ამოცანებს და იჩენენ დიდ ხალისს და ენერგიას ველად მეცადინეობის დროს.

ს ა ჭ ი რ ო გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა
(კიდევ ეგრედწოდებულ „გამოცდების“ შესახებ წმენდის დროს)

გაზ. „კომუნისტი“-ს 25 ივნისის ნომერში დაიბეჭდა ამხ. „ან“-ის წერილი, რომელიც ეხება ამიერ-კავკასიის და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკების კომუჯრედის წევრთა წმენდას.

ავტორი ამ უჯრედის კომისიას უწუნებდა მუშაობას. მისი აზრით შემმოწმებელმა კომისიებმა ყურადღება უნდა მიაქციონ მხოლოდ პარტიის წევრის პრაქტიკულ მუშაობას და უნდა გამოარკვიონ რამდენად ეთანხმება ეს მუშაობა პარტიის ხაზს, მაგრამ თავი დაანებონ პოლიტცოდნის გამორკვევას. რომ ამხ. „ან“-მა სწორად ვერ გაიგო ინსტრუქციის მუხლი პოლიტშემოწმების შესახებ—ეს უკვე აღნიშნული იყო ერთ-ერთი შემმოწმებელი კომისიის წევრის წერილში („კომუნისტი“ № 144).

დავუბრუნდეთ ამხ. „ან“-ის მიერ მოყვანილ მაგალითს.

ის თავის დასკვნას ამყარებს ორ ასეთ მაგალითზე: უჯრედის ზემოაღნიშნული ორი წევრის შემოწმებაზე.

დავიწყოთ უჯრედის მდივნით ამხ. კარახანიანისაგან. ეს ამხანაგი 1900 წლიდან 1916 წლამდე იყო „ჰინჩაკ“-ის პარტიაში, ის არის პროფესიით— ბუხჰალტერი, 1921 წლის 25 თებერვლიდან— საქართველოს კომპარტიის წევრი, ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე, ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის და ქალაქის რაიკომის შტატგარეშე ინსტრუქტორი, არის მიმაგრებული 5 უჯრედზე, საბინაო საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე, მიმაგრებულია რაიკომისაგან სკოლაზე № 80, არის ამიერ- კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკის უჯრედის მდივანი და სხვადასხვა.

შეეძლოთ თუ არა შემმოწმებელ კომისიის წევრებს ამხ. კარახანიანის შემოწმების დროს, იმ კარახანიანის, რომელმაც 16 წელიწადი სხვა პარტიაში გაატარა, მიეცათ მისთვის შემდეგი კითხვები:

1) როგორ გადასჭრა ეროვნული საკითხი საბჭოთა ხელისუფლებამ? 2) როგორი იყო „ჰინჩაკ“-ის პარტიის აგრარული პროგრამა? (ეს კითხვა კომისიამ მისცა იმიტომ, რომ ამხ. კარახანიანს კავშირი აქვს სოფლად მუშაობასთან, ღარიბთა ჯგუფებისათვის კრედიტის მიწოდებასთან და სხვ.), 3) რა მოვლენებს აქვს ადგილი სოფლად?

ზემოაღნიშნულ კითხვებზე ამხ. კარახანიანმა ვერ უპასუხა, რაც მან ახსნა იმით, რომ მას გაზეთის წაკითხვის შესაძლებლობაც კი არა აქვს, ხოლო სათანადო პარტლიტერატურაზე და წიგნებზე ლაპარაკიც ზედმეტია. ამხ. კარახანიანი იმდენად დატვირთულია მუშაობით, რომ გაზეთების წაკითხვასაც ვერ ახერხებს და საეჭვო ხდება მთელი მისი მრავალმხრივი პრაქტიკული მუშაობა (როგორც დატვირთვის, ისე პირდაპირი მუშაობის მხრივ).

ეხლა მეორე მაგალითი, რომელიც მოჰყავს ამხ. „ან“-ს.

შესამოწმებელ ამხ. შენგელაიას საკმაო პოლიტიკური მომზადება აქვს. ის სწავლობდა მოსკოვში. მას აქვს აგრეთვე ოპოზიციონერობის საკმაო „სტაჟი“. კომისიას სრული უფლება ჰქონდა შეემოწმებია და გამოერკვია ამხ. შენგელაიას ნამდვილი განწყობილება, თუ რამდენად მტკიცედ და გარკვევით შეითვისა მან პარტიის დირექტივები ყველა მიმდინარე საკითხზე.

ამხ. შენგელაიასათვის განსაკუთრებით არა სასიამოვნო იყო შეკითხვები ტროცკიზმის შესახებ და ის უხალისოდ იძლეოდა პასუხს, თითქოს, დიდ დავალებას უწევდა შემმოწმებელ კომისიას.

და აი ამხ. „ან“-ი ასეთ მაგალითების შემდეგ უწუნებს მუშაობას შემმოწმებელ კომისიას.

„ან“-ის წერილი არ შეეფერება პარტიის გენერალური წმენდის ამოცანებსა და შინაარსს.

ტ. ლორთქიფანიძე.

10 მილიონი მანეთი კაპიტალურ მშენებლობისათვის

თბილისის აღმასკომის საგეგმო კომისიაში შესდგა სპეციალური სხდომა, რომელზედაც განხილული და დამტკიცებული იქნა 1929—30 წელში კომუნალურ მეურნეობის დარგში კაპიტალურ დაბანდებათა გეგმა.

ამ გეგმის მიხედვით მომავალ საანგარიშო წელში ახალ კომუნალურ მშენებლობაზე სულ დაიხარჯა 7.090.000 მანეთი.

აქედან ახალი წყალსადენის გასაყვანად გადაიდება 3.500.000 მანეთი; მაზრაში წყალსადენის გაყვანის საქმეს მოხმარდება 50,000 მანეთი; კანალიზაციის ქსელის გასაფართოვებლად დაიხარჯება 150.000 მანეთი; ელექტრო მშენებლობაზე—433.000 მანეთი; ამავე საქმეზე მაზრაში—56.000 მ., ტრამვაის ახალი ხაზების გასაყვანად და ახალი ვაგონების დასამზადებლად გადაიდება 1.500.000 მანეთი; ქუჩების შესაკეთებლად—349.000 მ.; ქალაქში სანიტარულ-ჰიგიენურ დაცვის საქმეს მოხმარდება 91.000 მან.; ამავე საქმისათვის მაზრაში დაიხარჯება 10.000 მანეთი; ქალაქის კეთილმოსაწყობად და გასამშვენიერებლად გადაიდება 655.000 მანეთი; მაზრის კეთილმოსაწყობად—46.000 მანეთი.

ამ თანხებიდან ადგილობრივი ბიუჯეტით გადაიდება 2.644.000 მან.; კომუნალურ სესხის სახით—300.000 მანეთი, ხოლო ცენტრ. კომუნალურ ბანკიდან სესხად მიღებული იქნება 3.966.000 მ.

ამავე სხდომაზე დამტკიცებული იქნა საბინაო მშენებლობისათვის გასაღებ თანხების გეგმა.

1929—30 წელში საბინაო მშენებლობაზე თბილისის აღმასკომი დახარჯავს 2.650.000 მანეთს.

საბინაო მშენებლობისათვის ადგილობრივ თანხებიდან გადაიდება 1 მილიონი, დანარჩენი 1.650.000 მანეთი მიღებული იქნება სესხათ ცენტრ. კომუნალურ ბანკიდან.

თავდასხმა ფოსტაზე

ზუგდიდი, 9 ივლისი (საკ. კორესპ.). დღეს ახუთიდან ზუგდიდში მომავალ ფულიან ფოსტას გზაში თავს დაესხა 4 შეიარაღებული ავაზაკი, რომლებმაც მოინდომეს ფულის წაღება, მაგრამ გამყოლმა მილიციელმა ჯალაღონიამ აუტეხა ყაჩაღებს სროლა. ფოსტა გადარჩა. შემთხვევის ადგილზე სასწრაფოდ გაემგზავრა სამაზრო მილიციის წარმომადგენლები. მიღებულია ზომები ავაზაკების შესაპყრობათ.

ა. კოდუა.

საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის დღე

თბილისის მუშების წინადადება ინდუსტრიალიზაციის დღის შესახებ

ამხ. ვ. კომახიძე

(მე-5 სტამბა)

ინდუსტრიალიზაციის დღეთ საბჭოთა რუსეთში გამოცხადებულია 6 აგვისტო. ეს დღე იქ, რუსეთში უქმე დღეა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ამიერ-კავკასიის მუშები ჩამოვრჩეთ ამ ფრიად მნიშვნელოვან კამპანიას. ჩვენც ჩვენი წვლილი უნდა შევიტანოთ ამ დიდ საქმეში. ჩვენში ინდუსტრიალიზაციის დღისათვის უნდა გამოვიყენოთ არა სამუშაო დღე. ამ მხრივ ჩემის აზრით ამხ. ბარბაქაძის წინადადება, 20 სექტემბრის ინდუსტრიალიზაციის დღეთ გამოცხადების შესახებ სრულიად სწორი და მიზანშეწონილია. ეს იქნება საუკეთესო ძეგლი 26 კომუნარის. ამ დღეს ჩვენ უნდა მივსცეთ განსაკუთრებული სადღესასწაულო სახე. მუშათა კლუბებმა ამ დღეს უნდა მოაწყონ გასართობები, რომ მუშას საშუალება მიეცეს მუშაობის შემდეგ დაისვენოს კულტურულად. ინდუსტრიალიზაციის დღეს უნდა შევხვდეთ მომზადებულად და მუშური შეგნებით.

ასოთ-ამწყობი ვასო კომახიძე.

—:—

დ. სპირანდი

(მეხუთე სტამბა)

ის უდიდესი ამოცანები, რომელიც დასახული აქვს საბჭოთა მთავრობას ინდუსტრიალიზაციის განვითარების საქმეში, მოითხოვს ჩვენგან, მუშებისაგან, განსაკუთრებულ სიფხიზლეს. პოლიტიკური ძალაუფლება დიდი ხანია დაპყრობილი გვაქვს; ძველი მემამულეები და ბურჟუაზია განადგურებულია საბჭოთა კავშირის ფარგლებში, მაგრამ ამით არ დამთავრებულა ის დიადი საქმე, რომელსაც ეწოდება სოციალიზმის გამარჯვება. ჩვენ, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, გაათკეცებული ენერგიით უნდა მოვკიდოთ ხელი მძიმე ინდუსტრიის განვითარებას; აუცილებლად უნდა „დავეწიოთ და გავუსწროთ ტეხნიკურად კაპიტალისტურ ქვეყნებს". მხოლოდ მაშინ შევეძლება საბოლოო გამარჯვება და სახალხო მეურნეობის განვითარების 5 წლიანი გეგმის შესრულება. მთელი ჩვენი ყურადღება მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ ეს ამოცანა განვახორციელოთ მთელი ასი პროცენტით.

ამ მხრივ ლენინგრადის ქარხნის მუშის ამხ. სილაბოჩიკოვის წინადადებას საბჭ. კავშირის ინდუსტრიალიზაციის დღის შესახებ, უდიდესი ყურადღებით უნდა მოვეპყრათ, ამიერ-კავკ. ფარგლებში უნდა გამოვნახოთ ამისთვის შესაფერი დღე. ჩემის აზრით, უკეთესი იქნება, მთელ საბჭოთა კავშირში შემოღებული იყოს ერთი დღე 6 აგვისტო, ინდუსტრიალიზაციის დღისათვის. რაც შეეხება იმას, რომ ჩვენში ეს დღე არ არის უქმე, ამაზე მე ვფიქრობ, არაფერი დაშავდება, რომ ვიმუშაოთ რომელიმე სხვა დასასვენებელი დღე, ხოლო 6 აგვისტო კი გამოცხადდეს ინდუსტრიალიზაციის დღეთ და ამ დღის მთელი ნამუშევარი გადაირიცხოს ინდუსტრიალიზაციის ფონდში.

ამ დღეს კულაკების და ნეპმანების დაბეგვრაც აუცილებელი საჭიროა და ეს წინადადება დაუყოვნებლივ უნდა გატარდეს. გარდა ამისა მე ვეთანხმები ამხ. ვასო ბარბაქაძის აზრს იმის შესახებ, რომ ამ დღეს თეატრები, კინოები და საერთოდ გასართობები უფასო იყოს. ეს კარგი იქნება და ზეიმის ხასიათს მისცემს ინდუსტრიალიზაციის დღეს.

ასოთ-ამწყობი დ. სპირანდი.

გ. გძელიშვილი

(ასოთ-ჩამომსხმელი ქარხანა)

ინდუსტრიალიზაციის ფონდის გასაძლიერებლად და ჩვენი მეურნეობის განსამტკიცებლად მუშები არავითარ საშუალებას არ ზოგავენ მათ კარგათ ესმით, რომ ბურჟუაზია არას დროს არ ააშენებს სოციალიზმს და არც დაეხმარება მსოფლიოში ერთად ერთ მშრომელთა ხელისუფლებას, განახორციელოს თავისი მიზნები და საბოლოო გამარჯვებამდე მიიყვანოს დიდი ოქტომბრის რევოლუცია. მუშამ თავისი საკუთარი საშუალებით, საკუთარი ძალღონით უნდა დაამყაროს სოციალიზმი. ამ მიზნით მუშები ყოველგვარ საშუალებას ხმარობენ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპის გასაძლიერებლად.

სოციალისტური შეჯიბრება ფაბრიკა-ქარხნებს შორის, საუცხოვო საშუალებაა სახ. მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის განსახორციელებლად. მაგრამ ყველაზე უფრო დროული და საყურადღებოა ლენინგრადელი მუშის წინადადება საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის შესახებ. საბჭოთა რუსეთში 6 აგვისტო უკვე გამოცხადებულია ინდუსტრიალიზაციის დღეთ. მაგრამ ჩვენში ეს დღე არ არის უქმე. ამიტომ ინდუსტრიალიზაციის ფონდისათვის ჩვენ უნდა ვიმუშაოთ რომელიმე კვირა დღე, თუნდაც 14 ივლისი.

გ. გ. გძელიშვილი.

—:—

ამხ. ჯანჯუღაზოვი, სეროპოვი და პეტროსოვი

(ქუდის ფაბრიკა)

ამხ. სლაბოდჩიკოვის წინადადება მთლიანად მისაწონი და მისაღებია, მაგრამ რადგან 6 აგვისტო საქართველოში არ ითვლება დასასვენებელ დღეთ,—საჭიროდ მიგვაჩნია ინდუსტრიალიზაციის დღე შერჩეული იქნეს ჩვენ პირობებთან შეფარდებით. ჩვენის აზრით ამ დღეს უნდა მიეცეს შრომის ზეიმის ხასიათი.

—:—

ამხ. კუზჩენკო და ბახუტაშვილი

(მაკარონის ფაბრიკა)

აღფრთოვანებით ვესალმებით ამხ. სლაბოდჩიკოვის წინადადებას, ჩვენ მზადა ვართ არამც თუ ერთი დღე, არამედ რამდენიმე დღე ვიმუშაოთ უსასყიდლოდ ინდუსტრიალიზაციის ტემპის დასაჩქარებლად. 6 აგვისტო ჩვენში სამუშაო დღეა და ამიტომ მოვითხოვთ რათა ინდუსტრიალიზაციის დღეთ გამოცხადდეს 20 სექტემბერი — ბაქოს კომუნარების ხსოვნის დღე. ამით უფრო რევოლუციონურად აღვნიშნავთ ბაქოს კომუნარების ხსოვნას.

გარდა ამისა ვითხოვთ მთავრობას ამ დღისათვის ერთი დღის შემოსავლის ფარგლებში დაბეგრილი იქნეს მთელი არა მშრომელი მოსახლეობაც როგორც ქალაქად ისე სოფლადაც.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციას და პირველ პროლეტარულ სახელმწიფოს სოციალისტურ მეურნეობას!

საპონ-ზეთის ქარხნის მუშები

საპონ-ზეთის ქარხნის მუშებმა ამხ. კარაპეტიანმა, მაცუკატოვმა და ღარიბაიანმა საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის დღის შესახებ განაცხადეს: „საბჭოთა კავშირის ყოველმა შეგნებულმა მუშამ იცის, რომ ჩვენი მშრომელი მოსახლეობის კეთილდღეობა მთლიანად დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციასთან და სახალხო მეურნეობის განვითარებასთან. სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის განხორციელებით დაინტერესებულია ყოველი ჩვენგანი და მზად ვართ მთელი ჩვენი ძალ-ღონე მოვახმაროთ ამ გეგმის განხორციელებას. სავსებით მიზანშეწონილად და დროულად მიგვაჩნია ლენინგრადელ მუშის ამხ. სლაბოდჩიკოვის წინადადება ერთ-ერთ დასასვენებელი დღის ინდუსტრიალიზაციის დღეთ გამოცხადების შესახებ. მაგრამ რადგან 6 აგვისტო ჩვენში გამოცხადებულია სამუშაო დღეთ, საჭიროდ მიგვაჩნია იმ მიზნისთვის შერჩეული იქნეს სხვა დასასვენებელი დღე. ამასთანავე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის, რომ ზაფხულის დასასვენებელ დღეებს მუშა-მოსამსახურეები აწყობენ ექსკურსიებისა და სხვა კულტურული მიზნებისათვის. ამიტომ უფრო მიზანშეწონილი იქნება, თუ ინდუსტრიალიზაციის დღეთ გამოცხადებული იქნება სექტემბრის რომელიმე უქმე ან დასასვენებელი დღე".

ამავე ქარხნის ზეთისა და საფეიქრო განყოფილების მუშებმა კლეიცოვმა, ლომთათიძემ, მანუკოვმა, ზურაბიშვილმა, ლანდიშევმა და მედვედევმა განაცხადეს შემდეგი: „სავსებით ვემხრობით ლენინგრადელ მუშის ამხ. სლაბოდჩიკოვის წინადადებას, და საჭიროდ ვცნობთ შემოღებული იქნეს ინდუსტრიალიზაციის დღე. ამასთანავე ეს დღე შერჩეული უნდა იქნეს ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით. უფრო მიზანშეწონილად მიგვაჩნია 5 აგვისტოს მაგიერ სხვა რომელიმე დღის არჩევა, როდესაც ხელი არ შეეშლება ჩვენს კულტურულ მუშაობას".

—:—

ტყავის ქარხნის მუშები

ტყავის ქარხნის მუშები — ო. გურგენოვი, მირზახანოვი და ირიცფუხოვი: ამხ. სლაბოდჩიკოვის წინადადება დროული და უაღრესად მიზანშეწონილია. სახ. მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის მთლიანად განხორციელება საუცხოვო საშუალებაა ჩვენი მეურნეობის სოციალისტურ საფუძველზე გარდასაქმნელად. ჩვენ მზადა ვართ მთელი ძალ-ღონით შევუწყოთ ხელი ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას, რათა რაც შეიძლება მალე დავაღწიოთ თავი ბურჟუაზიული ქვეყნების ეკონომიურ გავლენას და შევქმნათ ჩვენი—სოციალისტური ინდუსტრია. ჩვენ უფრო მიზანშეწონილად მიგვაჩნია ინდუსტრიალიზაციის დღეთ ჩვენში გამოცხადებული იქნეს 26 კომუნარის დღე. ეს იქნება საუკეთესო ძეგლი ბაქოს კომუნარების ხსოვნის აღსანიშნავად.

სოციალისტური შეჯიბრება

შეჯიბრების ჩამტარებელი კომისიები ბევრ ადგილას კიდევ არსებობენ

ავჭალის შუშის ქარხნის გამგებლობა ს. მ. უ. საბჭომ უნდა იკისროს

ასეთი მუშაობით შორს ვერ წავალთ

სოციალისტურმა შეჯიბრებამ უკვე განვლო ორგანიზაციული პერიოდი და ამჟამად ფაბრიკა-ქარხნებში გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს შრომის ნაყოფიერების ასაწევად, პროდუქციის თვითღირებულების შესამცირებლად, ნაწარმოების ხარისხის გასაუმჯობესებლად და საერთოდ პოლიტიკურ-სამეურნეო ხელშეკრულების განსახორციელებლად. ასეთმა გაცხოველებულმა მუშაობამ უკვე გამოიღო თავისი ნაყოფი. წინანდელთან შედარებით წარმოება საგრძნობლად გაიზარდა და ამასთან ერთად განმტკიცდა შრომის დისციპლინაც, მაგრამ, როგორც თანდათან ირკვევა, ამ დარგში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი გვაქვს. შეჯიბრებაში ჯერ კიდევ არ არიან ჩაბმული მთელი რიგი საწარმოებისა, რაც უნდა მიეწეროს ადგილობრივ პროფორგანოების სუსტ ხელმძღვანელობას. ხშირია შემთხვევა, როდესაც მუშები იჩენენ მეტ აქტიობას და ებმებიან სოციალისტურ შეჯიბრების ფრონტში, მაგრამ პროფკავშირი მათ არ უწევს სათანადო ხელმძღვანელობას. პირიქით, ხშირად ხელსაც კი უშლიან მათ მუშაობას. აი, ამის მაგალითი:

თბილისის ახალი წყალსადენის სამუშაოების მუშებმა შეჯიბრებაში გამოიწვიეს ქუთაისის წყალსადენის სამუშაოების მუშები. შეჯიბრების პირობათ წამოყენებული იყო მთელი რიგი საყურადღებო საკითხებისა. როდესაც ეს ამბავი შეიტყო პროფკავშირის ცენტრ. გამგეობამ, უკანასკნელმა წინადადება მისცა ადგილობრივ პროფორგანოს შეაჩეროს შეჯიბრების გამოცხადება. ამგვარად ეს საქმე დღესაც შეჩერებულია და ვინ იცის კიდევ რამდენ ხანს იქნება უყურადღებოდ მიტოვებული. ასეთი მაგალითები ბევრია ჩვენს სინამდვილეში და ეს საგრძნობლად აფერხებს წარმოების გაუმჯობესება-გაჯანსაღებას. მუშებმა გამოიჩინეს აქტივობა, მათ სურვილი განაცხადეს სოციალისტურ შეჯიბრებაში მონაწილეობისა. პროფკავშირი მოვალე იყო გაეწია ხელმძღვანელობა მუშებისათვის და თავის დროზე მიეცა დირექტივები შეჯიბრების წარმატებით ჩასატარებლად, მაგრამ ის ასე არ მოიქცა, მან მუშების აქტიობას თავისი პასიობით უპასუხა, რამაც თავისთავად, ცხადია, შეასუსტა მუშათა ინიციატივა წარმოების გაჯანსაღების საქმეში, ასეთი მუშაობით ჩვენ შორს ვერ წავალთ.

ამას გარდა, მიუხედავათ იმისა, რომ უკვე კარგა ხანია, რაც პროფსაბჭომ დაუგზავნა ადგილობრივ ორგანიზაციებს სადირექტივო წერილები სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის შესახებ, სადაც აღნიშნული იყო, რომ უნდა გაუქმდეს შეჯიბრების ჩამტარებელი სამეულები და ხუთეულები და მთელი ხელმძღვანელობა დაეკისროს ფაბ-ქარხადგილკომებს, ბევრ ადგილას ჯერ კიდევ არსებობს ეს ხუთეულები. ეს ფაქტი მოწმობს იმას, რომ ზოგიერთ ადგილობრივ პროფორგანოს ჯერ კიდევ სათანადოთ ვერ აქვს შესწავლილი და შეთვისებული სოციალისტური შეჯიბრების დიდი მნიშვნელობა ჩვენი მეურნეობის აყვავება-განმტკიცების საქმეში. ხუთეულები ჩვეულებრივ კარიკატურ მუშაობას აწარმოებენ. მუშა-მოსამსახურეთა ფართე მასები მასში არავითარ მონაწილეობას არ ღებულობენ. ეს რომ ასეა, საკმარისია მოვიყვანოთ ერთი მაგალითი:

ამას წინად თამბაქოს ტრესტის სამართველოს თანამშრომლებმა შეჯიბრებაში გამოიწვიეს სატყეო ტრესტის სამართველოს თანამშრომლები. ორივე ტრესტის სამართველოების მუშაობის ხასიათი თითქმის ერთნაირია, მაგრამ რატომღაც სატყეო ტრესტის სამართველოს შეჯიბრების ჩამტარებელმა კომისიამ არ მიიღო გამოწვევა და თანამშრომელთა საერთო კრებაზე განუხილველად უპასუხა თამბაქოს ტრესტის თანამშრომლებს, რომ „თქვენს გამოწვევას ვერ მივიღებთ". აქედან ნათლად სჩანს, რომ სატყეო ტრესტის სამართველოს შეჯიბრების ჩამტარებელი კომისია ბიუროკრატიულ მუშაობას აწარმოებს. ვისთვის, ან რისთვის არის საჭირო ეს კომისია, როდესაც არსებობს ეკონომკომისია და პროფკავშირის ძირითადი ორგანიზაცია? განა ასეთი მუშაობით შეიძლება შეჯიბრების წარმატებით ჩატარება და ჩვენი მუშაობის გაჯანსაღება?

სოციალისტური შეჯიბრება მუშათა ფართო მასების მონაწილეობით უნდა ტარდებოდეს. ეს უნდა შეიგნონ ადგილობრივმა პროფორგანოებმა და გააუქმონ ე. წ. სამეულები და ხუთეულები, რომლებიც ასუსტებენ მუშათა აქტიობას და ინიციატივას წარმოების რაციონალიზაციაში.

პროფმუშაკი.

სატყეო ტრესტი გაექცა შეჯიბრებას

ამ ერთი თვის წინად თამბაქოს ტრესტის სამართველოს თანამშრომლებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს სატყეო ტრესტის სამართველოს თანამშრომლები, რომელთა შორის უნდა დადებულიყო პოლიტიკურ-სამეურნეო ხელშეკრულება—შემდეგ საკითხებზე.

1928—29 საოპერაციო წლის ბალანსის დროზე შედგენა და მისი ხარისხის გაუმჯობესება; გეგმის შედგენა 1929—30 წლისათვის; კოლექტიური ხელშეკრულების თავის დროზე დადება და მისი მაქსიმალურად ცხოვრებაში გატარება; საქმის წარმოების რაციონალიზაცია, საერთო ადმინისტრატიული ხარჯების შემცირება; სტატისტიკური საქმის უაღრესად გაუმჯობესება და სხვა.

გამოწვევაზე წინასწარი თანხმობა უკვე გამოთქმული იყო ადგილკომის თავმჯდომარის მიერ, თუმცა, არავის ეჭვი არ შეპარვია გამოწვევის მიუღებლობაზე. თამბაქოს ტრესტის თანამშრომელნი დიდის სიხალისით მოელოდნენ დასტურს (ხელის მოწერით) სატყეო ტრესტის თანამშრომლებისაგან, რომლებსაც, სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმით წახალისებულებს, უფრო გაასკეცებული ენერგიით უნდა მოეკიდა ხელი მუშაობისათვის. მაგრამ თამბაქოს ტრესტის თანამშრომლების მოლოდინი უშედეგო აღმოჩნდა; ხელშეკრულების გეგმის წარდგენის რამდენიმე დღის შემდეგ, თამბაქოს ტრესტის თანამშრომლები ღებულობენ „მეგობრული" ხასიათის წერილს, სატყეო ტრესტის ადგილკომის თავმჯდომარის და მდივნის ხელმოწერით, სადაც ისინი დიდის მოწიწებით აუწყებენ თამბაქოს ტრესტს, რომ სატყეო ტრესტის სოციალისტური შეჯიბრების ჩამტარებელმა კომისიამ ვერ სცნო მისაღებად თამბაქოს ტრესტის სამართველოს გამოწვევა სოციალისტურ შეჯიბრებაში. ამგვარად სატყეო ტრესტის სამართველოს შეჯიბრების ჩამტარებელმა კომისიამ, რომლის არსებობაც სხვათაშორის უაზრობაა, საერთოკრებაზე განუხილველად „მეგობრული" ხასიათის წერილით უარჰყო თამბაქოს ტრესტის თანამშრომლების გამოწვევა სოციალისტურ შეჯიბრებაში.

გამოწვევის მიუღებლობის მთავარ მიზეზად, ადგილკომის ცნობით, კომისია ასახელებს სატყეო და თამბაქოს ტრესტის წარმოებების სხვადასხვაობას; მასთან კომისია ითვალისწინებს იმ მოსაზრებასაც, რომ სატყეო ტრესტს აქვს 12 საწარმოო და 9 კომერციული წერტილი, რომლებიც გაფანტულია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და ამიტომ, ბალანსის თავის დროზე შედგენა, მუშაობის მასშტაბის შეუდარებლობის გამო, ყოვლად დაუშვებელია. ასეთივე მოტივებით იცილებენ გამოწვევას სხვა საკითხებშიაც.

უნდა ითქვას, რომ თამბაქოს ტრესტი, თავისი საწარმოებების რაოდენობით და ჯერ კიდევ საბოლოოდ არალიკვიდაციაქმნილ მსხვილ სავაჭრო წერტილებით, რომლებიც გაფანტულია ა.-კ. სხვადასხვა ქალაქებში, სრულიადაც არ ჩამორჩება სატყეო ტრესტს. მხოლოდ სატყეო ტრესტს, რომ საქმე ვერ აქვს კარგად დაყენებული,—ამაში კი განსხვავება შეიძლება იყოს.

ყოველ შემთხვევაში, ეს ასეც რომ იყოს, პოლიტიკურ-სამეურნეო ხელშეკრულების დადების დროს, ყველაფერი მხედველობაში იქნებოდა მიღებული. სჯობს სატყეო ტრესტის ადგილკომმა თითონ მოჰკიდოს ხელი შეჯიბრების საქმეს, თორემ სამართველო თავის დღეში ვერ გააჯანსაღებს თავის საქმეს.

ვ. მთვრალაშვილი.

უპატრონეთ ავჭალის შუშის ქარხანას

(სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს საყურადღებოთ)

ავჭალის შუშის ქარხანა იმპერიალისტური ომის შემდეგ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე დაკეტილი იყო. 1921 წლიდან კი ქარხანაში ხან ერთი არტელი აწარმოებს მუშაობას ხან მეორე. 1926 წელში ეს ქარხანა გაიღო რამდენიმე ჯგუფმა ვინმე ლაბაურის და ბელსკის ხელმძღვანელობით (უკანასკნელი ამ ქარხნის ყოფილი კომპანიონია), რომლებიც შრომის არტელად ასაღებდნენ თავიანთ თავს. მათ მოიწვიეს ორასამდე მუშა-მოსამსახურე და დაიწყეს მუშაობა, მაგრამ სახსრების უქონლობის გამო ორი თვის შემდეგ ქარხანა ისევ დაკეტეს და ორასამდე მუშა-მოსამსახურე გაუშვეს ხელფასის გაუსწორებლად. ქარხანა ძალზე ცუდ პროდუქციას ამზადებდა, რის გამო ქარხანას ავტორიტეტი ცუდი ჰქონდა შუშის მომხმარებელ დაწესებულებებთან.

სულ სხვა მდგომარეობაა დღეს ავჭალის შუშის ქარხანაში; ამა წლის თებერვალში შრომის ბირჟასთან არსებულმა კოლექტივმა გახსნა ეს ქარხანა და დახარჯა 80.000 მანეთზე მეტი ქარხნის მოწყობა-გადაკეთებაზე, ასე რომ დღეს ქარხანა სათანადოთაა მოწყობილი, კვალიფიკაციური მუშებიც საკმაოდ ჰყავს, პროდუქციასაც ამჟამად სათანადო ღირსებისას ამზადებს. ნედლი მასალით ქარხანა უზრუნველყოფილია, რადგან უმთავრესი ნაწილი ნედლი მასალისა ავჭალის თემშივე მოიპოვება.

შუშეულობის მოთხოვნილება ძალზე დიდია ჩვენს ბაზარზე. მარტო საქართ. ტრესტებისათვის 4.000.000 ბოთლზე მეტია საჭირო. ამის გარდა ძალზე დიდი მოთხოვნილებაა აფთიაქის შუშეულობაზე. თუ ავიღებთ მარტო საქართველოს სახმედვაჭრობას, მას ყოველწლიურად 170.000 მან. აფთიაქის შუშა შემოაქვს მეზობელ რესპუბლიკებიდან. ეს მაშინ, როდესაც ჩვენ შეგვიძლიან ყველა ზემოაღნიშნული მოთხოვნილების დაკმაყოფილება ავჭალის შუშის ქარხნის პროდუქციით. ამით ჩვენ შევსძლებთ შუშეულობის 20 პროცენტით გაიაფებას. მაგრამ ამჟამად ეს შეუძლებელია, რადგან ქარხანას ამუშავებს კოლექტივი, რომელსაც არ შეუძლიან ასეთი სერიოზულ ქარხნის სათანადო ხელმძღვანელობა.

ქიმიკოსთა პროფკავშირის საქართველოს კომიტეტმა, ეს საკითხი დასვა სათანადო ორგანოების წინაშე, რომლის დავალებითაც მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გამოიკვლია ქარხნის მდგომარეობა და საჭიროდ სცნო მისი რომელიმე სამეურნეო ორგანოზე გადაცემა. ასეთივე დასკვნა გამოიტანა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს კომისიამაც, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ს.მ.უ. საბჭოს ზოგიერთი მუშაკები ცუდი თვალით უყურებენ ამ ქარხანას. ეს ამხანაგები ქარხნის ძველი მდგომარეობიდან გამოდიან და მათ ავიწყდებათ დიდი მოთხოვნილება შუშეულობაზე და ის გარემოებაც, რომ ქარხანა გადაკეთებულია და მარტო ხელმძღვანელობას საჭიროებს.

ქარხანა კარგი ხელმძღვანელობით შესძლებს მაქსიმალურად უზრუნველჰყოს ჩვენი ბაზარი შუშეულობით, შეამციროს ტრანსპორტით გამოწვეული უთავბოლო ხარჯები და ამგვარად საფუძველი ჩაუყაროს ადგილობრივ მრეწველობას შუშეულობაზე.

ამ მოსაზრებით საქართვ. სახ. მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ უნდა იკისროს აღნიშნული ქარხნის პატრონობა. ამას მოითხოვს ჩვენი ბაზრისა და უმუშევრობასთან ბრძოლის ინტერესებიც.

დ. ჩიტაძე.

სტალინის სახელობის ავტო - სახელოსნო. საკისურების დამზადება

გამოხმაურება

გაზ. „კომუნისტი"-ს მე-121 №-ში მოთავსებული იყო წერილი სათაურით: „უდანაშაულოთ დასჯილი". წერილში აღნიშნული იყო, რომ ა. კ. რკინის გზის მთავარი საწყობის მუშა ამხ. ალექსანდრე ინასარიძე, რომელიც საწყობის მუშების მიერ არჩეული იყო კომისიაში, უკანონოდ იქნა მოხსნილი სამსახურიდან. აღნიშნული იყო აგრეთვე ისიც, რომ საწყობის მოანგარიშე, ამხ. მარგველაშვილი განგებ აკლებდა მუშებს ხელფასს და თავისი კომბინატორობით უკმაყოფილებას ჰქმნიდა მუშებში.

როგორც გამოირკვა მუშათა და გლეხთა ინსპექციის მასალებიდან, ამხ. მარგველაშვილის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდება არ შეეფერება სინამდვილეს და ალ. ინასარიძეს სამსახურიდან მოხსნაც მომხდარა კანონიერ ფარგლებში.

სამზადისი ახალი ჰიდრო-ელსადგურების ასაგებად

გურიაში აგებული იქნება ახალი ჰიდრო - ელსადგური

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში მიღებული ცნობებით, საბოლოოდ გადაწყვეტილია გურიაში ახალი ჰიდრო-ელსადგურის აგება. სადგურის ასაგებ ადგილათ სპეციალისტთა კომისიამ აირჩია მდ. ბახვის წყალი, ოზურგეთიდან 10 კილომეტრის დაშორებით. ვინაიდან გამოირკვა, რომ იმ სიძლიერის სადგურის, როგორის აგებაც გადაწყვეტილია გურიაში, არ იქნება საკმაო მარტო მდ. ბახვისწყალი, ამიტომ ნავარაუდევია ბახვისწყალს არხით შეუერთონ მდ. სუფსა. სადგურის საბოლოო ძალღონე იქნება 1.000 ან 1.500 ცხენის ძალა.

მიმდინარე წლის განმავლობაში გადაწყვეტილია ჩატარდეს სადგურის საამშენებლო პროექტის დასამუშავებლად საჭირო წინასწარი ე წ. რეკოგნოსცირო გამოკვლევები, რისთვისაც საჭირო იქნება 400 მანეთის დახარჯვა. ს. მ. უ. საბჭომ ოზურგეთის აღმასკომიდან უკვე მიიღო ცნობა—აღნიშნული თანხა გადადებულია და საგამოკვლევო ჯგუფს შეუძლია შეუდგეს მუშაობას.

ს. მ. უ. საბჭომ აღნიშნული გამოკვლევების ხელმძღვანელათ მოიწვია ინჟ. პლატონოვი, რომელსაც დავალებული აქვს გამოკვლევები დაამთავროს მიმდინარე . ზაფხულის განმავლობაში.

თაფარავანის ტბა—იაფი ენერგიის წყაროა

ელექტროფიკაციის ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია დიდი ჰიდრო-ელსადგურის აგება თაფარავანის ტბის მახლობლად (ახალქალაქის მაზრაში). აღნიშნული ტბა, რომელსაც რამდენიმე ათეული კვადრატიული კილომეტრის სივრცე აქვს, ჰკვებავს მიზრდილ მდინარეს თაფარავან-ჩაის. ჰიდრო-ელსადგურის ასაგებად განზრახულია აღნიშნული მდინარის გამოყენება და თუ საჭირო გახდა საკმაო რაოდენობით წყლის გადმოსაშვები არხის მოწყობა თვით ტბიდან. თავისი რელიეფით და გეოლოგიური წყობით თაფარავანის რაიონი, სპეციალისტების აზრით წარმოადგენს რთულ რაიონს, მაგრამ სამაგიეროთ აქ შესაძლებელი იქნება დიდძალი იაფი ელექტრო-ენერგიის მიღება.

თაფარავანის ტბის, მდ. თაფარავან-ჩაის და მახლობელი რაიონის წინასწარი ტოპოგრაფიული და ჰიდროლოგიური გამოკვლევები უკვე ჩატარდა. ამჟამად სწარმოებს მუშაობა თაფარავანის ჰიდრო-ელსადგურის სქემატიური პროექტის შესადგენად. უმაღლეს საკავშირო ორგანოების გადაწყვეტილებით საჭიროთაა ცნობილი, რომ დაჩქარებული იქნას აღნიშნული სადგურის საამშენებლო სამუშაოთა დაწყება.

მომავალ კვირაში თაფარავანის ჰიდრო-ელსადგურის ასაგები რაიონის დასათვალიერებლად გაემგზავრება ს. მ. უ. ს. კომისია, რომელიც დაწვრილებით გაეცნობა იმ რაიონს, სადაც უნდა იქნას აგებული სადგური და შეკრებს დამატებითი ცნობებს საჭირო პროექტის დასამუშავებლად.

თაფარავანის ჰიდრო-ელსადგურის პროექტის შესადგენად ამჟამად მუშაობს ინჟ.ა. ჩიქოვანი, რომელიც მონაწილეობას ღებულობდა ზაჰესის და ამჟამად მუშაობს რიონჰესის აღმშენებლობაში, როგორც ერთი ხელმძღვანელთაგანი.

საბჭოს წევრები მაქსიმალურად უნდა ჩაებან საგადასახადო საქმეში

(თბ. საბჭოს საფინანსო სექციის სხდომა)

სარაიონო ფინ. ინსპექტორებს დაკისრებული აქვთ დიდი საპასუხისმგებლო სამუშაო საგადასახადო დარგში. ამიტომ საჭიროდაა ცნობილი ამ აპარატის საქმიანობაში საბჭოს წევრების ფართოდ ჩაბმა, რომ აპარატის მუშაობამ მოიპოვოს მეტი საზოგადოებრივი ავტორიტეტი. გარდა ამისა ცნობილია, რომ ერთის მხრით თანდათანობით იზრდება საგადასახადო ნარჩენების ჯამი და ამ ნარჩენებში მოიპოვებიან „მკვდარი სულები", ხოლო მეორეს მხრივ არის შემთხვევები, რომ გადამხდელები სხვადასხვა არაკანონიერი გზით ახერხებენ გადასახადისაგან თავის დაძვრენას.

ყველა ამ უარყოფით მოვლენების გამოსწორებას მარტო აპარატი ვერ შესძლებს და ამის აუცილებლად ესაჭიროება საბჭოთა საზოგადოებრიობის პრაქტიკული დახმარება. სწორედ ამ ამოცანების განხორციელება დაავალა თბილისის საბჭომ თავის იმ წევრებს, რომლებიც მიმაგრებული იქნენ სარაიონო ფინორგანოებზე. მაგრამ როგორც 8 ივლისს შემდგარ ფინმუშაკების, საბჭოს ფინგანყოფილების და ფინორგანოებზე მიმაგრებულ საბჭოს წევრების თათბირზე გამოირკვა, ამ მხრივ მიზანი დღემდე განხორციელებული არ არის. ეს გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ფინორგანოებზე მიმაგრებული საბჭოს წევრები სამუშაო დროს ჩაბმული არიან თავის ძირითად მუშაობაში და არ შეუძლიან მონაწილეობა მიიღონ ფინ. ინსპექციის მუშაობაში, ხოლო სალამოობით ჯერ ერთი ფინინსპექტორებს არ რჩებათ თავისუფალი დრო (ისინი მონაწილეობას ღებულობენ სხვადასხვა კომისიების და თათბირების მუშაობაში) და, მეორე, მოუხერხებელია ფინორგანოებისათვის საჭირო სამუშაოს (სახლების სიების შემოწმება) საღამოობით შესრულება.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ გამოირკვა, რომ მართალია ეს მიზეზები აფერხებენ წესიერ მუშაობას, მაგრამ ნაწილობრივად ადგილი აქვს საქმის მოგვარების ცდის სისუსტეს ორივე მხრიდან. ამიტომ თათბირმა დაავალა ინსპექტორებსა და საბჭოს წევრებს შეთანხმებით გამონახონ თავისუფალი დღეები, როდესაც შესაძლო იქნება სახლების სიების შემოწმება და სხვა საქმეების შეთანხმებით ერთად შესრულება. ამასთანავე საჭიროდ იქნა ცნობილი საბჭოს ისეთი წევრების გამოძებნა და ფინორგანოებზე მიმაგრება, რომლებიც უფრო მეტი თავისუფალი დროით სარგებლობენ.

კლასობრივი მტრის შურისძიება

(ტ. ნ ი)

მემარჯვენე ელემენტები ჩვენს პარტიაში თვალებს ხუჭავენ და არ უნდიათ გაიგონ, რომ სოფლად და ქალაქად სოციალისტური სექტორის გაძლიერებასთან და კერძო კაპიტალისტურ ელემენტების შევიწროებასთან ერთად, მწვავდება კლასობრივი ბრძოლა.

„ნეპმანები და ყველა ანტი-საბჭოთა ელემენტები კულაკები, ყოფილი ვაჭრები, ყოფილი თავად-აზნაურობა და სამღვდელოება აძლიერებენ კონტრ შეტევას პროლეტარიატისა და ღარიბ და საშუალო გლეხობის წინააღმდეგ. ისინი ზოგჯერ აშკარა შეიარაღებულ თავდასხმებსაც ახდენენ ახალი საზოგადოებრიობის მებრძოლებზე. ამის საუკეთესო მაგალითი ქ. ონში მომხდარი შემთხვევაა.

ქალაქ ონში (რაჭა-ლეჩხუმის მაზრა) მცხოვრებ ებრაელთა შორის, რომელთა უმრავლესობა ცნობილია თავისი კულტურული ჩამორჩენილობით და რელიგიურ ფანატიზმით, გაიღვიძა კლასიური ბრძოლის ინსტიქტმა. გამოჩნდნენ მოწინავე ებრაელები, რომლებიც ჩაუდგნენ სათავეში ღარიბ გლეხობას მუქთაფელების წინააღმდეგ. მოწინავე ელემენტთა შორის იყო ამხ. ისაკ იბრამის ძე ხიტილაშვილი, კ.პ. წევრი 1923 წლიდან. მთელი შეძლებული ებრაელობა ილაშქრებდა ამხ. ხიტილაშვილის წინააღმდეგ ათასნაირი პირობით და მუქარით, მაგრამ მას ეს არ აშინებდა და განაგრძობდა ბრძოლას მათ წინააღმდეგ. ყოფილმა ვაჭრებმა და კულაკებმა შესძლეს ამ ამხანაგის მოცილება თავიდან ერთი ღარიბი ებრაელის ხელით, რომელმაც უთუოდ საკმაო ჯილდო მიიღო ამისათვის. ამხ. ხიტილაშვილი 29 ივნისს ოთხი ჭრილობის მიყენების შემდეგ გამოასალმეს სიცოცხლეს.

ქ. ონში მომხდარი მკვლელობა არის კონტრ-რევოლუციონური პოლიტიკური მოვლენა, რომელიც არ განისაზღვრება ამხ. ხიტილაშვილის მკვლელის მოქმედებით, არამედ მას აქვს ორგანიზაციული ხასიათი. ამიტომ ეს მკვლელობა განხილული უნდა იქნეს, როგორც კონტრ-რევოლუციონური მოქმედების ფაქტი, მიმართული იარაღით ხელში მთელი ჩვენი პოლიტიკის წინააღმდეგ სოციალისტურ მშენებლობაში. ამ მკვლელობის ჩამდენნი და მომწყობნი უსასტიკესად უნდა იქნან დასჯილნი, რომ ამოფხვრათ კულაკებისა და ყოფილი ვაჭრების მადა იარაღით ბრძოლისა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. თუ არ იქნა მიღებული ენერგიული ზომები, შესაძლებელია ამ ბოროტმა და ამაშფოთებელმა აქტმა კიდევ ჩააგდოს კერძო ებრაელი ახალგაზრდობა პანიკაში და შეაჩეროს მათი წინსვლა. ამხ. ხიტილაშვილმა უკანასკნელად, როდესაც მას ფილტვებში მოხვდა ქანგიანი ხანჯალი, წამოიძახა „მე მომკლა არა აბრამმა, არამედ მისე ქოსაშვილმა და მისმა პარტიამ"-ო. როგორც მკვლელი ისე მისი ორგანიზატორები უნდა დაისაჯონ სოციალური დაცვის უმაღლესი ღონისძიებით — დახვრეტით. ამას მოითხოვენ ღარიბი ებრაელები ერთხმად.

ნ. ზუზიძე.

პურის დამზადების საკითხი კახეთში

მიმდინარე წელს კახეთის მაზრაში პურის ნათესის არემ 18 პროც. მოიმატა. რაც შეეხება პურის მოსავალს, მას საუკეთესო პირი უჩანს და სპეციალისტების ვარაუდით წელს უკვე მიღწეულად უნდა ჩაითვალოს ხორბლის მოსავლიანობის 7 პროც. გადიდება.

ეს მიღწევები აყენებს საკითხს პურის დამზადების გეგმიანი ორგანიზაციისას, რომ საბაზრო პურის მარაგი ხელში არ ჩაუვარდეს კულაკობას და სპეკულიანტურ ელემენტებს. ჯერ-ჯერობით პურის დამზადებაზე არავის უფიქრია. საჭირო კი არის ის მცირე დრო, რომელიც დარჩენილია პურის დამზადების დაწყებამდე გამოყენებულ იქნას დამზადების წინასწარი სამუშაოთა ჩასატარებლად.

ცხადია კულაკობა შეეცდება პურის დამზადების კამპანია ჩაშალოს გასაყიდი პურის სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანოთათვის გადაცემის შეფერხებით. კულაკობა, რასაკვირველია თავის საკუთარ პურს ადრე არ გამოიტანს ბაზარზე და მიიღებს ყველა ზომებს პურის ბაზრის გეგმიანობის ჩასაშლელად, რომ ამით დააბრკოლოს ღარიბ და საშუალო გლეხთა გასაყიდი პურის გამოტანაც.

ამისათვის, პურის დამზადების კამპანიის ფაქტიურად დაწყებას წინ უნდა უძღოდეს ღარიბ და საშუალო გლეხთა მასაში ფართე ახსნა-განმარტების ჩატარება პურის დამზადებასთან დაკავშირებით კულაკური მახინაციების გამოსაშკარავებლად.

საჭიროა მშრომელ გლეხობას ფართოდ განემარტოს პურის დამზადების საქმეში კულაკური სპეკულიაციის და პროვოკაციის მავნებლობა. ამ მიზნით უნდა მოეწყოს სოფლის ღარიბთა სპეციალური კრებები საშუალო გლეხთა აქტიური მონაწილეობით. საქმე ისე უნდა იქნეს დაყენებული, რომ კულაკების თავხედობა—ჭორიკანობა თავის დროზე იქნას დაძლეული ღარიბ-საშუალო გლეხთა შეგნებული და ორგანიზაციული წინააღმდეგობით.

როგორც გასული წლის გამოცდილებიდან ვიცით, პურის დამზადება კახეთში საკმაოდ შეაფერხა დამამზადებელი ორგანოების კონკურენციამ. ეს მოვლენა არავითარ შემთხვევაში არ უნდა განმეორდეს. დამამზადებელი ორგანოების კონკურენციაში შემჩნეული დამნაშავე სასწრაფოდ უნდა იქნას ჩამოშორებული დამზადების ოპერაციებიდან და უნდა მიეცეს პასუხისგებაში.

ამჟამად პურის დამზადება იწვევს კულაკთან შეჯახებას და აღნიშნული კამპანია ობიექტიურად კლასთა ბრძოლის საგნად ხდება. ამისათვის დროზე უნდა მივიღოთ სათანადო ზომები, რომ პურის დამზადების საპასუხისმგებლო მუშაობას ჩამოცილდეს ყველა ის, ვისაც არ სურს კულაკს აწყენინოს და ვინც მტკიცედ არ შეებრძოლება იმ ელემენტებს, რომელნიც სოფლებში გამოვლენ კოოპერაციის მიერ პურის დამზადების წინააღმდეგ. ასეთი ელემენტები ხშირად ახერხებენ კოოპერატიულ ორგანოებში მოკალათებას და მათ გასაძევებლად დროზე თუ არ იქნა მიღებული ზომები, შეუძლიათ დიდი ზიანი მიაყენონ პურის დამზადების საქმეს.

პურის დამამზადებელ აპარატის გაუმჯობესებასთან ერთად მიღებული უნდა იქნას ზომები კახეთის მაზრის კოოპერატიულ ორგანოთათვის მეტი საქონლის (ფართალი, იარაღ-მანქანები, სახ.-სამ. მასალები და სხ.) მისაწოდებლად, რომ კოოპერაციას საშუალება მიეცეს კრედიტების, საქონლის და სხვათა მიწოდებით თვალსაჩინო წამახალისებელი დახმარება და შეღავათები გაავრცელოს—იმ გლეხებზე, რომელნიც პურს სახელმწიფოს ჩააბარებენ. ამ დარგში გასულ წელს საკმაოდ დიდი დეფექტები იყო შემჩნეული. ეს დეფექტები იმაში მდგომარეობდა, რომ პურის დამამზადებელ რაიონებისთვის მიჩნეული დეფიციტიანი სამრეწველო საქონელი არა დანიშნულებისამებრ განაწილდა და გაიფლანგა. ასეთი წელს არ უნდა განმეორდეს.

პურის დამზადების წარმატებით ჩატარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენად იცნობს დამამზადებელი აპარატი (ამ შემთხვევაში კოოპერაცია) თავის სამოქმედო რაიონს. პურის დამზადების რეალური გეგმის შედგენა და მისი შესრულება შეუძლებელია თუ არ ვიცით სამოქმედო რაიონის თითოეული მეურნეობის უნარიანობა და ის თუ რამდენი გასაყიდი პური მოეპოვება ამ თუ იმ მეურნეობას. ამის მიღწევა შესაძლებელია მოსავლიანობის სწორი აღრიცხვით და ამ აღრიცხვაში ღარიბ-საშუალო გლეხთა მასის დაინტერესებით და ჩაბმით.

დასასრულ აუცილებელია პარტიულ ორგანიზაციების, განსაკუთრებით მისი ძირითადი უჯრედების გარკვევა ამ საკითხში. იმგვარად, რომ უჯრედები უშუალო ხელმძღვანელობდნენ პურის დამზადების უდიდეს სამეურნეო და პოლიტიკურ მნიშვნელობის კამპანიას.

ა. ჭოჭუა.

დავიცვათ ჭირნახული წანახედისაგან

(წერილი კახეთიდან)

იმ ენერგიულ მუშაობამ, რომელიც ჩატარდა თესვის კამპანიის დროს, როგორც შემოდგომაზე, ისე განსაკუთრებით გაზაფხულზე, სასურველი შედეგი გამოიღო.

შემოდგომაზე დაითესა მთელი სახნავი ფართობის 70 პრ., ხოლო დანარჩენი მიწები გაზაფხულზე გადაიხნა. მართალია გაზაფხულზე პური ძლიერ ცოტა დაითესა, გვიანი გაზაფხულის გამო, მაგრამ სიმინდის თესლით-კი უხვათ დაიფარა მოხნული მიწები.

ამნაირად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ თესვის კამპანიის ამოცანები კახეთის მაზრაში შესრულდა მთელი 100 პროც.

მაგრამ ეს არა კმარა, ამით არ უნდა დავკმაყოფილდეთ. მოსულ ჭირნახულს მინდვრად მოვლა და პატრონობა უნდა. ამ საქმეში -კი ხელისუფლებამ ისეთივე აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს, როგორც თესვის კამპანიაში.

ამჟამად მთელი კახეთი საუცხოვო სანახაობას წარმოადგენს, ჯეჯილები წამოიზარდა, სიმინდი უკვე ითოხნება, ფეტვი და ქერიც ამოსულია. აქედანვე შეიძლება ითქვას, რომ ჭირნახულს კარგი პირი უჩანს. მაგრამ ეს ჭირნახული, ეს ამოდენა ნაშრომი ფუჭდება ისევ ადამიანის ხელით.

ჭირნახულის წანახედი, ეს ისეთი ბოროტებაა კახეთში, რომელიც ძირს უთხრის სოფლის მეურნეობას. ყოველთვის ამაზე ჩივის კახელი გლეხი და ითხოვს შველას.

საბჭოთა სანგარიშო კამპანიის ჩატარების დროს, გლეხები ამტკიცებდნენ, რომ ჭირნახულის წანახედი მოსავლიანობის ერთ დიდ ნაწილს შეიცავს და მოითხოვდნენ მკაცრი ზომების მიღებას.

ამ დღეებში მომხდა 6 დიდი თემის შემოვლა 160 კილომეტრის მანძილზე და მრავალი შემთხვევის მოწამე გავხდი, როცა საქონელი ყანაში იყო შერეკილი.

მეურმეს ყევარი საქონლით ურემი შუა ყანაში შეუტანია, საქონელი ხარბად მისძლომია ყანას და თვით მეურმეს-კი არხეინად სძინავს ურემზე. ერთი კაცი ხის ქვეშ წამოწოლილიყო და ცხენი-კი ყანაში შეეშვა. მწყემსები ნახირს მოერეკებიან არა გზაზე, არამედ ჯეჯილიან მინდორზე და აოხრებენ ნათესებს. ასეთი შემთხვევები თითქმის ყველა თემში გვხდება. ეს იყო შარა-გზაზე, ხოლო მივარდნილ ადგილებში უფრო უარესი იქნება.

საჭიროა ჭირნახულის წანახედს მიექცეს მთავარი ყურადღება. ეს საკითხი არც ისე უბრალოა. ამ საქმის მოგვარებაში მაზრის ხელისუფლების გარდა, მონაწილეობა უნდა მიიღოს თემ-საბჭოებმა და აგრეთვე მიწა-ტყის კავშირმა მოჯამაგირეთა და მწყემსთა შორის, რომელსაც უშუალოდ შეეხება ეს საკითხი. დამნაშავეთა გასამართლება უნდა მოხდეს ადგილობრივ, საჯაროდ. საზოგადოდ მიღებულ უნდა იქნას ყოველგვარი ზომები მინდვრის მოსავლის 100 პროცენტით შესანარჩუნებლად.

ხან—ლი.

ა. კ. ცაკში

გადასახადი წითელ ჯვრის სასარგებლოდ

ა. კ. ცაკის დადგენილებით ა. კ. რესპუბლიკათა მთავრობებს ნება მიეცათ სააგარაკო ადგილებზე შემოიღონ გადასახადი წითელი ჯვრის და წითელ ნახევარ მთვარის სასარგებლოდ.

უმუშევართა კოლექტივები

ა.კ. ცაკის დადგენილებით შრომის ბირჟასთან არსებული უმუშევართა კოლექტივები საბინაო-საიჯარო და კომუნალური გადასახადის მხრით გათანაბრებული არიან სახელმწიფო ორგანოებთან და სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებთან. გარდა ამისა, უმუშევართა კოლექტივები განთავისუფლებული არიან ყველა ადგილობრივი გადასახადებისა და გამოსაღებისაგან.

ა. კ. ცენტრო-არქივის საბჭო

რესპუბლიკანურ ცენტრო-არქივის მუშაობის შესათანხმებლად ა. კ. ცაკთან დაარსდა ა. კ. ცენტრო - არქივის საბჭო შემდეგი შემადგენლობით: ამიერ - კავკასიის ცაკის რწმუნებული, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ცენტრო არქივების გამგეები და ა. კ. პოლიტსამმართველოს წარმომადგენელი, ა. კ. ცაკის რწმუნებულად დანიშნულია ამხ. ს. ხეჩო.

სადგურ ზუგდიდის სახელწოდების შეცვლა

ა. კ. ცაკმა მოიწონა სადგ. ზუგდიდის სახელწოდების „ინგური"-თ შეცვლა.

ა. კ. სახკომსაბჭოში

ავტო-ტრანსპორტის განვითარებლად

ა.-კ. სახ. კომსაბჭომ საჭიროდ სცნო ა.-კ. ავტო-ტრანსპორტის მმართველობამ მიიღოს საჭირო ზომები და ტრანსპორტის განვითარება შეუფარდოს სახალხო მეურნეობის განვითარებიდან გამომდინარე ტრანსპორტის მოთხოვნილების ზრდას. ამ მიზნით წარმოება-დაწესებულებებს წინადადება მიეცათ გააცნონ ავტო-ტრანსპორტს თავიანთი 5 წლიანი გეგმები, რომ მათი მიხედვით ტრანსპორტს საშუალება მიეცეს შეადგინოს თავისი განვითარების პერსპექტიული გეგმა.

მუშათა ცენტრების სურსათ-სანოვაგით უზრუნველყოფა

მუშათა ცენტრებისათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიწოდების მოსაწესრიგებლად ა.-კ. სახკომსაბჭომ გამოყო კომისია ამხ. ბეჟაძიანის, ბუკრეევის, ბაგიროვის, გრიგორიანის, კურსელის, კუზნეცოვის, აკოპოვის, მგალობლიშვილის, სააკიანის და რესპუბლიკანურ მიწადმოქმედების სახ. კომისართა შემადგენლობით.

ა.-კ. უმაღლესი ეკონომსაბჭო

ა.-კ. სახკომსაბჭომ დაამტკიცა ა.-კ. უმაღლეს ეკონომ. საბჭოს შემდეგი შემადგენლობა: ამხ. შ. ელიავა, მამია ორახელაშვილი, ნაზარეტიანი, ბეჟაძიანი, გუსეინოვი, ფ. მახარაძე, გენკინი, ბუკრეევი, ამბარცუმიანი, ლაკტიონოვი, ბაგიროვი, პოზდეევი და კუზნეცოვი.

საამშენებლო მასალის კონტრაქტაცია

ა.-კ. სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო კუსტარულად დამზადებულ საამშენებლო მასალის კონტრაქტაციის ჩატარება. აღნიშნული მასალის კონტრაქტაცია ჩატარებული უნდა იქნას სარეწაო კოოპერაციის რესპუბლიკანურ კავშირების საშუალებით.

საექიმო პუნქტები მომთაბარეთათვის

მომთაბარეთათვის საექიმო დახმარების საქმის გაუმჯობესების მიზნით ა.-კ. სახკომსაბჭომ წინადადება მისცა რესპუბლიკანურ სახკომსაბჭოებს მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატებს დაავალონ მომთაბარეთათვის საექიმო პუნქტების მოწყობის გეგმის დამუშავება.

სახელმწიფო სესხების პოპულარიზაცია

სახელმწიფო ბანკის გამოსვლა გლეხთა სასახლეში

კვირას, 7 ივლისს, სახელმწიფო ბანკის თბილისის საგენტომ მოაწყო გამოსვლა გლეხთა სასახლეში. დილიდანვე გლეხთა სასახლის ყველა მთავარ შესავალ კარებში მოეწყო ცნობათა მაგიდები, ხოლო თვით სასახლის აივანზე გაიმართა ოპერატიული განყოფილება, სადაც სწარმოებდა სახელმწიფო სესხებას ობლიგაციების ყიდვა-გაყიდვა და მომგებიან ობლიგაციებზე მოგებების დარიგება.

სხვადასხვა სოფლებიდან ჩამოსული გლეხები, რომლებიც გლეხთა სასახლეში იყვნენ თავმოყრილი, განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდნენ გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის გარშემო. ცნობათა მაგიდები გლეხებს აწოდებდნენ ყოველგვარ ცნობებს აღნიშნული სესხის შესახებ, აძლევდნენ განმარტებებს, რომ გლეხის მეურნეობის სესხის ობლიგაციების მპატრონეებს შეუძლიათ თავისი ობლიგაციები, როგორც გაყიდვა, ისე დაგირავება და სხვა. იქვე სწარმოებდა აღნიშნული სესხის ობლიგაციების ყიდვა-გაყიდვა. ამასთანავე გლეხები აცხადებდნენ, რომ სოფლებში გავრცელებულია პროვოკაციული ხმები. გლეხის მეურნეობის სესხის შესახებ, რითაც სარგებლობენ ჩარჩული ელემენტები და კულაკები, რომლებიც ნახევარ ფასათ იძენენ ღარიბი გლეხობისაგან სესხის ობლიგაციებს.

სახელმწიფო ბანკის თბილისის საგენტოს უფროსმა ამხ. ჭაბისონიამ მოუწოდა დამსწრე გლეხებს გაფანტონ სოფლად გავრცელებული პროვოკაციული ხმები და განუმარტონ მათ მეზობლებს, რომ შესაძლებელია სესხის ობლიგაციების გაყიდვა და ხაზინა ღებულობს ამ ობლიგაციებს მათი ნომინალური ღირებულებით.

გამოსვლა დასრულდა საღამოს 5 საათზე.

მალარია „დემგესი"

ჩვენი გაზეთის 4 ივნისის ნომერში მოთავსებული იყო ცნობა, რომ შავი ზღვის ნაპირებზე გაჩნდა ახალი სახის ციებ-ცხელება ე. წ. „დემგესი".

იმის შესახებ საქ. ჯანმრთელობის სანიტარულ-ეპიდემიური განყოფილების გამგემ ექ. ნაზარეტიანმა ჩვენს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

„ეს ავადმყოფობა უმთავრესად გავრცელებული იყო საბერძნეთში. ვინაიდან შესაძლებელია მისი გავრცელება სხვა სახელმწიფოებშიც (და მაშასადამე ჩვენშიც), ამ საკითხის შესახებ მოსკოვში შესდგა სპეციალური თათბირი. ასეთივე თათბირი შესდგა აგრეთვე საქ. ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტშიც. თათბირმა შეიმუშავა ამ სნეულების წინააღმდეგ ბრძოლის პროექტი, რომელიც დამტკიცებულია საქ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ. რადგანაც ამ ბრძოლის წარმოება მოითხოვს განსაკუთრებულ ხარჯებს, პროექტი წარდგენილია დასამტკიცებლად საქ. სახკომსაბჭოში.

გეგმა ითვალისწინებს ორ მომენტს: 1) ბრძოლის წარმოება „დემგესის" გამავრცელებელ კოღოს წინააღმდეგ, რაც მუდმივ ხასიათს უნდა ატარებდეს. ბრძოლის წარმოება დავალებული აქვს სამალარიო სადგურებს; 2) შავი ზღვის სანიტარულ პუნქტებს (კარანტინებს) დაევალა გააძლიერონ მეთვალყურეობა სოხუმში, ოჩემჩირეში, ფოთში და ბათუმში მოსულ გემებზე, რომ ჩვენს ტერიტორიაზე არ შემოუშვან დემგესით დაავადმყოფებული პირები.

შეკითხვაზე, თუ რამდენად საშიშია ამჟამად შავიზღვის ნაპირებზე გამგზავრება, ჩვენს თანამშრომელს უპასუხეს:

„დემგესის" გამავრცელებელი კოღოები რამდენიმე სახისაა. თავის-თავად ეს კოღოები საშიშროებას არ წარმოადგენენ. ადამიანის დასნეულება „დემგესით" მათ შეუძლიანთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ამ სნეულებით დაავადმყოფებული ადამიანის კბენის შემდეგ ისინი უკბენენ ჯანსაღ ადამიანს. ამიტომ ზღვის პირას ამ კოღოს გამოჩენა ჯერ კიდევ არ ნიშნავს ავადმყოფობის გაჩენას. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტში შემდგარმა თათბირმა ჩვენი კარანტინების წინაშე დააყენა საკითხი ჩამოსულ გემებზე მეთვალყურეობის გაძლიერების შესახებ.

საქ. სახკომსაბჭოში

მალიარიასთან მებრძოლი კომიტეტის დაარსება

სახელმწიფო საგეგმო კომისიას და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს დაევალა წარმოუდგინოს სახკომსაბჭოს მოხსენება მალარიასთან მებრძოლი რესპუბლიკანური კომიტეტის დაარსების საჭიროების შესახებ.

საზოგადო კვების მოწყობა საქართველოში

სახელმწიფო საგეგმო კომისიას მიენდო დაინტერესებულ უწყებათა მონაწილეობით (სმუ საბჭო, ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველო, თბილისის აღმასკომი და სამომხმარებლო კოოპერაცია) დაამუშაოს სახალხო კვების საორიენტირო გეგმა იმ საერთო საფუძვლების მიხედვით, რომელზედაც დაფუძნებულია სრულიად საკავშირო საზოგადოება—„სახალხო კვება"-ს მუშაობა.

პირდაპირი გადასახადების ნარჩენების სალიკვიდაციო სამეულების დაარსება მაზრებში

სახელმწიფო პირდაპირი გადასახადების წარმატებით გადახდევინებისა და მათი ნარჩენების ლიკვიდაციის მიზნით, სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო ნარჩენების ლიკვიდაციის სამეულების მოწყობა ყველა მაზრაში გარდა თბილისისა.

ნიადაგის ტკილით გაპოხიერება

ნიადაგის ტკილით გაპოხიერების დაჩქარების მიზნით, წინადადება მიეცა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დაუყოვნებლივ შეუდგეს საგამოკვლევო მუშაობის წარმოებას.

წინადადება მიეცა კომუნალურ ბანკს მისცეს სმუ საბჭოს საგამოკვლევო მუშაობის წარმოებისათვის კრედიტი 5.100 მან. რაოდენობით 1929—30 წ. გეოლოგიური გამოკვლევათა ანგარიშში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. სამხატვრო აკადემიის ქანდაკების კლასის მოწაფეებმა ტ. მიქათაძემ და რ. თოფურიძემ დაამთავრეს ტერორისტ არსენა ჯორჯიაშვილის დიდი მონუმენტალური ქანდაკება. ქანდაკება გამოხატავს ყუმბარის სროლის მომენტს (ამ ყუმბარით მოკლულ იქნა გენერალი გრიაზნოვი).

სამხატვრო აკადემიის ქანდაკების ფაკულტეტის საბჭოს აზრით, ქანდაკება ბრწყინვალედ არის შესრულებული.

სურათზე: არსენა ჯორჯიაშვილის ქანდაკება.

რა ხდება ადგილებზე

აბრეშუმის მოსავალი

ზუგდიდი, 9 ივლისი. (საკ. კორესპ.). წელს მაზრის მოსახლეობაზე დარიგებული უნდა ყოფილიყო 17.000 კოლოფი აბრეშუმის თესლი, მაგრამ თუთის ფოთოლის ნაკლებობის გამო დარიგებულ იქნა 12.553. შემოსულია 5 ივლისისათვის 16.000 ფუთი პარკი, კიდევ შემოვა 7.000 ფუთი, სულ 23.000 ფუთი.

ა. კოდუა.

სურსათით დახმარება მოსახლეობას

ზუგდიდი, 9 ივლისი. (საკ. კორესპ.). მოსავლის ნაკლებობის გამო წელს მაზრაში უნდა შემოეზიდათ 470.000 ფუთი სიმინდი. დღემდე შემოიზიდა სამომხმარებლო კოოპერაციის საშუალებით 126.500 ფუთი სიმინდი, 19244 ფუთი ხორბლეული, რომელმაც იხსნა გლეხობა კერძო ვაჭარ-კულაკების გაყვლეფისაგან. პირველ ოქტომბრამდე კიდევ საჭიროა შემოიზიდოს 324.256 ფუთი.

ა. კოდუა.

საგზაო მშენებლობა

ზუგდიდი, 9 ივლისი. (საკ. კორესპ.). დაიწყო ზუგდიდ-ანაკლია შუა 32 კილომეტრზე რესპუბლიკანურ გზის კაპიტალური შეკეთება, რომელიც უნდა დამთავრდეს ერთ თვეში. რესპუბლიკანურ კრედიტიდან გზას მოხმარდება 15.000 მანეთი.

ა. კოდუა.

ახალი კოლექტივი

გურჯაანი, 8 ივლისი. ჭალაუბანში მოეწყო ამხ. ვარამაშვილის (სამაზრო კომიტეტის მდივანი) სახელობის კოლექტივი, რომელშიაც შედის 30 ღარიბი მეურნეობა (ადს).

ამინდი ხელს უშლის

გურჯაანი, 8 ივლისი. წვიმა ძალიან უშლის ხელს პურის მოსავლის აღებას. შირაქის საბჭოთა მეურნეობაში მუშაობს რამდენიმე დიდი სამკალი და სალეწი მანქანა. (ადს).

კოოპერაციის საერთაშორისო დღე

თელავი, 8 ივლისი. კოოპერაციის საერთაშორისო დღემ თელავში დიდის ზეიმით ჩაეწერა რამდენიმე ასი ახალი წევრი, მათ სახელოსნო გაჩირაღდნებული იყო. დღისით დაწესებულებებსა და საწარმოებში გაიმართა მოხსენებანი, რის შემდეგაც კოოპერაციაში შეეწერა რამდენიმე ასი ახალი წევრი, მათ შორის 30 მოჯამაგირე (ადს).

კულაკების შურისძიება

სიღნაღი, 9 ივლისი. სოფ. ნუკრიანში კულაკებმა დასწვეს 1.500 მან. ღირებული თივა, რომელიც ეკუთვნოდა კოლმეურნეობა „ნუკრიანს". კულაკებმა ამით შური იძიეს, რადგან მათ ჩამოერთვა კოლმეურნეობის სასარგებლოდ ზედმეტი მიწა.

კულაკები მიცემული არიან პასუხისგებაში. კოლმეურნეობას აუნაზღაურდა ზარალი კულაკების ხარჯზე.

დეფექტები საბინაო-კოოპერატიულ ამხანაგობათა მუშაობაში

(მ. გ. ინსპექციის და კომუნალურ სექციების გაერთიანებული სხდომა)

ტრამვაის მუშათა კლუბში შესდგა მ. გ. ინსპექციის და კომუნალურ სექციის გაერთიანებული სხდომა, რომელზედაც საბინაო-კოოპერატიულ ამხანაგობათა მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ალადაძემ.

მომხსენებელი შეეხო საბინაო-კოოპერატიულ ამხანაგობათა დანიშნულებას და აღნიშნა, რომ თბილისში არსებული საბინაო-კოოპ. ამხანაგობები ვერ ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას.

ამხ-ბების მოვალეობაა სახლების წესიერი ექსპლოატაცია, თავის დროზე შეკეთება და დაცვა, საცხოვრებელ ფართობის სათანადოთ განაწილება მშრომელთა შორის, მცხოვრებთა კოოპერატიული შეკავშირება და სხ.

ამას წინათ ჩატარებულმა გამოკვლევამ კი ნათელჰყო, რომ არც ერთი ზევით ჩამოთვლილ დანიშნულებას ამხანაგობები ამჟამად არ ემსახურებიან.

აი მაგალითებიც: თბილისში მოქმედობს 59 ამხ-ბა, რომლებსაც გადაცემული აქვთ 1786 სახლი. ამ სახლების უმრავლესობა ინგრევა მოუვლელობის გამო და თუ დროზე არ იქნა ჩატარებული მათი საფუძვლიანი შეკეთება, შესაძლებელია ამ სახლების საცხოვრებელი ფართობი რამდენიმე წლის შემდეგ განახევრდეს.

მართალია ზოგიერთ ამხ-ბას უწარმოებია და ეხლაც აწარმოებს სახლების ნაწილობრივ შეკეთებას, მაგრამ ამ საქმეზე დახარჯული ფულიც წყალში გადაყრილათ უნდა ჩაითვალოს, რადგან სამუშაო შესრულებულია ცუდათ. გარდა ამისა ამხ-ბებს უწარმოებიათ უფრო სახლის შიგნით კეთილმოწყობის სახის შეკეთება, იმ დროს, როცა სახურავებიდან წყალი ჩამოდის. უმთავრესად შეკეთება გამოიხატებოდა ცალკე ბინების გამშვენიერებაში. ვისი ბინებია გალამაზებული? ამხ-ბების თავმჯდომარეების, წევრების და მათი ახლო ნაცნობ-მეგობრების (მაგალითად ამხ-ბა № 13 და სხ).

თვით სახლის საერთო შეკეთება ჩატარებულია, ზერელეთ ტეხნიკურ მეთვალყურეობის გარეშე. ამ შეკეთებებზე ამხ-ბათა უყაირათობის გამო ღირებულებაზე ზევით დახარჯულია 150 პროცენტამდე მეტი.

გარდა იმისა, რომ საერთოდ ამხ-ბები ცუდათ უვლიან სახლებს, სხვა მხრივაც არ იჩენენ უნარიანობას. სახლებში არ არის დაცული სისუფთავე, მდგმურებს სახელდახელო სამზარეულოები აქვთ გამართული დერეფნებში, აივნებზე და კიბეების ქვეშ. ზოგიერთ ამხ-ბას სამზარეულო და სამრეცხაო ოთახები გამოუყენებია საცხოვრებელ ფართობათ, რაც სახლში ხელს უწყობს ანტისანიტარულ პირობების შექმნას.

ჯერ არავითარი ზომები არ არის მიღებული საცხოვრებელ ფართობის კუთვნილებისამებრ გასანაწილებლად. გარე უბნებში 20 კვ. ფართობზე ცხოვრობს 5—8 სული, ცენტრში კი თითქმის ყოველ სახლშია ზედმეტი საცხოვრებელი ფართობი. უმეტესად უჭირავთ არაფიზიკურათ მომუშავეებს. გარდა ამისა ამხ-ბების სახლებში მრავალი ბინა აქვთ კერძო პირებს.

თვით ამხ-ბების აპარატის მუშაობა, ანგარიშ-წარმოება ქაოტიურია. არავითარი წესი არ არის დაცული თანხების ხარჯვაში.

ბევრ ამხ-ბაში ადგილი აქვს გაფლანგვას, გამგეობის წევრებზე, მოანგარიშეებზე და კომენდანტებზე დაუმსახურებელ ჯილდოების გაცემას. ყველა ამხანაგობაში შტატი არაჩვეულებრივად გაბერილია.

ერთი სიტყვით მათი ანგარიშიანობა აწეწილია და ძნელი გასარკვევია რაში რამდენი დაიხარჯა და რისთვის.

საერთო წესით ამხ-ბების ადმინისტრატიულ ხარჯებზე უნდა იხარჯებოდეს შემოსავლის 17 პროცენტი, ნამდვილად კი ამხ-ბების აპარატის შესანახათ იხარჯება 60 პროცენტი და მეტი.

ამხანაგობების სახლებში ითვლება 30.042 მდგმური. ამხ-ბების წევრებათ კი ირიცხება 1611.

ამხ-ბებს სახლების კაპიტალური შეკეთების მიზნით კომუნალურ ბანკიდან სესხად მიღებული აქვთ 161.932 მანეთი, ამ თანხის ნახევარი ჯერ დაუფარავია.

დიდია ქირის დავალიანება, რაც აგრეთვე უნდა მიეწეროს ამხ-ბების სისუსტეს. არიან ისეთი მდგმურები, რომელთაც 10 15 და 20 თვეა ქირა არ გადაუხდიათ.

აღსანიშნავია აგრეთვე სახლების უკან დაბრუნების შემთხვევები. ძველ მეპატრონეებს უბრუნდებათ ისეთი სახლები, რომლებიც შესდგება 18-დან 35 ოთახამდე. მაგალითად 18 ოთახიანი სახლი დაუბრუნდა ვაჭარ დუგლიშვილს, ექიმ უმიკოვს დაუბრუნდა 30 ოთახიანი სახლი და სხ.

საერთოდ საბინაო-კოოპერატიულ ამხ-ბებს შესაფერი ხელმძღვანელობას ვერ უწევს საბინაო კავშირი.

მოხსენების ირგვლივ გაიხსნა ცხოველი კამათი, რის შემდეგ მიღებული იქნა პრაქტიკული ღონისძიებები საბინაო-კოოპერატიულ ამხ-ბების გასაჯანსაღებლად.

თბ. სასურსათო ბაზრის მდგომარეობა

(თბ. საბჭოს სავაჭრო კოოპერატიულ სექციაში)

8 ივლისს ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის მუშათა კლუბში ამხ. მ. გავაშელის თავმჯდომარეობით შესდგა სავაჭრო კოოპერატიული სექციის სხდომა, რომელზედაც საკვებ პროდუქტების ბაზრის მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. გრ. ლასკარამ.

იმის გამოსარკვევად, თუ როგორ სწარმოებს მომხმარებელთა საკვებ პროდუქტებით მომარაგება, სავაჭრო კოოპერატიულმა სექციამ ვაჭრობის მომწესრიგებელ განყოფილებასთან ერთად ჩაატარა თბილისის ბაზრების ფარული გამოკვლევა.

პირველ რიგში გამოკვლევა შეეხო პურის საცხობებს. აღმოჩნდა, რომ როგორც მუშკოოპის, ისე „ზაკტპო"-ს და განსაკუთრებით კი „რაჭას" პურის საცხობებში ადგილი აქვს პურის გაყიდვას კერძო პირებზე, ყალბი წიგნაკებით მიკიტნებისათვის პურის მიწოდებას და სხ. გარდა ამისა მეთორნეები წონაში ატყუილებენ მომხმარებლებს, პურს წონიან ცუდათ, გირვანქის ადგილას წონიან 400 გრამს, რაც ნაკლებია გირვანქაზე. ამასთანავე ზოგიერთ საცხობებში სასწორები უვარგისია და გირებიც ყალბია.

საცხობები ყოვლად ანტისანიტარულ მდგომარეობაშია, ზოგ საცხობებში, ფქვილის გადამალვის მიზნით, აუარესებენ პურის ხარისხს, არ აწარმოებენ ტალონების აღრიცხვას, დარჩენილ პურს ყიდიან კერძოებზე მაღალ ფასებში და სხ.

ხორცის, ბოსტნეულის და საბაკალეიო სავაჭროებში მომხმარებლებს უხეშად ეპყრობიან, ზოგიერთ სავაჭროში ადგილი აქვს რიგების ხელოვნურათ შექმნას, პირველ მოთხოვნილების საგნების გადამალვას ნაცნობებისათვის, ხშირად კერძო პირებზე მიყიდვას და სხ. სისუფთავე არც ამ სავაჭროებშია დაცული.

მოხსენების გარშემო გაიმართა ცხოველი კამათი, რის შემდეგ მიღებული იქნა პრაქტიკული ღონისძიებები თბილისის ბაზრების მოსაწესრიგებლად.

შემდეგ მუშა-მოსამსახურეების შეშით მომარაგების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ჩიკვაიძემ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სატყეო ტრესტი და მუშკოოპი სუსტად აწარმოებენ შეშის დამზადების საქმეს, კერძო ვაჭრები კი გაცხოველებით მუშაობენ შეშის მოსამარაგებლად. ისინი მეურმეებისაგან ეხლა იძენენ შეშას ნახევარის ფასათ, რასაც ზამთარში გაყიდიან ორმაგ ფასებში. კერძო ვაჭრები აგრეთვე ახერხებენ შეშის დამზადებას მაზრებშიაც.

ამასთანავე საჭიროა ყურადღება მიექცეს შეშის საწყობებისა და გასაღების პუნქტების ქსელის გაფართოებას. განსაკუთრებით ამ მხრივ უყურადღებოთ არიან მიტოვებულნი გარე უბნები.

კამათის შემდეგ სხდომამ დაადგინა ეთხოვოს თბ. აღმასკომს, რათა ეხლავე მიღებული იქნას ზომები შეშის თავის დროზე და საჭირო რაოდენობით დასამზადებლად. შეშა მუშა-მოსამსახურეებს შორის თავის დროზე უნდა იქნას განაწილებული ადგილკომების საშუალებით. გადიდებული იქნას შეშის საწყობებისა და სავაჭრო პუნქტების რიცხვი გარე უბნებში. ამასთანავე მიღებული იქნას ზომები კერძო ვაჭრების ასალაგმავად.

ცხენოსან ნაწილების შეჯიბრება

ხვალ თბილისის იპოდრომზე დაიწყება კავკასიის წითელ დროშოსან არმიის ცხენოსან ნაწილების შეჯიბრება, რომელიც გასტანს ოთხ დღეს. შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებენ № კავკ. ცხენოსანი ბრიგადა, ქართული, სომხეთის, აზერბეიჯანის ცხენოსანი ლეგიონები და საარტილერიო ნაწილები.

შეჯიბრების მიზანია იმის გამორკვევა, თუ როგორ სწარმოებს არმიის ცხენოსან ნაწილებში ცხენოსნების მომზადება, ცხენების გაწრთვნა და რა მიღწევები აქვთ არმიის ცხენოსან ნაწილებს.

შეჯიბრების მიზანს შეადგენს აგრეთვე საცხენოსნო სპორტის პოპულარიზაცია მშრომელ მოსახლეობის შორის.

შეჯიბრების პროგრამაში შედის: ჯირითი, იარაღის ხმარება გაჭენებულ ცხენზე, დაბრკოლებების დაძლევა, ხტომა სიმაღლეზე, მანძილზე და სხვა.

შეჯიბრების დროს ყურადღება მიექცევა ცხენების ამტანიანობას, გაწრთვნას და გამძლეობას.

საუკეთესო ცხენებს მიეცემათ ჯილდოები. საუკეთესო ცხენოსანი ნაწილი მიიღებს გარდამავალ ჯილდოს.

იმ მიზნით, რომ მშრომელ მოსახლეობას მიეცეს საშუალება გაეცნოს არმიის ცხენოსანი ნაწილების მიღწევებს, შესვლა იპოდრომზე შეჯიბრების დროს თავისუფალია.

ქრონიკა

პროფსაბჭოს პლენუმი

ხუთშაბათს, 11 ივლისს, საღამოს 6 საათზე პროფსაბჭოს დიდ დარბაზში შესდგება საქართველოს პროფსაბჭოს გაფართოვებული პლენუმი ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს, კავშირების ც. გამგეობათა, ფაბქარხადგილკომების წევრების და თბილისში მყოფ სამაზრო პროფორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით.

პლენუმზე საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმის შედეგების შესახებ მოხსენებას გააკეთებს ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. კუზნეცოვი.

გლეხთა ახალგაზრდობის სკოლების მოწაფეთა ექსკურსია

ამ დღეებში ამიერ-კავკასიის მასშტაბით ჩატარებული იქნება გლეხთა ახალგაზრდობის სკოლების მოწაფეთა ექსკურსია. პირველად ამა თუ იმ სკოლის მოწაფეთა ექსკურსია მოეწყობა მახლობელ სოფლებში, შემდეგ რესპუბლიკის მთავარ ქალაქებში. აქედან ექსკურსიები გაემგზავრებიან მეზობელ რესპუბლიკებში ადგილობრივ სასოფლო-მეურნეობის და მრეწველობის გასაცნობათ. უკან დაბრუნების შემდეგ ექსკურსანტები ჩაატარებენ საუბრებს გლეხებს შორის და მათ გაუზიარებენ თავიანთ შთაბეჭდილებებს.

ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის გადატანა ახალ შენობაში

დაიწყო საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმის გადატანა საქართველოს მუზეუმის ახალ, დიდ შენობაში. დღემდე აღნიშნული მუზეუმი მოთავსებული იყო სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში. ჯერ-ჯერობით ახალ შენობაში გადმოტანილია იარაღების კოლექციები.

ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი მოთავსებული იქნება ახალი შენობის მესამე სართულზე.

საბავშვო ბაღები სას. სამ. კომუნებში

განათლების სახ. კომისარიატმა სას. სამ. კომუნებში საბავშვო ბაღების მოსაწყობად გადასდო 20.000 მან. აღნიშნული თანხა კოლმეურნეობათა ცენტრმა თანაბრად გაუნაწილა თბილისის მაზრის კომუნა „ბატრაკ“-ს, წალკის რაიონის „ბარმარქსიზი“-ს კომუნას, აბულაღის კომუნას, ახალციხის მაზრის სოფ. ტაძრის კომუნას, ახალქალაქის მაზრის სოფელ სულდას კომუნას, ბორჩალოს მაზრის სოფ. მირზოევკას კომუნას და სენაკის მაზრის კომუნა „ლებალათური“-ს.

წითელ გორას ებრაელთა კოლექტივის გამოკვლევა

სოფელ წითელ გორას ებრაელთა სას. სამ. კოლექტივის გამოსაკვლევად გაემგზავრა სპეციალური კომისია მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის და კოლმეურნეობათა ცენტრის წარმომადგენელთა შემადგენლობით.

პროდუქციის თვითღირებულების შესამცირებლად

თბილისის აღმასკომის საგეგმო კომისიამ დაადგინა ადგილობრივ მრეწველობის მუშაობის გასაფართოვებლად, აგრეთვე შრომის ნაყოფიერების ასაწევად და თვითღირებულების შემცირებასთან დაკავშირებულ საკითხების მოსაწესრიგებლად, ადგილობრივ მრეწველობის განყოფილებასთან დაარსებული იქნას ეკონომიკის ქვე-განყოფილება.

თბილისის აღმასკომში

◆ **კანალიზაციის მმართველობა** გადაეცა წყალსადენის სამმართველოს.

◆ **საექიმო პუნქტები.** ჯანმრთელობის განყოფილება მაზრაში ხსნის 60 საექიმო პუნქტს.

სხვადასხვა

◆ **მენახირეების დაზღვევა.** შრომის კომისარიატმა გადასწყვიტა დააზღვიოს მენახირეები.

◆ **ხილის ხახმობი ქარხანა.** ახალციხეში სექტემბერში ამუშავდება ხილის სახმობი ქარხანა.

◆ **დღეს საღამოს 8 საათზე საქმიან კლუბის დარბაზში** (რუსთაველის თეატრის შენობაში) შესდგება საქ. გეოგრაფიულ საზ-ბის მთასვლა-მგზავროსნულ განყოფილების წვრთნელთა კრებულის სხდომა.

◆ **18 ივლისს ტრამვაის მუშათა კლუბში** (პლეხ. პროსპ.) მოწვეულია პროფკავშირების ფიზკულტურის წრეების ბიუროს თათბირი. თათბირის შემდეგ გაიმართება სამხატვრო განყოფილება. საჭადრაკო წრეებს უფასო ბილეთების შეძენა შეუძლიათ პარასკევს, 12 ივლისს ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში, საღამოს 7 საათიდან ამხ. ლ. კარლინსკისთან.

ჟურნალი „დროშა“ № 12

გამოვიდა ჟურნალი დროშა № 12, შემდეგი შინაარსით: მეთაური, მ. კახიანი—კულტურული მშენებლობა და ამიერ-კავკასიის საბჭოთა მწერლების ამოცანები, შ. რადიანი—კულტურული კავშირისათვის (საქართველოს საბჭოთა მწერლების დელეგაცია სომხეთში), პეტრე სამსონიძე—გამბედაობა, ძმებო! (ლექსი), ს. შანშიაშვილი—პირველი ტრაქტორი, ე. ხუციშვილი—კარსანის მაგნიტური ობსერვატორია, სანდრო შანშიაშვილი—ბაბუა თედო (ლექსი) მაქს ჰელცი—თეთრი ჯვრიდან წითელი დროშისაკენ (თარგმანი გერმანულიდან გერონტი ქიქოძის მიერ), ნ. ტ.—ძე—საქართველოს სარეწაო კოოპერაცია, გ. ჩიტაია—საქართველოს მუზეუმის კოლექციები, იუმორის განყოფილება.

ჟურნალში გარდა ამისა მოთავსებულია 36 ფოტო-სურათი, ინფორმაცია და კარიკატურები.

თბ. ჰიდრო-ტექნიკუმის კურსდამთავრებულთა სია

1928—29 სამოსწავლო წლის ბოლოს ტექნიკუმი დაამთავრეს და ჰიდრო-ტექნიკოსების სახელწოდება მიენიჭათ 27 ახალგაზრდას: ბურჭულაძე ნიკოლოზ სიმონის ძე, გუმბერიძე შალვა ვლადიმერის ძე, გამყრელიძე პეტრე სიმონის ძე, დევდარიანი პავლე სპირიდონის ძე, დუნდუა შალვა ფარნაოზის ძე, ვაშაკიძე ვლადიმერ ალექსანდრეს ძე, კოტეტიშვილი ივანე დიმიტრის-ძე, მაევსკი გიორგი სტანისლავის ძე, მუმლაძე ანტონ ილიას ძე, ნებიერიძე ევგენი დიმიტრის ძე, ნინიძე ვარლამ ნიკოლოზის ძე, ნადირაძე ალექსანდრე ლევანის ძე, სიმონიშვილი შალვა ვასილის ძე, სარჯველაძე შალვა ისიდორის ძე, უშვერიძე შალვა იონასძე, ფირაძე მიტროფანე ვლასის ძე, ქიმერიძე დიმიტრი ნიკოლოზის ძე, ღვინიაშვილი ზაქარია გიორგისძე, შანშიაშვილი ირაკლი ილიას ძე, ჩხაიძე ჭოლა პავლეს ძე, ძაგანია გაბრიელ გრიგორის ძე, ხომასურიძე პეტრე ვასილის ძე, ჯაფარიძე ბორის პარმენის ძე, ჩიტიშვილი მიხეილ მიხეილის ძე, ქაჯაია ვლადიმერ სპირიდონის ძე, რუხაძე გრიგოლ ვლადიმერის ძე, მახარაძე ლიუდმილა ალექსანდრეს ასული.

ფეხბურთი

ოდესა-თბილისი

თბილისში ჩამოვიდა ოდესის ფეხბურთელთა გუნდი „დინამო“, რომელიც აქ ჩაატარებს ოთხ შეჯიბრებას.

ოდესის „დინამო“ ერთ-ერთ უძლიერეს გუნდათ ითვლება მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით, ამიტომ მისი გასტროლები თბილისში დიდ ინტერესს იწვევს.

სტუმრებთან ითამაშებენ „დინამო“, ტრანსპორტელთა კავშირის (ყოფ. გემო-კვების მუშაკების) გუნდი, მელითონეების გუნდი და „დინამო—ა“.

შეჯიბრებები დანიშნულია 11, 13, 14 და 16 ივლისისათვის. პირველი შეჯიბრება გაიმართება ხვალ, 11 ივლისს, „დინამო-მეორეს“-თან.

ყველა მატჩები ჩატარებული იქნება „დინამო“-ს სტადიონზე.

შემთხვევები

სიყალბე

თბილისის სისხლის სამართლის მილიციამ პასუხისგებაში მისცა მუნიციპალიზაციაქმნილ სახლის (ბათომის ქ. № 12) ყოფილი მმართველები: შალვა სარდიონის ძე ბალავაძე და ტატიანა აბრამის ასული გრინოვა, რომლებმაც აღნიშნულ სახლის ყოფილ მეპატრონის შვილს—ნიკოლოზ ხვედელიძეს მისცეს ყალბი მოწმობა სოციალური მდგომარეობის შესახებ. —პასუხისგებაშია მიცემული მილიციელი ნიკოლოზ იოსების ძე მოსიევი, რომელიც ახერხებდა დამზღვევ სალაროდან უმუშევართა დახმარების მიღებას. ამ გზით მან მიითვისა 60 მანეთზე მეტი.

გაფლანგვა

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა სახ. ბანკის ადგილკომის ტეხნიკური მდივანი გლებად აპოლონის ძე ლეკოვიჩი, რომელმაც ყალბი საბუთების შედგენის საშუალებით მიითვისა 400 მანეთი სახაზინო ფული.

უბედური შემთხვევა

გუშინწინ, დღისით, ლენინაკანის ქუჩაზე ტაქსიდან მოულოდნელად გადმოვარდა სიკო გუხიტაშვილი, რომელიც მძიმედ დაშავდა. მას აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება და გადაგზავნეს საავადმყოფოში.

ბოროტმოქმედება შრომის კოლექტივში

ამ რამდენიმე ხნის წინად მოხდა რევიზია შრომის ბირჟის კოლექტივის მაღაზიაში (№ 5). ხსენებული კოლექტივი აწარმოებს ამერიკული ტანსაცმელის გასაღებას. გამოირკვა, რომ მაღაზიის გამგეს—ნიკოლოზ აფანასის ძე ელიზბარაშვილს გაუფლანგავს სახაზინო ფული. ელიზბარაშვილი პასუხისგებაშია მიცემული.

პურის ყალბი წიგნაკების დამმზადებელი

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა გრიგოლ სამსონის ძე რუხაძე, რომელსაც პურის ყალბი წიგნაკებით მუშკოოპის მაღაზიებიდან სისტემატიურად გამოჰქონდა პური, შაქარი და ჩაი.

დაპატიმრებისას რუხაძეს აღმოაჩნდა რეგისტრაცია თაღლითობასა და აფერისტობაში.

საქონლის მიღება ყალბი წიგნაკებით

დაპატიმრებულია მიხეილ გიორგის ძე ახალქალაქოვი, რომელსაც ყალბი წიგნაკებით მუშკოოპიდან გამოჰქონდა დეფიციტიანი საქონელი.

ქურდობა

გაქურდეს ნიკოლოზ ფოთოლაშვილის ბინა (ძმობის ქუჩა); წაიღეს 140 მანეთის ნივთები. —ნადეჟდა ხოჯოლავას (საბჭოთა ქუჩა № 192) მისმა სტუმარმა მარიამ მგალობლიშვილმა მოპარა 190 მანეთის ნივთები.—ალექსანდრე მელქუმოვის ბინიდან (ერისთავის ქუჩა № 4) მოიპარეს 120 მანეთის ნივთები.—გაქურდეს გაბიევის ბინა (ჯულაშვილის ქუჩა № 7); წაიღეს 250 მანეთის ნივთები.—გარდა ამისა, 8 ივლისს ქალაქში აღრიცხულია წვრილი ქურდობის 6 შემთხვევა.

შეპყრობა

დაპატიმრებულია ბოსრო თათეოზის შე ალაჯანიანი, რომელმაც ცენტრალურ ბაზარზე ვალერიან ჯაფარიძეს ჯიბიდან ამოაცალა 27 მანეთი.

ჯიბგირობა

თათრის მოედანზე ვიღაც ბოროტმოქმედმა ახმედ ნორზა-ოღლს ჯიბიდან ამოაცალა 40 მანეთი.—კონ. რატიანს შ. საგანელიძემ ჯიბიდან ამოაცალა ფული და სხვადასხვა საბუთები. საგანელიძე დაპატიმრებულია. შემთხვევები. სუვ კლბთრ დ; სუვ კლბთრ

მუშკოოპის საწყობის გაქურდვა ჭიათურაში

4 ივლისს ღამით ბოროტმოქმედებმა გაქურდეს მუშკოოპის მთავარი საწყობი. მთავარ საწყობში შესვლის მიზნით მათ ჩაუმტრევიათ პირველათ მთავარი საწყობის გვერდით მდებარე დამხმარე საწყობის დარაბა, სადაც ეწყო ფქვილი და სხვა მძიმე საქონელი. ამ საწყობიდან ბოროტმოქმედები გადამძვრალან მთავარ საწყობში პატარა დარკინული სარკმელის საშუალებით, საიდანაც წაუღიათ ფართალი, გალანტერეია და სხვა საქონელი. ზარალი გამოურკვეველია. სწარმოებს კვლევა-ძიება.

ხელოვნება

როგორი იქნება სახელ. ოპერის მომავალი სეზონი

მოსკოვიდან დაბრუნდა სახელმწიფო ოპერის დირექტორი ლ. ჯაფარიძე, რომელმაც ოპერის მომავალი სეზონის ორგანიზაციის შესახებ ჩვენს თანამშრომელს აცნობა:

სახელმწიფო ოპერის დირექციის მიერ უკვე დადებულია ხელშეკრულებები შემდეგ მომღერლებთან: დრამატიული სოპრანო **დ. დერჟინსკაია** (მოწვეული 2 ნახ. თვით), ლატვიის ნაციონალური ოპერის მომღერალი—ქალი **მ. ბრეხმან-შტენგელი** (3 თვით), **ბოგოლეპოვა** (მთელი სეზონი), ლირიული სოპრანო **მ. ბარათოვა** (მთელი სეზონი), **ა. ვოლ-ლევიცკაია** (რამდენიმე წარმოდგენა), **ფ. მუხტაროვა** (ნახევარი სეზონი), მოსკოვის დიდი თეატრის მომღერალი ქალი **მ. მაქსაკოვა**, რომელიც ეხლახან დაბრუნდა საზღვარგარეთიდან, სადაც წარმატებით გამოდიოდა ყველა დიდ ქალაქებში, კოლორატურული სოპრანო **ე. პოპოვა** (2 ნახ. თვით) და მთელ სეზონისათვის მოწვეულია ცნობილ რეჟისორ **კ. სტანისლავსკის** მოწაფე, ახალგაზრდა ქართველი მომღერალი ქალი **ო. ნინუა-ცაგურია**, რომელმაც დაამთავრა მოსკოვის კონსერვატორია და უმაღლესი კატეგორიის მომღერალ-ვოკალისტის სახელწოდება მიიღო უკანასკნელ კვალიფიკაციაზე მოსკოვში. ამას გარდა სამი თვით მოწვეულია მომღერალი ქალი **შევქეთ ხანუმ-მამედოვა**, რომელიც ეხლახან დაბრუნდა საზღვარგარეთიდან და ლენინგრადის სახელ. ოპერაშია მიწვეული

მამაკაცებიდან ჯერ-ჯერობით ხელშეკრულებები დადებულია ტენორ **ნ. პეჩკოვსკისთან** (სამი თვით) და ლირიულ ტენორ **ლემეშევთან** მთელი სეზონი). მოლაპარაკება სწარმოებს კ. სტანისლავსკის სახელობის მუსიკალურ თეატრის მომღერალ **დ. ანდღულაძესთან** და აგრეთვე **ნ. ქუმსიაშვილთან** მათი მთელი სეზონით მოწვევის შესახებ. ბარიტონებიდან მოწვეულია **სანდრო ინაშვილი, გ. ვენაძე, ი. გურელოვი** (მთელი სეზონი) და **დ. გოლოვინი** (2 ნახ. თვით), ბანებიდან მოწვეულია მოსკოვის დიდი თეატრის არტისტი ალექსანდრე პიროგოვი (ორი თვით), ლენინგრადის ოპერის მსახიობი **მ. რეიზენი** (ორი თვით) და მოლაპარაკება სწარმოებს **ლ. ისეცკისთან** (მთელი სეზონი).

მთავარ რეჟისორად მოწვეულია **ნ. ზოგოლიუბოვი**, ცალკე დადგმებზე— **კ. მარჯანიშვილი და ა. წუწუნავა**.

დირიჟორებათ მოწვეული არიან **ი. ფალიაშვილი, ა. პავლოვ-არბენინი და ვ. ულრიხი.**

სახელმწიფო ოპერის ბალეტი მნიშვნელოვნად გადახალისებულია. ძველი შემადგენლობიდან ჯერ-ჯერობით ხელშეკრულება დადებულია ვ. მერხასინასთან, ა. ბაბანინთან, მულერთან და პილერთან. რამდენიმე თვით მოწვეულია მოსკოვის დიდი თეატრის ბალერინა ა. აბრამოვა. მოლაპარაკება სწარმოებს იმავე თეატრის არტისტებთან ლ. ბანკთან და ვ. სმოლცოვთან მათი მთელი სეზონით მოწვევის შესახებ. ბალეტმეისტერათ მოწვეულია ს. სერგეევი.

მომავალ სეზონში განსაკუთრებული ყურადღება ექნება მიქცეული ქართული ოპერების ხელახლა დადგმას. ახალი ოპერიდან წავა „ამირანი“, „თქმულება შოთა რუსთაველზე“ (ახალი მუსიკალური და ლიტერატურული ტექსტით) და „ცისანა“, განზრახულია აგრეთვე ერთი ქართული ბალეტის დადგმა.

უცხოეთის ახალ ოპერებიდან დადგმული იქნება გერმანელ კომპოზიტორ ჰინდემიტის ახალი ოპერა „ახალი ამბები“. ამ ოპერის დადგმის უფლება ავტორისაგან შეძენილი აქვს მოსკოვის დიდ თეატრს და თბილისის ოპერას. ეს ოპერა უდიდეს ინტერესს იწვევს მუსიკოსთა შორის.

ცნობილ კომპოზიტორ რ. გლიერთან მიღწეულია შეთანხმება მისი ახალი ოპერის „შახსენემ“-ის თბილისის სცენაზე დადგმის შესახებ. ეს ოპერა გლიერმა დასწერა აზერბეიჯანის მთავრობის შეკვეთით აზერბეიჯანის ხალხური მუსიკის საფუძველზე. გლიერთან შეთანხმებით ოპერის მუსიკალურ ნაწილის განხორციელებას თბილისში ხელმძღვანელობას გაუწევს თვითონ ავტორი.

ქართულ ოპერებში მონაწილეობის მისაღებათ, სხვათა შორის, მოწვეული არიან შემდეგი არტისტები: გოლოვინი, ბოგოლეპოვა და ბრეხმან-შტენგელი („აბესალომ და ეთერი“). ე. პოპოვა და შევქეთ-ხანუმ-მამედოვა („დაისი“), ფატმან მუხტაროვა („თამარ ცბიერი“) და ი. გორელოვი—„ამირანი“.

მუდმივ მხატვრად მოწვეულია კ. იოანოვი, ცალკე დადგმებზე განზრახულია მოწვეული იქნეს აკადემიკოსი ლანსერე, დ. კაკაბაძე, ე. ახვლედიანი, ლ. გუდიაშვილი და პ. ოცხელი.

თბილისის ოპერასთან შეთანხმებით მოსკოვის დიდმა თეატრმა თავის რეპერტუარში შეიტანა ერთი ქართული ოპერა. ამას გარდა ქართულ ოპერას დგამენ უკრაინულ ენაზე („აბესალომ და ეთერი“) უკრაინის სახელმწიფო თეატრები.

თავის მხრივ თბილისის ოპერაც ყოველ ღონეს იხმარს, რომ დადგას ქართულ ენაზე უკრაინული ოპერა „ტარას ბულბა“.

სეზონი გაიხსნება 1 ნოემბერს და გასტანს 15 აპრილამდე.

—:—

ხელოვნების ქრონიკა

◆ **ხელოვნების სახახლეში დღეს**, საღამოს 8 საათზე ვიქ. შკლოვსკი წაიკითხავს მოხსენებას: „ფაქტი ლიტერატურა“. კამათში მონაწილეობის მისაღებათ მოწვეულია ყველა მიმდინარეობათა წარმომადგენლები.

◆ **სახ. ბაღში** დღეს გაიმართება მოსკოვის მხატვრულ-ვოკალურ კვარტეტის უკანასკნელი გასტროლი.

◆ **სავიჩის დირიჟორობით** დღეს ოპერის თეატრში გაიმართება მეორე სიმფონიური კონცერტი.

◆ **მედსანშრომის კლუბში** გაიმართება „ლურჯი ხალათი“-ს წარმოდგენა.

არქიტექტორ-მშენებელთა გამოშვება სამხატვრო აკადემიიდან

7 ივლისს სამხატვრო აკადემიაში შესდგა პირველი საჯარო დაცვა არქიტექტორული პროექტის: ბაზარი მადათოვის კუნძულზე—ორი ვარიანტით. პროექტი ჰგულისხმობდა მადათოვის კუნძულის დაკავშირებას ქალაქთან და კუნძულზე სასოფლო-სამეურნეო მუზეუმის და მუშათა სასახლის აგებას და ცენტრალური ბაზრის მოწყობას. პროექტის ავტორები იყვნენ აკადემიის ახლად კურსდამთავრებულნი ამხ. ქარდარიანი და პაპაიანი.

სხდომის გახსნისას აკადემიის რექტორმა ამხ. შ. დუდუჩავამ შესავალი სიტყვით მიმართა დამსწრეთ, რომელშიაც მოკლედ დაახასიათა არქიტექტურული სწავლების ხასიათი, ხაზი გაუსვა მხატ. და მშენებლობითი მომენტების დაკავშირებას ამ სწავლებაში და ბოლოს აღნიშნა ის საზოგადოებრივი ამოცანები, რომელიც სდგას საბჭ. არქიტექტორების წინაშე. სადიპლომო შრომის დამცველთა სიტყვის შემდეგ გაიხსნა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს პროფ. **კალგინმა, ნ. სევეროვმა,** ინჟინრებმა **პატოლაევმა, ნეპრინცევმა, კალაშნიკოვმა და შახბუდაგოვმა;** კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე არქიტ. **ილიზმა და ჯანდიერმა.** ოპონენტები აღნიშნავდნენ თემის სირთულეს და პროექტის ავტორების მიერ სწორ მიდგომას როგორც არქიტექტურის, ისე კონსტრუქციის მხრივ. ამ პროექტებით ნათელი ხდება ის გარემოება, რომ სამხატვრო აკადემია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მშენებლობითი მომენტს, რაიც საშუალებას მისცემს აკადემიას გამოუშვას არქიტექტორ-მშენებელთა მომზადებული კადრი—განაცხადა ინჟ. პატოლაევმა, ნეპრინცევმა, შახბუდაგოვმა და კალაშნიკოვმა. კამათი გაგრძელდა შვიდი საათი, რის შემდეგ პროექტის ავტორებს საგამოცდო კომისიის მიერ მიენიჭა არქიტექტორ-კონსტრუქტორის სახელწოდება.

სასამართლო

მოსამართლე, თუ სამარცხვინო მუშაკი

პარმენ მიხეილისძე ნოდია ჩვენი გაზეთის 9 მაისის № 103 საქმაოდ იყო დახასიათებული, როგორც გახრწნილი და გადაგვარებული პარტიული მუშაკი.

ჩვენს გაზეთში მოთავსებულ წერილის შემდეგ ნოდიას საქმეს ხელი მოჰკიდა პროკურატურამ და საგამომძიებლო ორგანომ. დღეს უკვე გამორკვეული და დადასტურებულია, რომ ნოდია ლაფში სვრიდა იმ დაწესებულების ავტორიტეტს, რომლის წარმომადგენელიც ის იყო.

რას იტყვით ასეთ სახალხო მოსამართლეზე?

ნოდიას გზავნიან აბულაღ-ასურეთის დუმინისის თემის სოფლებში საბჭოთა არჩევნების მოსამზადებელი კამპანიის ჩასატარებლად. ნოდია კავშირს აბამს ადგილობრივ „კულტურულ ძალებთან“ უმთავრესად მასწავლებელ ქალებთან და მათ პატივსაცემად პირველ „საარჩევნო სამზადისის“ მუშაობას ატარებს (!) სოფელ ახალ-კოკაში, ვინმე თამაევთან, რომელსაც საეკლესიო დღესასწაულზე მოპატიჟებული ჰყავს მთელი ადგილობრივი „თაიგული“.

საბჭოთა არჩევნების ხელმძღვანელი „მოსამართლე“ ნოდია იძლევა დირექტივას პირველ სადღეგრძელოს დალევისას: „დავლიოთ ზომიერათ“.

მაგრამ ორიოდე ჭიქის მიღების შემდეგ ნოდია უკვე ყანწებით სვამს არაყს და გადადის ალავერდს. ვინც არ დალევს, ნოდიას მტერია. „მტერს“ კი ნოდია სათანადოთ უმასპინძლდება. თავში ესვრის დაცლილ ყანწს. ასე გასროლილი ყანწის მსხვერპლი გახდა ერთი მოხუცი გლეხი, რომელსაც თავი გაუტეხა სმის „ხოშზე“ მოსულმა მოსამართლემ.

ნოდიას ყველაფერი ახსოვდა, გარდა თავისი მოვალეობისა. ქეიფი, დროს ტარება, მჭიდრო კავშირი ადგილობრივ „მასწავლებელ ქალებთან“.

საბჭოთა არჩევნების ჩასატარებლად გაგზავნილი „მოსამართლე“ ნოდია დაბინავდა იმავე სოფლის შრომის სკოლის მასწავლებელ ნინო ნინოშვილთან, რატომ? ამის შესახებ ისტორია არ სდუმს.

სოფელ დუმინისში „მოსამართლე“ ნოდიამ პირდაპირ მოთმინებიდან გამოიყვანა ადგილობრივი გლეხობა, იქაც მოძებნა თავის „სულის კლაპიტონი“ მასწავლებელი მარია თედეევა, რომელთანაც ღამეს ათევდა (!) სისტემატიურად და ასევე სისტემატიურად ლოთობას ეწეოდა.

პარტიის დავალება, პარტიის დირექტივა, ნოდიას იმდენად არ აწუხებდა, და არ აღელვებდა, რამდენადაც მარიამის დევნა..

ნოდია რამდენიმეჯერ უნახავთ მთვრალი და გალეშილი, როცა მას თავის დამაგრების საშუალება არ ჰქონდა. რამდენიმეჯერ უნახავთ „მოსამართლე“ ნოდია ცხვირპირ დამტვრეული ლოთობის შემდეგ.

ნოდიას, გარდა ამდენი „სიკეთისა“, გაფლანგული აქვს ათას მანეთამდე სახაზინო ფული.

ნოდია ა. წ. 25 მარტს თბილისში ჩამოსული იყო, როგორც დელეგატი საბჭოთა ყრილობაზე. ყრილობაც გათავდა. დელეგატებიც წავიდ-წამოვიდნენ, მაგრამ „მოსამართლე“ ნოდიას გაუტკბა თბილისი და ის 25 მარტიდან 25 აპრილამდე თბილისს არ მოშორებია. ქეიფობდა თბილისის რესტორანებში, სხვა საქმე მას საერთოდ არ აღელვებდა. ამ ხნის განმავლობაში აბულაღის სასამართლოში იდებოდა და იდებოდა სისხლის სამართლის და სამოქალაქო საქმეები, სულ 149 საქმე გადაიდო ნოდიას დაუდევრობით.

ასეთი იყო „მოსამართლე“ ნოდია, რომელიც ახლო მომავალში იქნება გასამართლებული.

ვერ.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს ს.ს რ. სახალხო კომისართა საბჭოსი

იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სახ. კომისრების მოხსენების გამო სისხლის სამართლისა და შრომა-გასწორების პოლიტიკის შესახებ

სრულიად საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ, მოისმინეს იუსტიციის და შინაგან საქმეთა სახალხო კომისრების მოხსენება სისხლის სამართლისა და შრომა-გასწორების პოლიტიკის შესახებ, განიხილეს მათ მიერ წარმოდგენილი წინადადებანი ამ დარგში საჭირო ღონისძიებათა თაობაზე და დაადგინეს:

ა. სისხლის სამართლის პოლიტიკის დარგში

1. წინადადება მიეცეს იუსტიციის სახალხო კომისარიატს მტკიცედ შეუდგეს სასამართლოთა მიერ მოკლევადიანი (ერთ წელზე ნაკლები) თავისუფლების აღკვეთის შეფარდების პრაქტიკის აღმოფხვრას და თანაც შემოიღოს მოკლევადიან თავისუფლების აღკვეთის შეცვლა (განსაკუთრებით შემთხვევითი დამნაშავეების მიმართ მშრომელთა წრიდან) სოციალური დაცვის სხვა ღონისძიებად, სახელდობრ: იძულებითი მუშაობად თავისუფლების აღუკვეთელად და აგრეთვე საზოგადოებრივ - აღმზრდელობითი ხასიათის სხვა ღონისძიებად, ხოლო ხანგრძლივი ვადით თავისუფლების აღკვეთა და სოციალური დაცვის სხვა უფრო მძიმე ღონისძიება შეეფარდება მხოლოდ კლასიურ მტრებს, ან დეკლასიურ ელემენტებს და ისიც მარტოოდენ განსაკუთრებით საშიში დანაშაულის გამო.

2. საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა სასამართლოების მიერ სოციალური დაცვის ღონისძიებათა შეფარდების დროს სახელმძღვანელოდ მიღებულ იქნეს დამნაშავეთა დაყოფა ორ შემდეგ ძირითად ჯგუფად:

ა) კლასიური მტრები, რომელთა დანაშაულიც დაკავშირებულია საბჭოთა სახელმწიფო პოლიტიკის საფუძვლის შეგნებულად დარღვევასთან, დეკლასიური ელემენტები—პროფესიონალები და რეციდივისტები, ბანდიტები, შეიარაღებული მძარცველობის მონაწილენი, საქონლის ქურდები, ბოროტი გამფლანგველები, მექრთამეები, ქურდები, მკვლელები და აგრეთვე დამნაშავენი, რომელნიც,—თუნდაც იგინი მშრომელთა წრიდან იყვნენ გამოსული,—ჩაიდენენ ისეთ დანაშაულს, რაც ადგილისა და დროის განსაზღვრულ პირობებში ცნობილ იქნება განსაკუთრებით სოციალურად—საშიშ ქმედობად;

ბ) ყველა დანარჩენი დამნაშავენი, რომელნიც სერიოზულ სოციალურ საშიშროებას არ წარმოადგენენ, სახელდობრ, ისინი, ვინც დანაშაულს ჩაიდენს შემთხვევით (პირველად ან შექმნილ მძიმე გარემოებათა გამო), ან ჩაიდენს ისეთ სოციალურად მავნე ქმედებას, რაც არ არღვევს უშუალოდ საზოგადოებრივ ცხოვრების საფუძვლებს, საფრთხეში არ აგდებს სახელმწიფოებრივ წესრიგს და არ არის დაკავშირებული საბჭოთა სახელმწიფოებრივი პოლიტიკის საფუძველის შეგნებულ დარღვევასთან, ხოლო ამ ქმედობას მაინც დეზორგანიზაცია შეაქვს საზოგადოებრივ ყოფა-ცხოვრებაში.

3. საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა პირველი ჯგუფისათვის მიკუთვნებულ დამნაშავეთ სოციალური დაცვის ძირითად ღონისძიებად სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილ ფარგლებში, უმთავრესად შეეფარდოს:

ა) დახვრეტა;

ბ) თავისუფლების აღკვეთა ხანგრძლივი ვადით სასტიკი იზოლიაციით ან უამისოდ.

და სოციალური დაცვის დამატებითი ღონისძიებად:

ა) უფლების აყრა;

ბ) ამა თუ იმ თანამდებობის დაჭერისა ან საქმიანობის აკრძალვა;

გ) ქონების კონფისკაცია მთლად ან ნაწილობრივ;

დ) ამა თუ იმ ცალკე ადგილას ცხოვრების აკრძალვა (გადასახლება);

4. საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა მეორე ჯგუფისათვის მიკუთვნებულ დამნაშავეთ სოციალური დაცვის ძირითად ღონისძიებად უმთავრესად შეეფარდოს:

ა) იძულებითი მუშაობა თავისუფლების აღუკვეთელად;

ბ) ამა თუ იმ თანამდებობის დაჭერისა ან საქმიანობის აკრძალვა;

გ) თანამდებობიდან გადაყენება და მუშაობიდან მოხსნა სხვადასხვა ვადით;

დ) საპასუხისმგებლო ან არჩევითი თანამდებობის დაჭერის უფლების ჩამორთმევა;

ე) საზოგადოებრივი გაკიცხვა დაწესებულებათა და საწარმოთა მუშა-მოსამსახურეების საერთო კრებაზე და სასოფლო ყრილობაზე გამოცხადებით, ან პრესაში გამოქვეყნებით;

ვ) გაფრთხილება;

ზ) გადასახლება ამა თუ იმ ადგილიდან მოკლე ვადით;

თ) ფულადი ჯარიმა;

ი) ქონების ნაწილის კონფისკაცია.

5 თუმცა სსრ კავშირის ან საქართველოს სსრ ფარგლებიდან განდევნა ამა თუ იმ ადგილას სავალდებულო დასახლებით ან განსაზღვრულ ადგილას ცხოვრების აკრძალვით, ან უამისოდ, მეტად მიზანშეწონილ ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს პირველი ჯგუფისათვის მიკუთვნებულ დამნაშავეთა მიმართ, ხოლო, ვინაიდან ამ საგანზე არ არსებობს „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითადი საფუძვლების“ 22 მუხლით გათვალისწინებული საერთო-საკავშირო აქტი,—საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა სასამართლოებმა თავი შეიკავონ სოციალური დაცვის აღნიშნული ღონისძიების შეფარდებისაგან და დამნაშავეთ შეუფარდონ მხოლოდ განსაზღვრული ადგილიდან განდევნა საქართველოს სსრ ფარგლებშივე.

6. დაევალოს სასამართლოებს სოციალური დაცვის ამა თუ იმ ღონისძიების გადაწყვეტის დროს როგორც პირველი, ისე მეორე კატეგორიის დამნაშავეთათვის, მტკიცედ იხელმძღვანელონ სისხ. სამ. კოდ. 42 მუხლით დადგენილი წესები, ე. ი. მხედველობაში მიიღონ დამნაშავის მიერ ჩადენილი დანაშაულის საშიშროების ხარისხი და ხასიათი, დამნაშავის ვინაობა, დანაშაულის მოტივები და ისიც, თუ რამდენად საზოგადოებრივად საშიშია ეს დანაშაული დროისა და დგილის უწყებულ პირობებში.

7. ვიდრე მომქმედ სისხ. სამ. კოდექსში შეტანილ იქნებოდეს სათანადო ცვლილება იმ მხრივ, რომ სოციალური დაცვის ღონისძიებად მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთის შეფარდება შეიზღუდოს, წინადადება მიეც[illegible] სასამართლოებს—ისეთ შემთხვევაში, როდესაც სისხ. სამ. კოდექსის სათანადო მუხლი, რომლის მიხედვითაც ესა თუ ის პირი დამნაშავედ არის ცნობილი, არ ითვალისწინებს სოციალური დაცვის სხვა ღონისძიებას, გარდა თავისუფლების აღკვეთისა ერთ წელზე ნაკლები ვადით,—სოციალური დაცვის ღონისძიების გადაწყვეტის დროს გადავიდენ იძულებითი მუშაობაზე, ან სოციალური დაცვის სხვა ნაკლებ მძიმე ღონისძიებაზე სისხ. სამ. კოდ. 48 მუხლში გათვალისწინებულ წესისამებრ.

8. წინადადება მიეცეს იუსტიციის სახალხო კომისარს შეზღუდოს საჩვენებელი პროცესების პრაქტიკა იმ მხრივ, რომ ასეთი პროცესები ეწყობოდეს მხოლოდ ისეთი საქმეების გამო, რომელთაც ნამდვილად დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვთ.

9. წინადადება მიეცეს იუსტიციის სახალხო კომისარიატს იხმაროს სათანადო ღონისძიება, რათა თავისუფლების აღკვეთა წინასწარი გამოძიების პერიოდში (როგორც აღმკვეთი ღონისძიება) შეეფარდოს მხოლოდ პირველი ჯგუფისათვის მიკუთვნებულ დამნაშავეთ და იმ წესის დაცვით, რაც გათვალისწინებულია სისხ. სამ. საპრ. კოდ. 158 მუხლში.

ამა მუხლის გამონაკლისი (სისხ. სამ. საპრ. კოდ. 158 მუხლის ფარგლებში) შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში საპროკურორო ზედამხედველობის ნებართვით ან განკარგულებით ყოველი ცალკე შემთხვევისათვის.

10. წინადადება მიეცეს პროკურატურის ორგანოებს განსაკუთრებული ზედამხედველობა იქონიონ, რათა დაცულ იქნეს სისხ. სამ. საპრ. კოდექსით დაწესებული ვადები თავისუფლების აღკვეთისა, როგორც აღმკვეთი ღონისძიებისა.

11. სისხ. სამართლის და სასამართლო პოლიტიკის სწორად გატარების მიზნით დაევალოს იუსტიციის სახალხო კომისარიატს მოაწყოს სასამართლო-საგამომძიებლო აპარატის მომუშავეთა გეგმაშეწონილი მომზადება და გადამზადება მათი კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

12. წინადადება მიეცეს იუსტიციის სახალხო კომისარიატს, შეიმუშაოს და წარუდგინოს საქართველოს სსრ-ის საკანონმდებლო ორგანოებს კანონპროექტი სისხ. სამ. კოდ. იმ ნაწილის შეცვლისა, სადაც გათვალისწინებულია მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთის შეფარდება და სრულიად მოსპოს თავისუფლების აღვეთა ადმინისტრატიული წესით.

13. მცირე წლოვან და არასრულწლოვან დამნაშავეთათვის სოციალური დაცვის სამკურნალო-პედაგოგიური და სასამართლო-გამასწორებელი ხასიათის ღონისძიებათა შეფარდების საქმეში სწორი პოლიტიკის გასატარებლად—წინადადება მიეცეს იუსტიციის სახალხო კომისარს განიხილოს აღნიშნული საკითხი და წარუდგინოს საქართველოს სსრ საკანონმდებლო ორგანოებს თავისი მოსაზრებანი ამ სფეროში საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

ბ. შრომა-გასწორების პოლიტიკის დარგში

14. დაევალოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს შრომა-გასწორების პოლიტიკის განხორციელებისათვის იხმაროს ყოველგვარი ღონისძიება, რათა:

ა) დამყარებულ იქნეს ისეთი წესი, რომ სასამართლოების განაჩენების შესრულება რეალურად შესაძლებელი გახდეს;

ბ) შეიქმნას ისეთი პირობები, რომ შრომა-გასწორების პოლიტიკა, სისხლის სამართლის—სასამართლო პოლიტიკის ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენდეს.

15. საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა შრომა-გასწორების დაწესებულებათა სისტემაში შედიოდეს:

ა) წინასწარი პატიმრობის სახლები; ბ) სპეციალური დანიშნულების იზოლიატორები; გ) შრომა-გასწორების სახლები; დ) შრომითი კოლონიები (სასოფლო-სამეურნეო, საფაბრიკო-საქარხნო და სახელოსნო); ე) იძულებითი მუშაობის ადგილობრივი ბანაკები.

16. წინადადება მიეცეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან ერთად შეიმუშაოს საკითხი შრომითი კოლონიების (სასოფლო-სამეურნეო, საფაბრიკო-საქარხნო, სახელოსნო) მოწყობის შესახებ შრომა-გასწორების დაწესებულებათათვის უსასყიდლოდ ან შეღავათიან სარგებლობაში ისეთი საწარმოს გადაცემით, რომელიც არ მოქმედობს ან რომელსაც დიდი რემონტი ან გაწყობა სჭირდება,—და ორი თვის ვადაზე წარუდგინოს საქართველოს სსრ საკანონმდებლო ორგანოებს სათანადო მოხსენება.

17. ამჟამად არსებული დაყოფა პატიმრებისა სამ კატეგორიად (დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი კატეგორიები) მათ მიერ სხვადასხვა შეღავათის სარგებლობის მხრივ,—როგორც მეტად რთული და ხელოვნური სისტემა, ცნობილ იქნეს მიზანშეწონილად, რის გამოც წინადადება მიეცეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს გადასინჯოს ეს სისტემა მისი გამარტივების მიზნით.

18. საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა შეიზღუდოს შეღავათების შეფარდება (ნამუშევარი დღეების ჩათვლა, შვებულების მიცემა, საშეღავათო კატეგორიაში გადაყვანა) კლასობრივად უცხო ელემენტებისა და პროფესიონალ-რეციდივისტების მიმართ; სასამართლოს მიერ ამ კატეგორიის დამნაშავეთათვის შეფარდებული სოციალური დაცვის ღონისძიების შემსუბუქება და მათი ვადამდე განთავისუფლება შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში და თანაც ისეთ პირობებში, რაც უზრუნველჰყოფს მათ ნამდვილ სოციალურ უშიშროებას.

19. წინადადება მიეცეს შინაგან საქმეთა სა-

19. წინადადება მიეცეს შინაგან საქმეთა და იუსტიციის სახალხო კომისარიატებს მიიღონ სათანადო ღონისძიება, რათა თავისუფლებააღკვეთილ პირთათვის შვებულების მიცემისა, ნამუშევარი დღეების ჩათვლისა და მათი ვადამდე განთავისუფლების დროს სათანადო ორგანოებმა, კანონით გათვალისწინებული პირობების გარდა, ყოველ ცალკე შემთხვევაში იხელმძღვანელონ სასამართლო პოლიტიკის საერთო ამოცანები ამა თუ იმ მომენტში და აღნიშნული შეღავათები არ შეუფარდონ განსაზღვრული კატეგორიის დამნაშავეთ, რომელთა მიმართაც უწყებულ პერიოდში გაძლიერებული რეპრესიებია მიღებული.

20. წინადადება მიეცეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს იზოლიატორებსა და გამსახლებში მოაწყოს სავალდებულო სამუშაოები ისე რომ:

ა) სახელმწიფო სახსარი რაც შეიძლება მინიმალურად დაიხარჯოს;

ბ) პატიმართა მთელი მასა ჩაბმულ იქნეს მუშაობაში;

გ) მშრომელთა წრიდან გამოსულ დამნაშავეთა მიერ შეთვისებულ იქნეს ისეთი შინა-სამრეწველო, სახელოსნო ან საწარმოო საქმე, რაც მომავალში, შრომა-გასწორების დაწესებულებიდან გასვლის შემდეგ, გაუადვილებს მათ სამუშაოს შოვნას.

21. წინადადება მიეცეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს შეუდგეს თავისუფლების აღუკვეთელად იძულებითი სამუშაოების ჰასიურ მოწყობას; ამასთანავე იმ მიზნით რომ ეს ღონისძიება, როგორც სისხლის სამართლის რეპრესიის საშუალება, ნამდვილად იქნეს გამოყენებული, იძულებითი სამუშაოები უნდა იყოს უფასო და მას საფუძვლად უნდა დაედოს მეურნეობრივი გამორჩენა, თანაც უნდა მოეწყოს ისეთი კატეგორიის სამუშაოები, რომ მსჯავრდებულისათვის იგი რეალური რეპრესიის ღონისძიებას წარმოადგენდეს.

22. საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა შრომა-გასწორების დაწესებულებათა საწარმოო საჭიროებანი (დაკრედიტება, ნედლეულის მიწოდება და სხვ.) გათვალისწინებულ იქნეს სათანადო ორგანოთა და დაწესებულებათა გეგმებში.

23. წინადადება მიეცეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობას საპატიმრო ადგილებში საფუძვლად დაუდოს დანაშაულობასთან ბრძოლის სპეციფიური ამოცანები, რისთვისაც:

ა) კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობა პირველ რიგში უნდა ტარდებოდეს მშრომელთა წრიდან გამოსულ პატიმართა შორის, ხოლო განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მუშაობის გაძლიერებას მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობის წრეში;

ბ) ყოველი ღონე უნდა იქნეს ხმარებული პროფ-ტეხნიკური სწავლების მოწყობისა და წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაციისათვის;

გ) გადაჭრით უნდა იქნეს აღმოფხვრილი ზოგიერთ შემთხვევაში დღევანდლამდე არსებული პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც აღმზრდელობითი მუშაობის ფაქტიურ ხელმძღვანელობას ეწევიან პატიმრები მტრულად განწყობილი კლასის წრიდან.

24. შრომა-გასწორების დაწესებულებათა მთელ სისტემაში სწორი რეჟიმის დასამყარებლად წინადადება მიეცეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს:

ა) შეიმუშაოს ღონისძიებათა პროექტი შრომა-გასწორების დაწესებულებების შედგენილობის თვისებრივი გაუმჯობესებისათვის;

ბ) გააძლიეროს [illegible] მასხური [illegible] ნონით დაწესებული შრომა-გასწორების რეჟიმის მტკიცედ დაცვისათვის და გააფართოოს საპატიმრო ადგილების უფროსთა ადმინისტრატიული უფლებამოსილობა;

გ) გააძლიეროს ბრძოლა საპატიმრო ადგილების ზედამხედველ პირთა შორის შემჩნეული თვითნებობისა, უხეშობისა, პროტექციონიზმისა და სხვა ამგვარ მოვლენებთან, რისთვისაც დამნაშავენი მიცემულ უნდა იქნენ პასუხისგებაში სადისციპლინო ან სასამართლო წესით.

25. იმ მიზნით, რათა დამყარებულ იქნეს რაც შეიძლება მეტი საორგანიზაციო კავშირი სისხლის სამართლის—სასამართლო და შრომა-გასწორების პოლიტიკისათვის ხელმძღვანელობის გაწევის საქმეში, რათა ამ სფეროში გაძლიერდეს საზოგადოებრივი კონტროლი და აგრეთვე იმისათვის, რომ საპატიმრო ადგილების მმართველობას მიეცეს მეტი უფლებანი და დაეკისროს მეტი პასუხისმგებლობა შრომა-გასწორების პოლიტიკის განხორციელების დარგში, საჭიროდ იქნეს ცნობილი:

ა) რათა გატარდეს შრომა-გასწორების დაწესებულებებთან არსებული მეთვალყურე კომისიების რეორგანიზაცია მათი ფუნქციების გაფართოების მხრივ და ამ კომისიების თავმჯდომარეობა დაეკისროს სასამართლო დაწესებულებათა წარმომადგენელს (სამაზრო სასამართლოს წევრს) და გაძლიერდეს მათში მუშათა ორგანიზაციების (პროფკავშირები ადგილობრივი საბჭოები) წარმომადგენლობა;

ბ) რათა გაუქმდეს ცენტრალური განმანაწილებელი კომისია და მისი ფუნქციების ერთი ნაწილი გადაეცეს ადგილობრივ მეთვალყურე კომისიებს, მეორე—საპატიმრო ადგილების სამმართველოს, ხოლო მესამე—შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებულ განსაკუთრებულ კომისიას.

26. საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა მეთვალყურე კომისიების მუშაობა მოეწყოს ისე, რომ იგი არა მარტო იხილავდეს შემოსულ განცხადებებს, არამედ ეწეოდეს პატიმართა ინდივიდუალურ შესწავლას და აქტიურ მონაწილეობას იღებდეს შრომა-გასწორების დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესების საქმეში.

27. ზედამხედველობის გაწევა მეთვალყურე კომისიების მოქმედებისათვის დაეკისროს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებულ განსაკუთრებულ კომისიას, რომელშიაც შედიან: საპატიმრო ადგილების სამმართველოს უფროსი (თავმჯდომარე), უზენაესი სასამართლოს წევრი და საქართველოს სსრ სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს კოლეგიის წევრი.

28. წინადადება მიეცეს პროკურატურის ორგანოებს განახორციელონ რეალური ზედამხედველობა შრომა-გასწორების დაწესებულებათა მიმართ და თვალყური ადევნონ შრომა-გასწორების პოლიტიკის სწორად გატარებას.

29. საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა გაფართოვდეს პატიმართა დამხმარე კომიტეტის მუშაობა და ჩაბას ამ მუშაობაში სახელმწიფო ორგანოები და საბჭოთა საზოგადოებრივობის ფართო წრეები.

30. დაევალოს იუსტიციის სახალხო კომისარიატს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან ერთად:

ა) შეიმუშაოს ღონისძიებანი ისეთი სასამართლო განაჩენების დროზე და რეალურად აღსრულების უზრუნველყოფისათვის, რომლითაც დამნაშავეს, თავისუფლების აღკვეთისა და იძულებითი მუშაობის გარდა, მისჯილი აქვს სოციალური დაცვის სხვა ღონისძიებაც;

ბ) წარუდგინოს საკანონმდებლო ორგანოებს კანონპროექტი შრომა-გასწორების კოდექსის იმ ცვლილებათა შესახებ, რაც ამ დადგენილებიდან გამომდინარეობს.

31. სისხლის სამართლისა და შრომა-გასწორების პოლიტიკის გატარების სფეროში ყველა საკითხების შეთანხმების მიზნით— იუსტიციის სახალხო კომისარს ევალება პერიოდულად მოაწყოს ხოლმე იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატების მომუშავეთა თათბირი.

32. წინადადება მიეცეს განათლების სახალხო კომისარიატს—თავის საწარმოო გეგმებით გაითვალისწინოს შრომა-გასწორების დაწესებულებებში კულტურულ-განმანათლებელი მუშაობის წარმოება.

33. დაევალოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას—შეიმუშაოს საკითხი იმის შესახებ, რომ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი შრომა-გასწორების პოლიტიკის განხორციელების მხრით მიეკუთვნოს სოციალურ-კულტურული მნიშვნელობის ორგანოთა კატეგორიას და აგრეთვე გაითვალისწინოს აქედან გამომდინარე მდგომარეობა ამ კომისარიატისა სახელმწიფო ბიუჯეტში—მისი მოთხოვნების ამ ნაწილის მიხედვით (შრომა-გასწორების დაწესებულებათა ბიუჯეტის ბუნებრივი ზრდა).

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
ს. თოდრია.

1929 წ. მაისის 22.
თბილისი—სასახლე.

შრომის ბირჟაში

დღეს თბილისის შრომის ბირჟა, სამუშაოზე გასაგზავნად იწვევს შემდეგ უმუშევრებს:

კვალიფიციურ მუშათა სექციიდან: იონა ოჩოგავა, აკაკი ჩიჩაძე, შაქრო თულიანი, ბესარიონ ჯავახიშვილი, კოტე მაღალაშვილი, ს. სოროფინი, ტიგრან მანუკიანცი, გალაქტიონ საზანაძე, გიორგი სარუხანოვი, ნეუცუბიძე, ა. ცატუროვი, კ. კაბალასკაია, ივანოვა, აკოპოვი, ნიკ. არაქელაშვილი, მატრონა ბიბილაშვილი, მიხეილ ოგანეზოვი, გარეგინ სარიბეგოვი, რამ. ვართანოვი, გიორგი ეტიფანოვი, ელ. სინჯიკაშვილი, ელენე გრიჩკელი, ალათი დოლიძე, მიხეილ გუსიევი, ბორის პეტრე-პავლოვსკი, ალექსანდრე კოდენკო, ევა კალანდაძე, ლუსია აკოფოვა, მარო გალუსტოვი, ალექ. აგარონოვი რუბენ ტერ-საკოვი, მარიამ კონიევა, ეკატერინე ლაპატკინა, გიორგი აწონორია.

გონებრივ მუშაკთა სექციიდან: ი. საყვარელიძე, იულია ნიჟარაძე, ალექსანდრე ჰიჭინაძე, მარ. ეიტნიცკაია, ელენე მელიავა, ანნა ბელაევსკაია, ლუდმილა წინამძღვრიშვილი, კონ. მიხაილიანი, ის. ბაბალოვი, ანდა გრიგორიანი, გიორგი გორზაშვილი, გაბ. ათაბეგოვ, ნინო ლებანიძე, ირინე ავალიანი, შალვა ტანკოტაძე, ნიკო რუსაკოვი, თედორე დანელია, ნინო ჯორჯაძე, ჯავრიშვილი, ჩევრიშვილი დავით ტყემალაძე, სიმონ სირბილაძე.

მოზარდთა სექციიდან: ნადია ტერ-ოგაზეზოვი, გ. აბრამიანცი, ვარლამ თედორია, მიხეილ თულიანი, ევგენი ბელაშვილი, ვასილ მოსტიაშვილი, გიორგი მანუკიანი, გიორგი პირმისაშვილი, ვასილ ზანდალოვ, პოლოსოვი, გიორგი ჯანშიანცი, მატ. მანუკიანცი, აკობ კაპენგრანოვი, სარქის ელიანი, სურენა აკოფოვი, ნიკო ლარუაშვილი, გაბრიელიანცი, ვლად. მიქელაძე, ესტატე ბედინაშვილი, ვლად. კარსელაშვილი მიხ. გილაშვილი, შალვა მაცაბერიძე, გიორგი მაისურაძე.

შავ-მუშათა სექციიდან: მ. არეშინა, ივანე ალოევი, ივანე დევდარიანი, ანდ. ავანესოვა, ვართანოვი, გ. ნათიშვილი თამარა წეროძე, მიხ. ბაქრაძე, დანელია-სენიხოვა.

მშენებელ მუშათა სექციიდან: არტემ სარიბეგოვი, მიხეილ ამირხანოვი, ბრეიტმანი, ზარიპოვი, გაფრინდაშვილი, პეტრე გონჩარენკო, ივანე სიმონიანცი, გერგისაშვილი, ხაჩატურ მურადოვი, მარ. მარქაროვი, ივანე კასიაკინი, ისიდორე ნაცვლიშვილი, ოგანეზ პეტროსიანი, გაბ. უთარაშვილი, აკოპ აკოპიანი, შალვა იაშვილი, სურ. ოგანეზოვი, გუკის სტეფანოვი, სუმბატ მურადიანცი, ხერ. მაკაროვი, ვარლამ ცომაია, შალვა კახიანი, აკოპ ბაღდასარიანი.

პარტიული კალენდარი

დღეს საღამოს 5 საათზე, საქ. სახელმწიფო პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში დანიშნულია კომკავშირის ბიურო-კოლექტივის სხდომა. ა. ლ. კ. კ. უჯრედების ბიუროს წევრთა დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

—:—

სახელმწიფო უნივერსიტეტის ა. ლ. კ. კ. გაერთიანებულ უჯრედთა ბიურო იუწყება, რომ დღეს, ნაშუადღევის 4 საათზე უცხო ენათა კურსების ბინაზე შესდგება თათბირი ცეკასთან და თბილისის კომიტეტთან არსებული კურსების შესახებ. თათბირზე დასწრება ევალებათ შემდეგ ამხანაგებს: ფანჯავიძე, აივაზოვი, ჩხეტია, ბრეგვაძე, ჯუღელი, სეფერიან ჭაია და მამცაშვილი. თათბირზე დასწრება შეუძლიათ დაინტერესებულ ამხანაგებსაც.

სახკინმრეწვის კინოები

საზაფხულო აპოლო — მხატვრული ფილმი სემირამიდას მარგალიტი
საზაფხულო პალასი — გრანდიოზულად დადგმული ფილმი დიადი საქმის კავშირი (С. В. Д.)
საზაფხულო ეთერი — პატი ⅌ პატაშონი კომედიაში ქალა ⅌ სილამაზე
მინიონი — განწირულნი ვ. ჰუგოს რომანის მიხედვით 1 და 2 სერია

საქართ. ტყის მრეწველობის ტრესტი
საყოველთაოდ აცხადებს, რომ
ივანე გიორგის-ძე ნანიშვილი,
რომელიც მსახურობდა ტრესტში ფინაგენტის თანამდებობაზე,
მოხსნილია სამსახურიდან
ა. წ. 8 ივლისიდან და გაუქმებულად ითვლება ყველა მისთვის მიცემული რწმუნებულების ქაღალდი (მანდატი, ვექილობა და სხვ.) ნ. 2952

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12. საღ. 7—8 საათამდე ტელეფ.—12—67. 25—1

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. ნ. 10. 25—1

1929 წლ. 15 ივლისს
საქმეების ლიკვიდაციას შეუდგება
ბაქო-ბათომის ნავთსადენის
მშენებლობის მე-8 უბანი ქალაქ განჯაში (ყოფილი ლაკრის ქარხანა).
ყოველგვარ პრეტენზიებს აღნიშნული უბნის მიმართ მე-8 უბნის კანტორა ღებულობს მხოლოდ 15 ივლისამდე, რის შემდეგ აზნავთმშენი არავითარ პრეტენზიას აღარ მიიღებს.
აზნავთმშენის მე-8 უბნის უფროსი ნ. ანტონოვი.
ნ. 2945 3—3

მუშათა და გლეხთა წითელი არმიიდან დემობილიზაციაქმნილ მეთაურთა სამოქალაქო სამსახურში მომწყობი
ა.-კ-ის და საქართველოს მთავრობის კომისია იუწყება, რომ ა.-კ-ის მ/გ. ინსპექციის სახალხო კომისარიატის მიერ სამოქალაქო სამსახურში მყოფ დემობილიზაციაქმნილ მეთაურთა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოკვლევასთან დაკავშირებით, იგი ხუთშაბათს, ა. წ. ივლისის 11-ს, საღამოს 6 საათზე კ. წ. დ. არმიის საზამთრო სახლში რუსთველის პროსპექტზე (რუსთველის თეატრის პირდაპირ), იწვევს თბილისში
სამოქალაქო სამსახურში მყოფ დემობილიზაციაქმნილ მეთაურთა
საერთო კრებას
აგრეთვე ვსთხოვთ დაესწრნენ იმ დაწესებულებათა ადმინისტრაციისა ⅌ პროფორგანიზაციების წარმომადგენელნი, რომელთაც სამსახურში დემობილიზაციაქმნილი მეთაურები ჰყავთ.
2953 1—2 ა.-კ. და საქ. მთავრობის კომისია.

მათემატიკის მასწავლებელი
ივ. მაჩაიძე
ამზადებს რუსულსა ⅌ მათემატიკაში
(არითმეტ., ალგებ., გეომეტ., ტრიგონ.) 10 წლედის პროგრამით და ყველა საგნებში შვიდწლედის პროგრამა. შემოდგომის განმეორებითი გამოცდებისათვის სუსტს მოწაფეებს და მისაღებ გამოცდებისათვის სპეც ტეხნიკ. (ინდუსტ. ქიმიურ და რკინის გზის). პლეხანოვის გამზირი № 25, შესავალი კუთხიდან, ჩერნიშევის ქ. № 5. (ყოფ. ალექსის) 9—1 საათამდე და 2—6 საათ. 2488 4—3

თმის მკურნალობა
და
სამკურნალო კოსმეტიკა
ექიმ
ნ. გ. კონტოროვიჩისა
ფრეილინის ქ. № 1. სოლოლაკის ქ. კუთხ. თმის, ფერის მჭამელას, ჭორფლის, მეჭეჭის, ნაოჭის და სხვ. მკურნალობა
ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატებისა და საშუალებების გამოყენება
მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

პ. ს. ფონ-ირეტელი
პლეხანოვისპროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე-სქესობრივ, ვენერიულ ავადმყოფობას, სიფილისს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე, ტრიპერი, სიფილისი, ბუასილი, სიმსივნე) ავადმყოფების მიღება დილის 8-დან შუადღის 12 საათამდე და საღ. 5-დან 8 საათამდე. ქალების მიღება დღის 11-დან 12 საათამდე. და საღამოს 7-დან 8 საათამდე. 13—10

ექიმი
პ. ი. ჯალალოვი
(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეზხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა. მამაკაცთა მიღება: დილით—7—8 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და მავშვების მიღება: 5—6 საათამდე. ბისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. ნ. 25—1

დაკარგა მეტრიკული ამონაწერი გაცემული ქ. ქუთაისის მმაჩის მიერ ბიძინა ირაკლის-ძე ნინიკაშვილის სახელზე, ჩ. გ. ნ. 2951

დაკარგა მუშკოოპის წიგნაკი № 11 ქეთო წულაძის სახელზე, ჩ. გ. 2515

ქუთაისში
ექიმი ვ. დ. კუჭაიძე
ლენინგრადის სამეანო-გინეკოლოგიური ინსტიტუტის შ. გ. ასისტენტი ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით საღ. 5—7 ს.
იღებს სპეციალურათ მეანობაში, ქალთა სნეულებათა ავადმყოფთ და ქალთა უროლოგიაში (შარდის ბუშტის, მილის და თირკმელების დაავადებანი). პუშკინის ქ. № 7 2463 25—1

ექიმი
მ. გ. შახნაზაროვი
სპეციალურად
სიფილისი, „914“ შეზხაპუნება, ტრიპერი მწვავე და ქრონიკული და სხვა ვენერიული სნეულებანი
ავადმყოფების მიღება ნაშუადღევის 4-დან 8 საათამდე. ქალების 4—5 საათამდე. ვასერის ქ. (ყოფ. კრასნოგორის) № 33 (ყოფ. თუმანოვის ქუჩ. კუთხე). 25—1

დაკარგა პურის წიგნაკი სოლომონ გოქაძის სახელზე, ჩ. გ. 2514

დაკარგა ცხრაწლედის მოწმობა მიღებული თბილისის მე-4 შრომის სკოლიდან № 2674 თამარა იოსების ასული ღვინიაშვილის სახელზე, ჩ. გ 2506

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების ⅌ პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე. ტელ. 10—14 412 25—1

ექიმი
ლოგოპედი
ა. ა. კაიშაური
ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა
ასწორებს
ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს
იღებს: საღამოს, 5—7 საათ კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132. ტელ. 26-01. 2468 13—1

დაკარგა სასურსათო ბილეთი № 934365 და პირადობის მოწმობა ბორის ანდრიას-ძე ლაფაჩიძის სახელზე, ჩ. გ. 2507

დაკარგა პარტ. ბილეთი № 858581 ლევან გიორგის-ძე სხიერელის სახელზე, ჩ. გ. 2517

დაკარგა დამზღვევ სალაროდან გაცემული უმუშევრობის დუბლიკატი № 19091, კავშირის წიგნაკი № 1153 და სახელმწიფო უნ. მიერ გაცემული პირადობის მოწმობა არეთა დავითის ასული ხოშტარიას სახელზე, ჩ. გ. 2509

დაკარგა მეტრიკული ამონაწერი გივი და ჟუჟუნა ვლადიმერის ასულ ნარიმანიშვილების სახელზე, ჩ. გ. 2508

დაკარგა პურის წიგნაკი № 54 ნიკოლოზ ისაკის-ძე ფოდიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2510

დაკარგა მეტრიკული ამონაწერი გორის მაზრიდან გაცემული ანა გაბრიელის ასული ოქუაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2505

დაკარგა განათ. მუშ. პროფკავშირის წიგნაკი მოცემული გორის განათ. მუშაკთა პროფკავშირის გამგეობის მიერ № 26587 ნიკოლოზ ანდრიას-ძე ბერიანიძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 2951

დაკარგა პურის წიგნაკი ლონგინოზ გოქაძის სახელზე, ჩ. გ. 2514

დაკარგა ხაშურის ცხრა წლიანი შრომის სკოლიდან აღებული სიმწიფის მოწმობა № 985 ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე მარგველაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2513

დაკარგა მუშკოოპის საწევრო წიგნაკი პრისკილა ჯექნარაძის სახელზე, ჩ. გ. 2511

დაკარგა ახალ ხიბულის თემიდან გაცემული მოწმობა № 599 (რომ დედა და იმყოფება ჩემს მზრუნველობის ქვეშ) ვალიკო ლაშხის სახელზე, ჩ. გ. 2516

დაკარგა პირადი საქმე № 49111 ვალერიან იპოლიტეს-ძე თავართქილაძის სახელზე ჩ. გ. 2516

დაკარგა სამხედრო პირადი წიგნაკი მარტვილიდან გაცემული № 663, ბესარიონ სამსონის-ძე ფირცხელავას სახელზე, ჩ. გ. 2516

დაკარგა მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 1560 მუხიან-ფარცხანაყანევიდან, გაცემული ერმილე ტარიელის-ძე თედორაძის სახელზე, ჩ. გ. 2516

დაკარგა სამხედრო სამსახურში უვარგისობის ნუსხა, გაცემული ქუთაისის მაზრის სამხედრო კომისარიატის მიერ აქსენტი იაკობის-ძე აფხაძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 2951

დაკარგა მეტრიკული ამონაწერი, გაცემული კარიას თემის მიერ კონსტანტინე აკაკის-ძე გაბუნიას სახელზე, ჩ. გ. ნ. 2951

დაკარგა სამეურნეო ოთხწლედის შრომის სკოლის დამთავრების მოწმობა № 34, გაცემული ჩხარის ოთხწლედის მიერ დავით ნიკოლოზის-ძე კაჭკაჭოვის სახელზე, ჩ. გ. ნ. 2951

ტირაჟი—40.595 პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, ცამ ოს ქუჩა № 68. მთავლიტი № 904.